

ადინისტრაციული აქტი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2022, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2022, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2022, №6

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2022, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

- 1. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქტების კანონიერება**
მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება 4
მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის კანონიერება 17
საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დასკვნის კანონიერება 32
- 2. განათლების საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის კანონიერება**
ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების სასამართლო კონტროლის ფარგლები 54
მიღებული განათლების აღიარებისათვის კონკრეტული წინაპირობები 84
დიპლომის ნამდვილობის დადასტურების საფუძველი 97
სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და მობილობის სარგებლობის თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა 117
- 3. სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ადმინისტრაციული აქტების კანონიერება**
მოსამართლის საკვალიფიკაციო წერით გამოცდაზე მიღებული ქულის, საგამოცდო კომისიისა და საპრეტენზიო ჯგუფის შეფასების კანონიერება 128
სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს რევიზიის აქტების კანონიერება 160

1. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქტების კანონიერება

მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-65(კ-21)

30 ნოემბერი, 2021 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 29 აგვისტოს მ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, დაბადებულია საქართველოში, ცხინვალში, სადაც ცხოვრობდა 1991 წლამდე. ცხინვალის დაკარგვის შემდეგ, ოჯახთან ერთად, გახდა დევნილი და საცხოვრებლად გადავიდა გორში, ხოლო 2015 წლიდან – თბილისში. მის მშობლებს ცხინვალი არ დაუტოვებიათ და იმის გამო, რომ ოჯახებს შორის კავშირი არ განწყვეტილიყო, ცხინვალის მიმართულებით გადაადგილებისთვის, 2005 წელს აიღო ცხინვალში არსებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო 2018 წელს მიენიჭა რუსეთის მოქალაქეობა. ვინაიდან, მოსარჩელეს არ სურდა საქართველოს მოქალაქეობის დატოვება, 2019 წლის 23 იანვარს მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს „სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ“ განცხადებით, რაზეც 2019 წლის 10 აპრილს უარი ეთქვა.

მოსარჩელის მითითებით, 2019 წლის 5 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს,

რომლითაც საქართველოში მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვა მოითხოვა. ოჯახთან ერთად მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, ოჯახის ყველა წევრი (მეუღლე და სამი შვილი) არის საქართველოს მოქალაქე და მხოლოდ საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 5 აგვისტოს №1000674344 გადაწყვეტილებით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

მოსარჩელემ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 5 აგვისტოს №1000674344 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 5 აგვისტოს №1000674344 გადაწყვეტილება; მოპასუხეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დავალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. მ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო (სსიპ სახელმწიფო სერ-

ვისების განვითარების სააგენტო) ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადანყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სააგენტომ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამოწმა რა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს და მიღებული ინფორმაციის შედეგად, რომლის შესაბამისად სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადანყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადანყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომლის თანახმად, მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად აპელანტმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავოდ გამხდარ გადანყვეტილებაში მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნაზე მიუთითა, რაც ნიშნავს, რომ, გარდა აღნიშნულისა, არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, ეჭვქვეშ არ აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხების პრიორიტეტულობას, თუმცა მიიჩნია, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვე-

ვაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, რამდენადაც კონტრდაზვერვის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, მართალია, მოპასუხეს შეეძლო გაეთვალისწინებინა აღნიშნული და მიელო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა მოპასუხემ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა ის გარემოება, რომ ბინადრობის მაძიებელი პირი – მ. მ-ი დაბადებულია საქართველოში, საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 22 მაისის №255 ბრძანებულებით სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, საქართველოში ცხოვრობენ და საქართველოს მოქალაქეები არიან მისი ოჯახის წევრები, მეუღლე და შვილები, წარსულში ნასამართლევი არ არის, მუდმივად ცხოვრობს დღემდე საქართველოში, ასევე მისი მეუღლე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომელია. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ცნო ბათილად სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 5 აგვისტოს №1000674344 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მ. მ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მონაბო – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო, გასცემს რა ბინადრობის მონაბოას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პე-

რიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომელიც ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განერილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ: არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

„საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სწორედ აღნიშნული ვალდებულების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გადაუგზავნა 2019 წლის 8 ივლისის №1000674344/1 წერილი, რომლითაც გამოითხოვა ინფორმაცია არსებობდა თუ არა მ. მ-ისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძველები. მიღებული 2019

ნლის 02 აგვისტოს № SSG 4 19 00140354 წერილით ირკვევა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მ. მ-ისათვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

სააგენტომ, იხელმძღვანელა რა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამავდროულად, გაითვალისწინა რა კერძო და საჯარო ინტერესი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 2 აგვისტოს № SSG 4 19 00140354 წერილი.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალების და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კასატორის განმარტებით, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვებაზე/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებად

იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. მ-ი დაიბადა საქართველოში, ... წლის ...ს. იგი 1991 წლამდე ცხოვრობდა ცხინვალში. მიმდინარე კონფლიქტის გამო, გახდა დევნილი და ცხოვრება გააგრძელა ქ. გორში, 2015 წლიდან კი – ქ. თბილისში.

მ. მ-ი 1990 წლის 27 ნოემბერს დაქორწინდა თ. ლ-იზე, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და მუშაობს შსს ...ის პოლიციის დეპარტამენტის, ...ის რაიონული სამმართველოს პოლიციის ...ად. მისი ოჯახის წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები და ცხოვრობენ საქართველოში.

მ. მ-ი, 2018 წლიდან არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 22 მაისის №255 ბრძანებულებით მ. მ-ის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მ. მ-იმა 2019 წლის 5 ივლისს №1000674344 განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2019 წლის 8 ივლისს, №1000674344/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა მ. მ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 2 აგვისტოს №SSG 4 19 00140354 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია მ. მ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 5 აგვისტოს №1000674344 გადაწყვეტილებით მ. მ-ის უარი ეთქვა საქართვე-

ლოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ საქმეში სადავო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძველით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძველებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს. უცხოელის საქართველოში ხანგრძლივად, კანონიერად დარჩენის უფლების მოპოვების ერთ-ერთი შესაძლებლობა სწორედ ბინადრობის ნებართვის მიღებაა, რომელსაც, დასახელებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოში კანონიერი საფუძველით მყოფ უცხოელზე გასცემს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ამასთან, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძველებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის სა-

ქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. კანონმდებელი იმავე მუხლის მეორე პუნქტში აკონკრეტებს კრიტერიუმების ჩამონათვალს, თუ რომელ შემთხვევებს მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები, ესენია: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უნდა უქმნიდეს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) უნდა არსებობდეს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

აღსანიშნავია, რომ დასახელებული საფუძვლებით ნებართვის გაცემაზე უარის თქმა პირდაპირ პასუხობს კანონის მიზნებს. კანონმდებელმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლში ხაზი გაუსვა რა კანონის მიღების მიზნებს, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. იმავე კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულუბელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და განწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან.

სახელმწიფო ორგანო, რომლისგანაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია უცხოელის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე, არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწევა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სწორედ სსიპ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების არსებობის საკითხის დასადგენად. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა – წერილი კი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, მ. მ-ის განცხადების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ზემოაღნიშნული ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამ-

სახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან გამოითხოვა ინფორმაცია. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 2 აგვისტოს №SSG 4 19 00140354 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მ. მ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მ. მ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2019 წლის 2 აგვისტოს № SSG 4 19 00140354 წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. სწორედ ამ მიზნით საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ხსენებული ინფორმაცია მხარეებს გააცნოს და იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების არსი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შემოწმებაში მდგომარეობს. სააპელაციო პალატა, ერთი მხრივ, ამონმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად იკვლევს და აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს

არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას.

სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე – ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (*Lupsa v. Romania*, № 10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძველზე, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (*Lupsa v. Romania*, № 10337/04, §39, 08 ივნისი 2006). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზე დამოკიდებულია. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება, განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა ნაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმინეწვით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია, შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-1190(კ-20)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან ხელახლა უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია და მიღებული ინფორმაციის, ახალი მტკიცებულებებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარ-

ტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციაში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისია პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას. განსახილველ შემთხვევაში კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა მისი დამატებითი კვლევა და სხვა გარემოებებთან ერთობლივი ანალიზი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეისწავლოს და შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, ასევე უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე, მოიპოვოს მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 9 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-454(კ-21)

21 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 9 მარტს მ. რ. ს-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2017 წლიდან ოჯახთან ერთად

ცხოვრობს და მუშაობს საქართველოში. მეუღლესა და შვილზე გაცემულია დროებითი ბინადრობის ნებართვები. 2020 წლის 5 თებერვალს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, რაზეც 2020 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით ეთქვა უარი. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონით დადგენილი წესით არ გამოიკვლია საქმის გარემოებები. მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 მარტის №1000703225 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით მ. რ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 მარტის №1000703225 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლო მიუთითა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებაზე და აღნიშნა, რომ მითითებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის თაობაზე. მითითებული ქმედება მიზნად ისახავს, გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული, პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააგენტომ „საქართვე-

ლოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამონმა პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ ასევე მიუთითა, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია.

საქალაქო სასამართლომ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია და მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, რომლითაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მ. რ. ს-ასათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია. ამასთან, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სხვა რაიმე საფუძველი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია და სათანადოდ არ დაუსაბუთებია. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ მ. რ. ს-ას საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ... ქუჩა №19ა. ამასთან, შპს „...-ს“ 2019 წლის 25 თებერვლის №19/02-25/03 დასკვნის თანახმად, შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენს 270 000 ლარს.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. რ. ს-ასათ-

ვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის საკითხთან დაკავშირებით, მოპასუხემ სადავო გადაწყვეტილება დააფუძნა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე, რომლებიც ადმინისტრაციული წარმოების დროს, სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ იყო. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო გასაჩივრებული აქტი და მოპასუხეს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მტკიცებულებათა შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილი პროცედურული წესის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. რ. ს-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ამ მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა. ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამარ-

თლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამონმა რა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, მოპასუხე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, მოპასუხე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, მოპასუხე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 5 მარტის №SSG 3 20 0036366 წერილი.

უცხოელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და მხარეებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, მიიჩნია, რომ სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, მას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის სა-

ქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. რ. ს-ამ.

კასატორის განმარტებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო გადაწყვეტილების მიღების საფუძველია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, რომლითაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს, მ. რ. ს-ასათვის, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია. ამასთან, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სხვა რაიმე საფუძველი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია და სათანადოდ არ დაუსაბუთებია.

კასატორის მოსაზრებით, იგი აკმაყოფილებდა ბინადრობის მიღების ყველა კანონიერ საფუძველს, მის საკუთრებაში რეგისტრირებულია უძრავი ქონება, რომლის ღირებულება 100000 აშშ დოლარზე მეტია, არ არის ნასამართლვეი როგორც საქართველოში, ასევე ირანში, საქართველოში იმყოფება და ცხოვრობს 2017 წლიდან და დასაქმებულია შპს „...-ს“ მენეჯერის თანამდებობაზე. საქართველოში მოსარჩელესთან ერთად ცხოვრობს მისი ოჯახი, მეუღლე – ბ. ნ-ი და შვილი ბ. რ. ს-ა (დაბადებულია ...წელს). ბავშვი დადის საბავშვო ბაღში და ფლობს ქართულ ენას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მის მიმართ ადრე ორჯერ იყო გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. რ. ს-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 სექტემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი მ. რ. ს-ას საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და

საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. რ. ს-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომლის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო. ამასთან, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ღირებულებას, და მისი ოჯახის წევრებზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან ბინადრობის ნებართვის გაცემით უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფო კისრულობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის განწერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მათ შორის, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლე-

ბამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

კანონმდებელი იმავე მუხლის მეორე პუნქტში აკონკრეტებს კრიტერიუმების ჩამონათვალს, თუ რომელ შემთხვევებს მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები, ესენია: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უნდა უქმნიდეს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) უნდა არსებობდეს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

აღსანიშნავია, რომ დასახელებული საფუძვლებით ნებართვის გაცემაზე უარის თქმა პირდაპირ პასუხობს კანონის მიზნებს. კანონმდებელმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლში ხაზი გაუსვა რა კანონის მიღების მიზნებს, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, ხსენებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. იმავე კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სა-

ხელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, ერთმანეთს შეუპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება ბინადრობის ნებართვის გაცემის თუ ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან.

სახელმწიფო ორგანო, რომლისგანაც სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია უცხოელის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე, არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწევა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის გაცემაზე

უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების არსებობის საკითხის დასადგენად. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა (წერილი) კი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. რ. ს-ა (დაბადებული: ...ნ.) არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 11 მარტის №1000656526 გადაწყვეტილებით, მ. რ. ს-ას განცხადება დაკმაყოფილდა და მას მიეცა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2019 წლის 11 მარტიდან 2020 წლის 11 მარტამდე.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს, 2019 წლის 9 ოქტომბრის ცნობის თანახმად, ცნობის გაცემის თარიღამდე მ. რ. ს-ა ნაშამართლევია არ არის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, 2020 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით მ. რ. ს-ას შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მ. რ. ს-ას საკუთრებაშია უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ... ქუჩა №19ა, უძრავი ქონების ს/კ

შპს „...-ს“ 2019 წლის 25 თებერვლის №19/02-25/03 დასკვნის თანახმად, შესაფასებელი ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენს 270 000 ლარს, რაც 2019 წლის 25 თებერვლის კურსით (კ=2,6598) შეადგენს 101 511 აშშ დოლარს.

მ. რ. ს-ამ 2020 წლის 5 თებერვალს №1000703225 განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მოითხოვა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 6 თებერვალს №1000703225/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მ. რ. ს-ას მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 5 მარტის № SSG 3 20 00036366 წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების

გათვალისწინებით, დეპარტამენტს მ. რ. ს-ასათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუნონლად მიაჩნია.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 მარტის №1000703225 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მ. რ. ს-ას 2020 წლის 5 თებერვლის №1000703225 განცხადება და განმცხადებელს უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 5 მარტის №SSG 3 20 00036366 წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. სწორედ ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, სსენებული ინფორმაცია მხარეებს გააცნოს და იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს. ამასთან, საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ კასატორისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუნონლობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული მაშინ, როდესაც მოსარჩელეს ბინადრობის ნებართვა მიღებული და შემდგომ ერთხელ გაგრძელებული ჰქონდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, მითითებული გარემოებები არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის ვალდებულებას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილზე მითითება, მისი შინაარსის გათვალისწინებით, აგრეთვე არ ქმნის სადავო აქტის საკმარის დასაბუთებას. მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოს არ დაუსაბუთებია აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადასტურების მიუხედავად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო საფუძვლების არსებობა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 მარტის №1000703225 გადაწყვეტილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკ-

ვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადანყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ამ ინტერესთა დაბალანსებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილმა ორგანომ – სააგენტომ (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადანყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადანყვეტის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადანყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასანყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს, მიღებული გადანყვეტილების დასაბუთების, ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ, რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადანყვეტილება, გარდა აღ-

ნიშნულისა, გადანყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრე-სატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლობიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს, რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადანყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადანყვეტილების მიღების პირობებში მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადანყვეტილება; 2020 წლის 17 სექტემბრის №ბს-974(2კ-19) განჩინება).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საჭიროებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვას, მათ შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად აქტის დასაბუთების შესახებ მოთხოვნების დაცვას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო კონკრეტული გადანყვეტილება და რა მოტივებით უარყო წარმოების შედეგით დაინტერესებული მხარის არგუმენტები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შეიბოჭოს სამართლით და მოექცეს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადანყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადანყვეტამდე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადავო საკით-

ხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 მარტის №1000703225 გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და მ. რ. ს-ას საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადავო საკითხის ასკ-

ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მ. რ. ს-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 400 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით, და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. რ. ს-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. რ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 მარტის №1000703225 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ, მ. რ. ს-ას განცხადებასთან დაკავშირებით;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, მ. რ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 400 ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე სახელმწიფო
სერვისების განვითარების სააგენტოს დასკვნის
კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-356(2კ-21)

10 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავა-
ლება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 7 მაისს ზ. ბ-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სა-
ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

სარჩელის თანახმად, ზ. ბ-ი დაიბადა ... წლის ...ს საბჭოთა კავ-
შირში (საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში თბილისში). 90-იან
წლებში დატოვა საქართველოს ტერიტორია. საქართველოს ტერი-
ტორიის დატოვების შემდეგ ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში,
რის შემდეგაც წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორც
ლტოლვილი, სადაც მიიღო მუდმივი ცხოვრების უფლება. სარჩე-
ლის მიხედვით, ზ. ბ-ი იმყოფებოდა პატიმრობაში პრობაციის ფე-
დერალურ დაწესებულებაში და მის მიმართ სისხლის სამართლებ-
რივი განაჩენის მოხდა სრულდებოდა 2020 წლის სექტემბერში. კრი-
მინალური სამართალწარმოების რეფორმის საფუძველზე ზ. ბ-ის
უფლება ჰქონდა დაუყოვნებლივ გათავისუფლებულიყო სასჯე-
ლალსრულების დაწესებულებიდან. ვინაიდან არ არსებობდა ოფი-
ციალური დოკუმენტი მისი, როგორც მოქალაქეობის არმქონე პი-
რის სტატუსის შესახებ, საემიგრაციო სტატუსის გარკვევამდე უა-
რი ეთქვა პატიმრობიდან გათავისუფლებაზე. ამასთან, მოსარჩე-
ლის მითითებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არის მძიმე.

სარჩელის თანახმად, ზ. ბ-იმა განცხადებით მიმართა სახელ-
მწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა გაცეცათ ცნო-

ბა მისი საქართველოს მოქალაქეობის არქონის შესახებ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის 6 იანვარს გაცემულ იქნა დასკვნა, რომლის თანახმად, ზ. ბ-ი ითვლება საქართველოს მოქალაქედ. აღნიშნული დასკვნა გასაჩივრებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრით, ხოლო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ იგი არ დაბადებულა საქართველოს სახელმწიფოში, არც რუსეთის ფედერაციაში ყოფნისას დამდგარა საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე მოქალაქეობის შენარჩუნების მიზნით, მას არასდროს ჰქონია საქართველოს მოქალაქეობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნისა და ზ. ბ-ის წარმომადგენლის, ვ. ნ-ას 2020 წლის 5 თებერვლის №19954 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ზ. ბ-ის საქართველოს მოქალაქეობის არქონის შესახებ ცნობის გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნა და მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 5 დეკემბერს ზ. ბ-ის წარმომადგენელმა „საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის განსაზღვრის თაობაზე“ განცხადებით მიმარ-

თა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 6 დეკემბრის №1000695796/7 გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის წარმომადგენელს დაევალა არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით შევსებული განცხადებისა და ხარვეზის წერილით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენა 2019 წლის 27 დეკემბრამდე.

2019 წლის 26 დეკემბერს, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ზ. ბ-ის წარმომადგენელმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარადგინა განცხადება „საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის განსაზღვრის თაობაზე“, ზ. ბ-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი ცნობა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნის თანახმად, ზ. ბ-ის 2019 წლის 5 დეკემბრის განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სააგენტოში წარდგენილი და მოპოვებული დოკუმენტებით ზ. ბ-ი (დაბ.: წელს, საქართველოში) ითვლება საქართველოს მოქალაქედ.

2020 წლის 5 თებერვალს ზ. ბ-ის წარმომადგენელმა №19954 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნის ბათილად ცნობა და ზ. ბ-ის მოქალაქეობის არქონის შესახებ დოკუმენტის გაცემა მოითხოვა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის წარმომადგენლის, ვ. ნ-ას 2020 წლის 5 თებერვლის №19954 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ბ-ი დაბადებულია საქართველოში, მან აშშ-ში მუდმივი ემიგრაციის მიზნით, დატოვა საქართველოს ტერიტორია 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ და ასევე არ ფლობს სხვა ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ის მოქალაქეობას და აღნიშნული გარემოებები აკმაყოფილებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-

ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც ზ. ბ-ი მიჩნეულ იქნა საქართველოს მოქალაქედ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ვინაიდან იგი დაიბადა საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში, ითვლებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქედ, 1991 წლის შემდგომ საქართველოს მოქალაქეობის მიღების გარეშე გაემგზავრა საქართველოდან და არც შესაბამისი ორგანოსთვის მიუმართავს აღნიშნული მოთხოვნით, რის გამოც არ არსებობდა მისი საქართველოს მოქალაქედ მიჩნევის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის №237 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულებაზე“, მოიხმო „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებად, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა ამ კანონის შესაბამისად მოიპოვეს ან მოიპოვებენ, მიიჩნევიან: ა) 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებული პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა; ბ) 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირები, რომლებიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდნენ საქართველოში და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა; გ) საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, თუ მათ არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ სადავო გადაწყვეტილებებით ზ. ბ-ი მიჩნეულ იქნა საქართველოს მოქალაქედ იმ საფუძველით, რომ იგი დაბადებულია საქართველოში, საქართველოს ტერიტორია დატოვა 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ და ასევე არ ფლობს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას („საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

სასამართლო მოიხმო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი, ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, საქმე №ბს-463-451(კ-13).

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ ზ. ბ-ის სახელზე საქართველოში გაცემული პირადობის დამადასტურებელი ბოლო დოკუმენტია (ზ. ბ-ის მიერ 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის დატოვებამდე) პასპორტი №..., გაცემული 1991 წლის 1 მარტს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ როგორც საქმეში წარმოდგენილი ზ. ბ-ის სახელზე 1991 წლის 1 მარტს გაცემული №... პასპორტით ირკვევა, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის მოქალაქის პასპორტს (საბჭოთა მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი). ამასთან, სასამართლომ აღნიშნა ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტერიტორიის დატოვებამდე (1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ) და მას შემდეგ ზ. ბ-ის საქართველოს შესაბამისი ორგანოებისთვის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით არ მიუმართავს და მასზე საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაცემულა.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ზ. ბ-მა წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომ-

ლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით აპელანტ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ზ. ბ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლო შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის №94, 16.12.2019 წლის ზ. ბ-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი ცნობის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2016 წლის 23 ივნისის №139 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპიური დებულების“ მე-7 მუხლის შესაბამისად, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის 2019 წლის 13 დეკემბრის სხდომის №40 ოქმისა და ამავე კომისიის 2019 წლის 13 დეკემბრის №40 განკარგულების საფუძველზე დადგინდა ზ. ბ-ის (დაბ. ... წლის ...) 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დატოვების ფაქტი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 06.01.2020 წლის №1000695796 დასკვნის (ზ. ბ-ის საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დადგენის შესახებ) თანახმად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მოქალაქეობის საკითხთა კომისიის 2018 წლის 4 სექტემბრის №2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ“ №2 დებულების შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ განიხილა ზ. ბ-ის 2019 წლის 5 დეკემბრის №1000695796 განცხადება საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დადგენის თაობაზე. აღინიშნა, რომ განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის „გ“

პუნქტის შესაბამისად, სააგენტოში წარდგენილი და მოპოვებული დოკუმენტებით ზ. ბ-ი (დაბ. წელს, საქართველოში) ითვლება საქართველოს მოქალაქედ. დასკვნა განთავსდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინტერნეტგვერდზე sda.gov.ge. განიმარტა გასაჩივრების წესი და ვადა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილების (ზ. ბ-ის წარმომადგენლის, ვ. ნ-ას 2020 წლის 5 თებერვლის №19954 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე) თანახმად: 1) არ დაკმაყოფილდა ზ. ბ-ის წარმომადგენლის, ვ. ნ-ას 2020 წლის 5 თებერვლის №19954 ადმინისტრაციული საჩივარი. განიმარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტომ განიხილა (შემდგომში სააგენტო) ზ. ბ-ის წარმომადგენლის, ვ. ნ-ას 2020 წლის 5 თებერვლის №19954 ადმინისტრაციული საჩივარი „ზ. ბ-ის საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დადგენის შესახებ“ სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნის ბათილად ცნობისა და ზ. ბ-ის მიერ მოქალაქეობის არქონის შესახებ დოკუმენტის გაცემის თაობაზე. მიერთითა 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნაზე, აგრეთვე იმაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოკვლევის შედეგად გამოირკვა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ზ. ბ-ი არ ფლობდა არცერთი ქვეყნის მოქალაქეობას: რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი 2019 წლის 23 მაისის №14288 წერილის თანახმად, განმცხადებელს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა არ ჰქონდა მოპოვებული, სადაც იგი ცხოვრობდა 1992 წლის აპრილიდან 1994 წლის 27 მაისამდე. ასევე განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით (აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გაცემული ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი, მართვის მოწმობა და ვ. ნ-აზე გაცემული გენერალური მინდობილობა, დამტკიცებული 2019 წლის 30 ოქტომბერს აშშ-ში, ...ის შტატში, საჯარო ნოტარიუსის მიერ) ვერ იქნა დადასტურებული ზ. ბ-ის ამჟამინდელი ბინადრობის ქვეყნის – აშშ-ის მოქალაქეობის ფლობის ფაქტი. ზ. ბ-ის დაბადების მოწმობით ირკვეოდა, რომ იგი დაბადებულია ქალაქ თბილისში ... წლის ...ს. 2019 წლის 6 დეკემბერს გაცემული №7020619024003 საინფორმაციო ბარათის შესაბამისად, ზ. ბ-ის სახელზე საქართველოში გაცემული პირადობის დამადასტურებელი ბოლო დოკუმენტია პასპორტი №..., გაცემული 1991 წლის 1 მარტს,

ხოლო ბოლო რეგისტრაციის ადგილი: ქ. თბილისი, ..., ... მ/რ, კორპუსი №..., ბინა №55 (რეგისტრაციის თარიღი: 1991 წლის 25 ივლისი). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენმა კომისიამ დაადგინა ზ. ბ-ის მიერ 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დატოვების ფაქტი, რაზედაც გასცა 2019 წლის 16 დეკემბრის №94 ცნობა. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნით, ზ. ბ-ის დაუდგინდა საქართველოსთან სამართლებრივი კავშირი. სამართლებრივი დასაბუთება: მიეთითა, რომ ზ. ბ-ის მიმართ ვრცელდებოდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30.1. „გ“ მუხლი (დაბადებულია საქართველოში, საქართველოს ტერიტორია დატოვა 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ აშშ-ში მუდმივი ემიგრაციის მიზნით, არ ფლობდა სხვა ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ს მოქალაქეობას). არ იქნა გაზიარებული ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებული არგუმენტაცია, რადგან საჩივრის ავტორი მოთხოვნას აფუძნებდა ძალადაკარგულ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონზე და არასწორად განმარტავდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30.1. „გ“ მუხლს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 19 ნოემბრის წერილობითი მომართვის საფუძველზე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურისათვის გადაგზავნილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არქივში დაცული ზ. ბ-ს ძე ბ-ისა და მის ოჯახის წევრების ემიგრაციის/მუდმივ საცხოვრებლად წასვლის შესახებ საქმის მასალები. დანართი 124 ფურცელი.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა და დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის საქართველოს ორგანული კანონის (ძალადაკარგულია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლით) 32.1. მუხლის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ: ბ) მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში. პა-

ლატამ ასევე მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის №237 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულებაზე“.

საქმის მასალების მიხედვით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელე ზ. ბ-ი დაიბადა ქალაქ თბილისში ... წლის ...ს, რეგისტრირებული (ჩაწერილი) გახლდათ და ცხოვრობდა ქალაქ თბილისში. 1991 წლის 1 მარტს ზ. ბ-იზე გაიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) დაიშალა 1991 წლის 26 დეკემბერს) №..., საქართველოს ტერიტორია დატოვა 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ (მისივე განმარტებით 1992 წლის აპრილში), რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა 1992 წლის აპრილიდან 1994 წლის 27 მაისამდე, ხოლო შემდეგ ოჯახთან ერთად გაემგზავრა ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი და ცხოვრობს დღემდე. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდება 1992 წლის აპრილის შემდეგ ზ. ბ-ის საქართველოში ჩამოსვლის, ცხოვრების და საქართველოსთან კავშირის ფაქტი (საქმის მასალების მიხედვით, მისი ოჯახი – მშობლები, შვილები, მეუღლე, და ცხოვრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე ზ. ბ-ის საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დადგენის სადავო საკითხის ხელახლი განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს ზემოთ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას გამოიყენა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის №237 ბრძანებულება „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, თუმცა არასწორად განმარტა აღნიშნული კანონები და მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ

დაკმაყოფილების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ასევე გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და თან არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, მიუთითა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის საქართველოს ორგანულ კანონზე, რომელიც ძალადაკარგულია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლით.

კასატორის მითითებით, სასამართლომ საქმის განხილვისას არ გაითვალისწინა, რომ ზ. ბ-ი არ ფლობდა არცერთი ქვეყნის მოქალაქეობას და ამასთან, ყველა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა დაედგინა საქართველოსთან სამართლებრივი კავშირი. კასატორის განმარტებით, ზ. ბ-ის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეობა არ მიუღია და არც რაიმე მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულა მასზე – იგი დაბადებულია საქართველოში, 1991 წლის 21 დეკემბრის შემდგომ დატოვა საქართველოს ტერიტორია და მასზე არცერთი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების ფაქტი არ დასტურდება. დღეის მდგომარეობით მოქმედი საქართველოს კანონი „მოქალაქეობის შესახებ“ კი სწორედ ამგვარ შემთხვევას ითვალისწინებს და პირს აძლევს შესაძლებლობას დაიდგინოს საქართველოსთან სამართლებრივი კავშირი და ისარგებლოს საქართველოს მოქალაქისთვის მინიჭებული უფლებებით. სასამართლო გადანაცვლებიდან კი მხოლოდ ის იკვეთება, რომ განმცხადებელს, როდესაც არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა 1991 წლის 21 დეკემბრის შემდგომ არ მიუღია, სამართლებრივი კავშირის დადგენაზე ეთქვა უარი და ყოველგვარი მფარველობის და დაცვის გარეშე დაეტოვებინა. შესაბამისად, კასატორისთვის გაურკვეველია, რა უნდა გამოიკვლიოს სააგენტომ და რა სამართლებრივი საფუძველი უნდა უთხრას უარი ზ. ბ-ის საქართველოს მოქალაქეობაზე.

სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს მიერ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის საქართველოს ორგანული კანონის გამოყენებაზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნული კანონი არ უნდა გამოეყენებინა სასამართლო, რადგან იგი გამოცხადებულია ძალადაკარგულად. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო დაეყრდნობოდა ამ კანონს, სრულყოფილად უნდა შეეფასებინა იგი. კასატორის მითითებით, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას თუ იგი მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში. ამავე კანონის 33-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოქალა-

ქეობის დაკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. კასატორი მიუთითებს დასახელებული კანონის 35-ე და 36-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ საქმისწარმოების მასალებით, ასევე, მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით არ დასტურდება ზ. ბ-ის მიერ აღნიშნული ნორმებით დადგენილი პროცედურის გავლისა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ფაქტი. ის, რომ ზ. ბ-ის 2 წლის განმავლობაში არ მიუმართავს საკონსულოსთვის და არ დამდგარა აღიციხვაზე, ავტომატურად არ ნიშნავს ზ. ბ-ის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

კასატორის მითითებით, სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს ზ. ბ-ის სახელზე 1991 წლის 1 მარტს გაცემულ პასპორტზე №..., თუმცა არ მსჯელობს რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ ფაქტმა ზ. ბ-ის საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დადგენაზე, მაშინ, როდესაც ნებისმიერი პირი, რომელიც რეგისტრირებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე, ფლობდა საბჭოთა კავშირის პასპორტს.

კასატორის მითითებით, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მიიღო მხედველობაში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი რეგულაცია, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, თუ მათ არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, მიიჩნევიან საქართველოს მოქალაქეებად. აღნიშნულ ფაქტს კი ადასტურებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ 2019 წლის 16 დეკემბერს გაცემული №94 ცნობა, რომლითაც დადგინდა ზ. ბ-ის მიერ 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დატოვების ფაქტი. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ვინაიდან ზ. ბ-ი აკმაყოფილებდა კანონმდებლის მოთხოვნას საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად, მას სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნით დაუდგინდა საქართველოსთან სამართლებრივი კავშირი. საქმის განხილვის მიმდინარეობისას არაერთგზის გამახვილდა ყურადღება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ გაცემულ ცნობაზე, რომლის მიხედვით, ზ. ბ-ი საქართველოდან წავიდა 1991 წლის 21 დეკემბრის შემდგომ, ასევე არ მოიპოვებდა საქმის მასალებში მის მიერ რომელიმე ქვეყნის

მოქალაქეობის მიღების შესახებ ინფორმაცია.

კასატორი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღინიშნოს, რომ საქართველოს ვალდებულებაა საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან გამომდინარე – მფარველობა გაუწიოს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

კასატორის მოსაზრებით, ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ სააგენტოს ყველა გარემოება და მტკიცებულება ჰქონდა იმისათვის, რომ ზ. ბ-ისთვის დაედგინა საქართველოსთან სამართლებრივი კავშირი. კონსტიტუციით გათვალისწინებული რეგულაცია ასევე ასახულია „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ საქართველოს მოქალაქეობად, გარდა იმ პირობისა, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა ამ კანონის შესაბამისად მოიპოვეს ან მოიპოვებენ, მიიჩნევიან: საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, თუ მათ არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

კასატორის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობითა და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ზ. ბ-ი დაბადებულია საქართველოში (საქმის მასალებში წარმოდგენილია ... წლის ...ს რეგისტრირებული დაბადების აქტის ჩანაწერი შედგენილი ზ. ბ-ის მიმართ), 1991 წლის 21 დეკემბრის შემდგომ აქვს ქვეყნის ტერიტორია დატოვებული და მას დღეის მდგომარეობით არ გააჩნია არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა, რაც სრულიად აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დასადგენად.

ამასთან, კასატორი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციაზე, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2014 წელს, სადაც აღნიშნულია, რომ კონვენცია წევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებს კანონმდებლობაში ჩადონ მექანიზმები ამ ქვეყნებში მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირებისთვის. კასატორის მითითებით, სწორედ ამ კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით მომზადდა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მო-

ქალაქეობის შესახებ“.

ზ. ბ-მა წარმოადგინა შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის – ზ. ბ-ის განმარტებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ის გარემოებები, რომ ზ. ბ-ი დაიბადა საბჭოთა კავშირში, მას ჰქონდა 1991 წლის 1 მარტს გაცემული საბჭოთა მოქალაქის პასპორტი (საბჭოთა მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი), საქართველოს ტერიტორიის დატოვებამდე 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ ზ. ბ-ის საქართველოს შესაბამისი ორგანოებისთვის მოქალაქეობის მიღების მოთხოვნით არ მიუმართავს და მასზე საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაცემულა. შესაბამისად, ზ. ბ-ი მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა მოეხდინა საქმის ადმინისტრაციული ორგანოსათვის განსახილველად დაბრუნება, რადგან საქმეზე გამოკვლეული არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დამატებით შეუძლებელია რაიმე სახის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, კონკრეტულ შემთხვევაში ის და მონინალმდევე მხარე ვერ თანხმდება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებაზე, რის გამოც სასამართლოს თავად უნდა გადაეწყვიტა სადავო საკითხი.

შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის – ზ. ბ-ის მითითებით, იგი დაიბადა 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, წელს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში და ითვლებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქედ, შესაბამისად, მას დაბადებით საქართველოს მოქალაქეობა არ მიუღია, ამასთან, არასდროს ჰქონია საქართველოს მოქალაქის პასპორტი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საბჭოთა კავშირის ყოფილ მოქალაქეებს ჰქონდათ არჩევანის უფლება მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა ან უარი ეთქვათ მის მიღებაზე, საქართველოს მოქალაქეობის მიღება დამოკიდებული იყო პირის ნებაზე, რაზეც მიუთითებდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი და 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს დადგენილი აქვს, რომ ზ. ბ-ი 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ გაემგზავრა საქართველოდან, მუდმივად ცხოვრობ-

და სხვა სახელმწიფოში და ორი წლის განმავლობაში არ დამდგარა საკონსულო აღრიცხვაზე. აღნიშნულ შემთხვევაშიც, 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა. ზ. ბ-ი არ ეთანხმება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებას და აღნიშნავს, რომ კანონში არ არის მითითებული, რომ აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდება კანონის ამოქმედებამდე არსებულ ურთიერთობებზე და ახლიდან არეგულირებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.

შეგებებული საკასაციო საჩივრის მიხედვით, 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ვიდრე ამოქმედდებოდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ახალი ორგანული კანონი, ზ. ბ-ი არ ყოფილა საქართველოს მოქალაქე. საქართველოსთან სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა არა 2014 წლის 30 ივნისის შემდეგ, როგორც ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, არამედ 1991 წლის 21 დეკემბრის შემდგომ, როდესაც ზ. ბ-იმა დატოვა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია და აღნიშნული ურთიერთობა დარეგულირდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონით.

შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება სააგენტოს მითითებას „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტზე.

ამასთან, ზ. ბ-ი მიუთითებს, რომ მისი ოჯახის წევრები – შვილები, მშობლები, დები წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს. შეგებებული საკასაციო საჩივრის მიხედვით, ის ფაქტი, რომ ფიზიკური პირი ზ. ბ-ი ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის დროს იყო საბჭოთა კავშირის მოქალაქე, იმთავითვე არ ნიშნავს, რომ ის არის დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე, რასაც ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა და ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სამართალში ყოფილი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ განსაზღვრულია რუსეთის ფედერაცია, ხოლო დანარჩენი წევრი სახელმწიფოები არიან საბჭოთა კავშირამდე არსებული სამართლებრივი რეჟიმის სამართალმემკვიდრეები. ფიზიკური პირი ზ. ბ-ი იყო საბჭოთა კავშირის მოქალაქე, მისი დაშლის შემდგომ, როცა საქართველოში ამოქმედდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 25 მარტის კანონი, იგი არ იმყოფებოდა საქართველოს

სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გამოხატა რა ნება უცხოეთში ყოფნისას არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე, შესაბამისად, შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზ. ბ-ი ითვლება მოქალაქეობის არმქონე პირად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილისა და 25 ივნისის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი და ზ. ბ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 სექტემბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი და ზ. ბ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრისა და შეგებებული საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. ბ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2019 წლის 5 დეკემბერს ზ. ბ-ის წარმომადგენელმა „საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის განსაზღვრის თაობაზე“ განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2019 წლის 6 დეკემბრის №1000695796/7 გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის წარმომადგენელს დაევალა არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით შევსებული განცხადებისა და ხარვეზის წერილით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენა 2019 წლის 27 დეკემბრამდე. 2019 წლის 26 დეკემბერს, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ზ. ბ-ის წარმომადგენელმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარადგინა განცხადება „საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის განსაზღვრის თაობაზე“, ზ. ბ-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონ-

კრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი ცნობა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნის თანახმად, ზ. ბ-ის 2019 წლის 5 დეკემბრის განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სააგენტოში წარდგენილი და მოპოვებული დოკუმენტებით ზ. ბ-ი (დაბ.: ნელს, საქართველოში) ითვლება საქართველოს მოქალაქედ.

2020 წლის 5 თებერვალს ზ. ბ-ის წარმომადგენელმა №19954 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რომლითაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნის ბათილად ცნობა და ზ. ბ-ის მოქალაქეობის არქონის შესახებ დოკუმენტის გაცემა მოითხოვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის წარმომადგენლის, ვ. ნ-ას 2020 წლის 5 თებერვლის №19954 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ბ-ი დაბადებულია საქართველოში, მან აშშ-ში მუდმივი ემიგრაციის მიზნით, დატოვა საქართველოს ტერიტორია 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ და ასევე არ ფლობს სხვა ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ის მოქალაქეობას და აღნიშნული გარემოებები აკმაყოფილებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც ზ. ბ-ი მიჩნეულ იქნა საქართველოს მოქალაქედ.

მოსარჩელე ზ. ბ-ი მიიჩნევს, რომ ვინაიდან იგი დაიბადა საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში, ითვლებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქედ, 1991 წლის 21 დეკემბრის შემდგომ საქართველოს მოქალაქეობის მიღების გარეშე გაემგზავრა საქართველოდან და არც შესაბამისი ორგანოსთვის მიუმართავს, რის გამოც არ არსებობდა მისი საქართველოს მოქალაქედ მიჩნევის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, განსახილველი დავის ფარგლებში სადავო გახდა ზ. ბ-ის მოქალაქეობის საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბა-

დებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივ მდგომარეობას და საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძვლებს. მითითებული კანონის 3.1. მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი; ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება: ა) დაბადებით; ბ) ნატურალიზაციით.

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის №237 ბრძანებულებით დამტკიცებულია „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულება“, რომელიც უკავშირდება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასა და შეწყვეტას და განსაზღვრავს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა (საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება, გამარტივებული წესით მინიჭება, საგამონაკლისო წესით მინიჭება, აღდგენის წესით მინიჭება, საქართველოს მოქალაქეობის დადგენა) და საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის (საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა), აგრეთვე საპატიო მოქალაქეობის მინიჭების საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის, მოქალაქეობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების, მათი კონტროლისა და მოქალაქეობის საკითხთა სტატისტიკის წარმოების წესებს. მითითებული „დებულების“ 3.1. მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი; ხოლო 4.1. მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებითა და ნატურალიზაციით. აღნიშნული „დებულების“ II თავით მოწესრიგებულია საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადების წარდგენის წესი, III თავით კი განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვის პროცედურა. მითითებული „დებულების“ 18.1. მუხლის მიხედვით, მოქალაქეობის საკითხთა განხილვის პროცესში სააგენტო ადგენს დაინტერესებული პირის სამართლებრივ კავშირს საქართველოსთან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, მოქალაქეობის საკითხთა განხილვის პროცესში სააგენტო უფლებამო-

სილია: ა) მოიწვიოს განმცხადებელი ან დაინტერესებული პირი, წარდგინების შემტანი ორგანოს წარმომადგენელი, აგრეთვე პირი, რომლის მოწვევასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესასწავლად, მიიღოს მათგან საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და ახსნა-განმარტება; ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, ასევე სხვა ორგანიზაციებიდან მიიღოს აუცილებელი დოკუმენტაცია და წერილობითი დასკვნები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო დასკვნისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის (საქართველოს მოქალაქეობის დადგენა) პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებად, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა ამ კანონის შესაბამისად მოიპოვეს ან მოიპოვებენ, მიიჩნევიან: ა) 1975 წლის 31 მარტამდე დაბადებული პირები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა; ბ) 1975 წლის 31 მარტის შემდეგ დაბადებული პირები, რომლებიც 1993 წლის 31 მარტისთვის ცხოვრობდნენ საქართველოში და რომლებსაც არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა; გ) საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებული პირები, რომლებმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვეს საქართველოს ტერიტორია და, ამდენად, ვერ აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, თუ მათ არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ამავე კანონის 34.2. მუხლის თანახმად, ამ კანონის 30-ე და 31-ე მუხლები მოქმედებდა 2020 წლის 31 დეკემბრამდე; ხოლო იმავე რეგულაციას ითვალისწინებს დღეს მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30² მუხლი.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სადავო დასკვნისა და გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოსთან ზ. ბ-ის სამართლებრივი კავშირის დასადგენად იხელმძღვანელა სწორედ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის აღნიშნული რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, შესაბამისად, სადავო საკითხის შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს დადგინდეს, რამდენად აკმაყოფილებდა ზ. ბ-ი დასახელებული ნორმის მოთხოვნებს.

საქმის მასალებში წარმოდგენილი ზ. ბ-ის დაბადების მოწმობის მიხედვით, ბ-ი ზ. ბ.-ს ძე დაიბადა ... წლის ...ს, ქ. თბილისში; ოლქი,

რესპუბლიკა – საქ. სსრ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა). ის ფაქტი, რომ ზ. ბ-ი დაბადებულია ქ. თბილისში, იმჟამად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ადასტურებს ზ. ბ-ის საქართველოს ტერიტორიაზე დაბადების ფაქტს, შესაბამისად, სახეზე გვაქვს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის აღნიშნული რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

რაც შეეხება ზ. ბ-ის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვების დროს, აღნიშნული მხარეთა შორის სადავოდ არ ქცეულა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის №94, 16.12.2019 წლის ზ. ბ-ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი ცნობის თანახმად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის №139 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ ტიპური დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად, „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ 2019 წლის 13 დეკემბრის სხდომის №40 ოქმისა და ამავე კომისიის 2019 წლის 13 დეკემბრის №40 განკარგულების საფუძველზე დადგინდა ზ. ბ-ის (დაბ. ... წლის ...) 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დატოვების ფაქტი. შესაბამისად, კანონის აღნიშნული მოთხოვნაც სახეზეა.

რაც შეეხება ზ. ბ-ის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების ფაქტს, აღნიშნული საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ დადასტურებულა. საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ ზ. ბ-ის არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ ზ. ბ-ი დაბადებულია საქართველოს ტერიტორიაზე, 1991 წლის 21 დეკემბრის შემდგომ დატოვა საქართველოს ტერიტორია და მასზე არცერთი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების ფაქტი არ დასტურდება. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო დასკვნისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს მოქალაქეობის დადგენის სწორედ ამგვარ შემთხვევას ითვალისწინებდა. შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ზ. ბ-ის განცხადების განხილვისას ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა დაედგინა საქართველოსთან მისი სამართლებრივი კავშირი, რის გამოც არ არ-

სებობს სადავოდ ქცეული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 6 იანვრის №1000695796 დასკვნისა და ზ. ბ-ის წარმომადგენლის, ვ. ნ-ას 2020 წლის 5 თებერვლის №19954 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 აპრილის №01/80006/გ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, საქმეზე უდავოდ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტას ზ. ბ-ის სახელზე 1991 წლის 1 მარტს გაცემულ №... პასპორტზე მითითებით, რამდენადაც პირი, რომელიც რეგისტრირებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე, ფლობდა საბჭოთა კავშირის პასპორტს.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს ზ. ბ-ის მითითებას „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 1993 წლის 25 მარტის საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პირი დაკარგავდა საქართველოს მოქალაქეობას თუ იგი მუდმივად ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგებოდა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში. დასახელებული კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს პრეზიდენტი. ამავე კანონის 35-ე მუხლის თანახმად, წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე სააგენტოში შეჭქონდა სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ – შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. ხოლო ამავე კანონის 36-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას განიხილავდა და შესაბამის დასკვნას ამზადებდა სააგენტო. თუ სააგენტოსთვის ამ კანონის 35-ე მუხლში მითითებულ უწყებათა მიერ წარდგინების შეტანის გარეშე გახდებოდა ცნობილი პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველების არსებობა, იგი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განიხილავდა მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს და მასალებს წარუდგენდა საქართველოს პრეზიდენტს.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება ზ. ბ-ის მიერ აღნიშნული ნორმებით დადგენილი პროცედურის გავლისა და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ფაქტი. ის

გარემოება, რომ ზ. ბ-ის 2 წლის განმავლობაში არ მიუმართავს საკონსულტაციო და არ დამდგარა აღრიცხვაზე, ავტომატურად არ ნიშნავდა ზ. ბ-ის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას, აღნიშნულის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს პრეზიდენტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 2014 წლის 30 აპრილის საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის დაკარგვის აღნიშნულ საფუძველს აღარ ითვალისწინებს. კასაციური – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციაზე, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2014 წელს და აღნიშნავს, რომ სწორედ ამ კონვენციის პრინციპების გათვალისწინებით მომზადდა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მიხედვით კი საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის უფლება; ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, რა დროსაც საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე. შესაბამისად, ზ. ბ-ის, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების არსებობისას, შესაძლებლობა აქვს გავიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ზ. ბ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისა-

გან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. ბ-ის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო სამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (150+300) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ზ. ბ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. ზ. ბ-ის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. განათლების საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის კანონიერება

ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების სასამართლო კონტროლის ფარგლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-763(კ-20)

21 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. აბუსერიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 23 ივლისს ლ. რ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2018 წლის 14 მაისს ჩაირიცხა გერმანიის ერთ-ერთ ნამყვან ...ის უნივერსიტეტში ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე – ...ის ...ისა და ...ო ...ის სამაგისტრო პროგრამა (...), სადაც სწავლის საფასური შეადგენს 5600 ევროს. ამასთან ერთად, აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში დამატებით საჭიროა ცხოვრების ხარჯი თვეში – 1000 ევრო. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა ერთწლიანია, ჯამში ცხოვრების ხარჯი მოთხოვნილი ჰქონდა 12000 ევროს ოდენობით. მოსარჩელის მითითებით, თავად უნივერსიტეტს და ამ პროგრამას არ გააჩნდა შიდა დაფინანსება, რის გამოც აღნიშნული პროგრამის დაფინანსების მიზნით მიმართა მოპასუხეს, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და შექმნილია სწორედ იმ მიზნით, რომ საბიუჯეტო სახსრებით დააფინანსოს საზღვარგარეთ განათლების მიმღები სტუდენტები.

სარჩელის თანახმად, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრმა აპლიკაციების შესწავლის მეორე ეტაპზე (პირველი ეტაპია ფორმალური შესწავლა, მეორე ეტაპია აპლიკაციების არსებითი შეფასება) უარი განაცხადა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ შემდეგ ეტაპზე (გასაუბრება) გადასვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ მეორე ეტაპზე ჯამურად მინიმუმ 34 ქულის მქონე აპლიკანტებისათვის. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოსარჩელემ მოითხოვა დასაბუთებული წერილის წარმოდგენა, სადაც მოცემული იქნებოდა ქულები კომპონენტების მიხედვით, რომელიც ცენტრმა გადაუგზავნა მოთხოვნიდან რამდენიმე დღეში, სადაც მითითებულია შემფასებლების მიერ მისთვის დანერილი ქულები, თუმცა არ არის მითითებული რომელმა კომისიის წევრმა რა შეფასება დაწერა. მოსარჩელის მითითებით, შემფასებლების ვინაობის მითითების ნაწილში ცენტრის მხრიდან მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი უარი. მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ დასაბუთებაში მითითებული კომპონენტების დიდი ნაწილი არის იმგვარი, რომ ტოვებს სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას, თუმცა არსებობს კომპონენტები, რომლებიც ობიექტურ ფაქტობრივ მოცემულობას ეფუძნება (უნდა ეფუძნებოდეს). მაგალითად, ასეთი კომპონენტია განათლების კომპონენტი, სადაც 7 შემფასებლიდან ერთ-ერთმა დაუწერა 0 ქულა მაშინ, როდესაც სხვა შემფასებლებმა – სამმა მათგანმა დაუწერა 8 ქულა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2016 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბაკალავრი) მაღალი აკადემიური მოსწრებით და იმავე წელს ჩაირიცხა ...ში, საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ...ის სამაგისტრო პროგრამად აღიარებულ ... პროგრამაზე შედარებით ...ში (LLM). მოსარჩელისთვის საინტერესოა თუ რა კრიტერიუმებით დაწერა შემფასებელმა 0 ქულა ამ ყველაფერში. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, იგი ასევე სადავოდ ხდის სხვა კომპონენტებსაც.

ამდენად, მოსარჩელემ ლ. რ-ას ნაწილში სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა, ასევე, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის კონკურსის მე-3 ეტაპზე – გასაუბრებაზე მოსარჩელის დაშვებისა და კონკურსში წარდგენილი აპლიკაციის დაკმაყოფილების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოსარჩელის მიმართ გამოცემის დავალაპორა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი და დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული

ლი თარგმანის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ლ. რ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 24 აპრილის №17-18 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამა „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“, დანართი №1-ის შესაბამისად და ამ პროგრამის განხორციელების მიზნით, გამოცხადდა სასტიპენდიო კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა, რომ კონკურსანტთა განაცხადების წარდგენა უნდა მომხდარიყო ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში – <https://app.iec.gov.ge>, ელექტრონული განაცხადის ფორმის შევსებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვის გზით.

მითითებული ბრძანების №1 დანართის მიხედვით, სასტიპენდიო პროგრამის საშუალებით, საქართველოს მოქალაქეებსა და პირადობის ნეიტრალური მონაწილის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებს შეეძლოთ მოეპოვებინათ დაფინანსება და სწავლა გაეგრძელებინათ საზღვარგარეთ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ამ პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ პროგრამულ მიმართულებებზე/სპეციალობებზე. ამასთან, პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე/სპეციალობებს წარმოადგენდა: აგრარული მეცნიერებანი; განათლება; ინჟინერია; საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; სოციალური მეცნიერებანი; ჰუმანიტარული მეცნიერებანი; სამართალი; არქიტექტურა; საჯარო მმართველობა; მენეჯმენტი. დაფინანსება კი გაიცემოდა კონკურსის წესით, სამართლიანობის, შეჯიბრებითობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

ამავე დანართის შესაბამისად, პროგრამის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ კონკურსის გამოცხადების გზით, ხოლო კონკურსის გამოცხადების პროცესი გულისხმობდა ცენტრის მიერ კონკურსის გამოცხადებას ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით, საზოგადოების ინფორმირებას და პროგრამაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; დაინტერესებული პირების მიერ ელექტრონული განაცხადის შევსებას და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის ინგლისურ ენაზე შედგენილი) ატვირთვას ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში; საკონკურსო ვადის ამონურვის შემდეგ კომპეტენციების ფარგლებში ცენტრისა და საკონკურსო კო-

მისიის მიერ დადგენილი წესით გამარჯვებულის გამოვლენას; გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულების გაფორმებას და ფინანსურ უზრუნველყოფას; ცენტრის ადმინისტრაციის მიერ დაფინანსებულ პირთა მხრიდან ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

დანართით ასევე დადგენილია, რომ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისა და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებას მიიღებდა საკონკურსო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა და დაამტკიცებდა კონკურსანტების შეფასების კრიტერიუმებსა და შეფასების ფორმებს. საკონკურსო კომისია ელექტრონული განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასებას მოახდენდა შეფასების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ქულების მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 100 (+ დამატებითი ბონუს) ქულა, აქედან: ელ. განაცხადის შეფასებისას, მაქსიმუმ 50 ქულა; გასაუბრების შეფასებისას, მაქსიმუმ 50 ქულა და დამატებითი ბონუს ქულა – მაქსიმუმ 4 (სოციალურად დაუცველი, შშმ პირის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებს, ასევე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული პირის სტატუსის მქონე კონკურსანტებს), ერთი სტატუსისთვის 1 ქულა. კონკურსი შედგებოდა სამი ეტაპისაგან: პირველი ეტაპი გულისხმობდა ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას. მეორე ეტაპი ითვალისწინებდა კომისიის მიერ ელექტრონული განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შინაარსობრივ შეფასებას, რომლის საფუძველზეც, კონკურსანტი უნდა გადასულიყო კონკურსის მე-3 ეტაპზე, შესაბამისი ქულის დადგენის შემთხვევაში (აღნიშნულ ეტაპზე კონკურსანტს შეეძლო მაქსიმუმ 50 ქულის დაგროვება). მესამე ეტაპი კი, გულისხმობდა კომისიასთან გასაუბრებას. აღნიშნულ ეტაპზე კონკურსანტს შეიძლებოდა დაეგროვებინა მაქსიმუმ 50 ქულა.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (9 კომისიის წევრი), განისაზღვრა კომისიის ფუნქციები და საქმიანობის წესი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ

განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 1 ივნისის №1 ოქმით დგინდება, რომ 2018 წლის 25 აპრილიდან 25 მაისის ჩათვლით განაცხადი გადაგზავნილი ჰქონდა 188 კონკურსანტს, მათ შორის, ლ. რ-ას (გერმანია, Europa Institut Saarland University, სამართალი).

მითითებული ოქმით, კონკურსის მე-2 და მე-3 ეტაპებზე კონკურსანტთა შეფასების მიზნით, დამტკიცდა შეფასების კრიტერიუმები და ფორმები ამ ოქმის №2 დანართის შესაბამისად. ზემოაღნიშნული №2 დანართი მოიცავდა კონკურსის მე-2 (შინაარსობრივი შეფასების) ეტაპზე გასულ პირთა შეფასების კრიტერიუმებს (1. განათლება, 2. გამოცდილება, 3. მოტივაცია, 4. სამომავლო გეგმები, 5. განაცხადის საერთო სიძლიერე), აღნიშნულ ეტაპზე თითოეული კრიტერიუმი ფასდებოდა ქულობრივი სპექტრით 0-10, კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე, კონკურსის მე-3 (გასაუბრების) ეტაპზე გასულ კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმებს (1. განათლება და გამოცდილება, 2. მოტივაცია და არგუმენტაცია, 3. პრეზენტაბელურობა, 4. სამომავლო გეგმები, 5. სასტიკენდიო პროგრამის მიზნებთან კონკურსანტის შესაბამისობა).

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომაზე განიხილა სასტიკენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“, ფარგლებში კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები. კომისიის სხდომას ესწრებოდა 8 კომისიის წევრი. კომისიის მითითებული სხდომის ოქმით (ოქმი №4) დადგინდა კონკურსის მესამე ეტაპზე გადასულ კონკურსანტთა გამოსავლენად გამსვლელი ქულები შემდეგ მიმართულებაზე/სპეციალობაზე: სამართალი – 34 ქულა; სოციალური მეცნიერებები – 33 ქულა; მენეჯმენტი – 32 ქულა; განათლება – 30 ქულა; ინჟინერია – 30 ქულა; არქიტექტურა – 30 ქულა; აგრარული მიმართულებები – 30 ქულა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი – 30 ქულა; საჯარო მმართველობა – 30 ქულა; ჰუმანიტარული მეცნიერებები – 28 ქულა. ნაშრომები შეაფასა – 7-მა კომისიის წევრმა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმის დანართით დგინდება, რომ ლ. რ-ას შეფასება შეადგენდა 30.4 ქულას, მათ შორის, ერთი ქულა მიღებული ჰქონდა დამატებითი ბონუს ქულის სახით, როგორც იძულებით გა-

დაადგილებულ პირს და სამართლის მიმართულებაში იგი რეიტინგით 29-ე ადგილზე იყო. ამასთან, მან შეფასება მიიღო ყველა კრიტერიუმში, მის მიერ მიღებული საშუალო ქულები თითოეულ კრიტერიუმში მერყეობდა 1-დან 7.5-მდე.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №183 დადგენილებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომელიც აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ჩაითვალა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის განათლების საერთაშორისო ცენტრის (სამსახურის) უფლებამოსიან ცვლედ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №180/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების საერთაშორისო ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) შექმნილია საერთაშორისო სასწავლო აკადემიური პროგრამების განვითარების და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, რაც ემსახურება საქართველოს როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში დასაქმებული კვალიფიციური კადრების მომზადებას. აღნიშნული დებულების მეორე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად კი, ცენტრის ფუნქციებია: საქართველოს მოქალაქეების, ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელების უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა. ხოლო მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ცენტრს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №201 დადგენილებაზე, რომლითაც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, საქართველოში საერთაშორისო განათლების ხარისხის, საერთაშორისო აკადემიური პროგრამების და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარების და ქვეყნის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდა თანდართული სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამა და პროგრამის ფარგლებში სსიპ – განათლების სა-

ერთაშორისო ცენტრის მიერ გრანტის გაცემის წესი და პირობები.

აღნიშნული დადგენილების დანართის – „სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეთა ან პირადობის ნეიტრალური მონაწილისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთა მიერ: ა) საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღებას; ბ) საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებას; გ) ამ პროგრამის საფუძველზე დამტკიცებული შესაბამისი სასტიპენდიო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულ კურსდამთავრებულთა თანამშრომლობას.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 1 ივნისის №1 ოქმით კონკურსის მე-2 ეტაპზე კონკურსანტთა შეფასების მიზნით, დამტკიცდა შეფასების კრიტერიუმები და ფორმები ამ ოქმის №2 დანართის შესაბამისად, რომლის მიხედვით კონკურსის მე-2 (შინაარსობრივი შეფასების) ეტაპზე გასულ პირთა შეფასების კრიტერიუმები იყო – 1. განათლება, 2. გამოცდილება, 3. მოტივაცია, 4. სამომავლო გეგმები, 5. განაცხადის საერთო სიძლიერე.

ამასთან, ბრძანების 3.2. პუნქტით დადგინდა, რომ საკონკურსო კომისია უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება, თუ სხდომას დაესწრებოდა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. 3.3. პუნქტის თანახმად, საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებდა დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტი იქნებოდა თავმჯდომარის ხმა. 3.4. პუნქტით კი დადგინდა, რომ საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დამოუკიდებლად შეაფასებდა თითოეულ კონკურსანტს და გამარჯვებულის გამოსავლენად კომისია გადაწყვეტილებას მიიღებდა კონკურსანტის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებული ქულობრივი შეფასების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსანტის საკონკურსო განაცხადი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა შეეფასებინა საკონკურსო კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული შეფასების ფორმებით ასევე დადგენილია, რომ ხუთივე კრიტერიუმის (1. გა-

ნათლება, 2. გამოცდილება, 3. მოტივაცია, 4. სამომავლო გეგმები, 5. განაცხადის საერთო სიძლიერე) შეფასება ხორციელდებოდა კომისიის წევრების მიერ ქულობრივი სპექტრით 0-10 ქულამდე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საბოლოო შედეგად კი განსაზღვრული იყო ყოველ საფეხურზე მიღებულ საშუალო ქულათა ჯამი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. რ-ა წარმოადგენდა ზემოაღნიშნული პროგრამის ბენეფიციარს, რომელმაც „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, წარადგინა ელექტრონული განაცხადი ცენტრის ელექტრონულ მისამართზე და განაცხადების განხილვის მიზნით, ატვირთა დოკუმენტაცია.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. რ-ამ გადალახა კონკურსის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობდა ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებთან, ხოლო მეორე ეტაპზე ლ. რ-ას შეფასება შეადგენდა 30.4 ქულას, მათ შორის, ერთი ქულა მიღებული ჰქონდა დამატებითი ბონუს ქულის სახით, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირს და სამართლის მიმართულებაში იგი რეიტინგით 29-ე ადგილზე იყო. ამასთან, მან შეფასება მიიღო ყველა კრიტერიუმში, მის მიერ მიღებული საშუალო ქულები თითოეულ კრიტერიუმში მერყეობდა 1-დან 7.5-მდე. დადგენილი კვოტების გათვალისწინებით მოსარჩელე არ იქნა დაშვებული მესამე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული კონკურსის მეორე ეტაპზე, დადგენილ ფორმებში მითითებული კრიტერიუმებისა და ქულობრივი ზღვარის შესაბამისად, კონკურსანტი ლ. რ-ა შეაფასა კომისიის ცხრა წევრიდან შვიდმა წევრმა, ხოლო კონკურსის მესამე ეტაპზე გადასულ კონკურსანტთა გამოსავლენად გამსვლელი ქულის დადგენა მოხდა კომისიის ცხრა წევრიდან რვა წევრის მონაწილეობით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე ეტაპზე კომისიამ შემოწმება განახორციელა დადგენილ ფორმებთან შეუსაბამოდ და აღნიშნა, რომ ხსენებული კომპონენტების შეფასება შესაძლებელი იყო დოკუმენტაციის შინაარსობრივი შემოწმებით შემფასებლის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში 0-10 ქულამდე ქულობრივი სპექტრით, რასაც განსახილველ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

სასამართლო მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაცი-

ული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-6 მუხლსა და მე-7 მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შეზღუდულ თავისუფლებას, რომელიც შეზღუდულია საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით, ვინაიდან, ერთი მხრივ, აღნიშნული ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მონესრიგებით, თუმცა შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმის მიზნითა და ფარგლებით.

მოცემულ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კომისიის სხდომები წარიმართა დადგენილი პროცედურის დაცვით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკურსის მიზნებიდან გამომდინარე, კომისიის მიერ მხოლოდ რაოდენობრივად, მექანიკურად არ უნდა ხდებოდეს დადგენილი კრიტერიუმების შეფასება და ზოგადად, გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურსანტის მონაცემთა შესაბამისობა საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის მიზანთან. განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა კონკურსანტის კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო მის მიერ არჩეულ მიმართულებასთან – საზღვარგარეთ შერჩეულ სასწავლო პროგრამასთან, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, შემფასებლების მიერ რიგ შემთხვევებში აკადემიური მიღწევებისა თუ სხვა კომპონენტების თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული უფრო მაღალი ქულით მოსარჩელის შეფასება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო კონტროლი არ მოიცავს საკონკურსო კომისიის, როგორც კოლეგიური სტრუქტურული ერთეულის მიერ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შეფასებას, რადგან იგი ეფუძნება ასეთი კომისიის თითოეული წევრის პირად პროფესიულ შეფასებას, შინაგან რწმენას და პირად აღქმას, რაც საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა არსებობს და იგი არ ფასდება კანონთან მიმართებაში. კანონმდებელმა ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის გაითვალისწინა შესაბამისი საკონკურსო კომისიის შექმნა და გადაწყვეტილების მიღება კომისიას მიანდო. მისი წევრების გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის სასამართლო კონტროლი საკონკურსო კომისიის და შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას გამოიწვევდა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სრული სასამართლო კონტროლი გამოიწვევდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას და სასამართლო კონ-

ტროლის მოცულობა შეზღუდულია იმ გარემოებების შემონახვით, არსებობდა თუ არა დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმის გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების ვალდებულება აქვს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა კი, სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დადასტურებული არ არის. საქმის მასალებიდან გამომდინარეობს, რომ კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება განხორციელდა ზემოაღნიშნული წესით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, პროცედურული ნორმების დაცვით და მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები არ შეიძლება გახდეს მისთვის მინიჭებული ქულის უკანონოდ მიჩნევის საფუძველი.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურსის წესების დარღვევა გამოიწვია იმან, რომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღებ პირთა ოდენობა არ ემთხვეოდა კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსანტის საკონკურსო განაცხადის შემფასებელ საკონკურსო კომისიის შემადგენლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანების მე-3 მუხლით პირდაპირ არის განერილი საკონკურსო კომისიისა და მეორე ეტაპზე საკონკურსო განაცხადების შემფასებელ კომისიის წევრთა აუცილებელი მინიმალური ოდენობები, ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი რაოდენობა არის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მითითებული ბრძანებით დამტკიცდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობა – 9 კომისიის წევრი, ამასთან, სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მიღებაში მონაწილეობა მიიღო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა, კერძოდ 8 კომისიის წევრმა, ხოლო მეორე ეტაპზე საკონკურსო განაცხადების შეფასება მოახდინა ასევე, კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახე-

ვარზე მეტმა – 7 წევრმა, შესაბამისად, ამ კუთხით, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ დარღვეულა ნორმატიულად განერილი პროცედურები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმი ლ. რ-ას ნაწილში გამოცემულია კანონის სრული დაცვით, ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც კანონიერად არის მიჩნეული სადავო გადაწყვეტილება და კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება განხორციელებულია სსენებული წესით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ასევე უსაფუძვლო იყო ლ. რ-ას მოთხოვნა მის მიერ კონკურსში წარდგენილი აპლიკაციის დაკმაყოფილების შესახებ. სასარჩელო მოთხოვნა – მოპასუხე სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის მოსარჩელის კონკურსის მე-3 ეტაპზე – გასაუბრებაზე დაშვების დავალებისა და შესაბამისად, მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე ასევე უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. რ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 იანვრის განჩინებით ლ. რ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილ-

ველ შემთხვევაში, სადავო შეფასების კანონიერების საკითხი, მიეკუთვნება საკონკურსო კომისიის ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის განჩინებაზე №ბს-1312(კ-18), სადაც საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „კონკურსანტის შეფასება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, რომელშიც სასამართლო კონტროლი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სასამართლო ფლობს დავის გადაწყვეტის სრულ იურისდიქციას, თუმცა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი. შეფასების ფართო ველის აღიარება იწვევს გადაწყვეტილების მიღების დისკრეციული სივრცის აღიარებას. კანდიდატების შეფასების სრული სასამართლო შემოწმების დაშვების შემთხვევაში ეს ფუნქცია უცილობლად მთლიანად სასამართლოში გადაინაცვლებს. კონვენციის მე-6 მუხლი არ გულისხმობს იმ დონის იურისდიქციის ხელმისაწვდომობას, რომელსაც შეუძლია სრულიად უგულვებელყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 21.07.116. გადაწყვეტილება საქმეზე, შპს „სიგმა რადიოტელევიზია“ კვიპროსის წინააღმდეგ (Sigma RadioTelevision LTD v. Cyprus) §153; 20.10.156. გადაწყვეტილება საქმეზე „ფაზია ალი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Fazia Ali v. the United Kingdom §77).... საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა ფაქტებისა და ნორმის სუბსუმფიციის შედეგად მიიღოს კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ალტერნატივიდან ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლო ამოწმებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერებას და არა მიზანშეწონილობას..... საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო კონტროლს თავისი საზღვრები აქვს, რადგან შეფასების პროცესს მრავალი ისეთი ელემენტი ახლავს, რომელიც არ ექვემდებარება ზუსტ შეფასებას (კომისიის წევრის სუბიექტური შთაბეჭდილება, პროფესიული თავისებურებების ზემოქმედება შეფასებაზე, საერთო შედეგების შეფასება და სხვ.).“

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, (იხ. სუსგ 08.07.046., №ბს-94-11-კს-04; 20.10.106. №ბს-342-331(კ-10);

25.03.09წ. №ბს1448-1406(კს-08); 20.07.11წ. №ბს-1805-1760(კ-10)) სასამართლო კონტროლს თავისი საზღვრები აქვს, რადგან შეფასებისას ყველა გარემოება არ ექვემდებარება ზუსტ შეფასებას. ნებისმიერი კონკურსის ჩატარებისას აუცილებელია შეფასება, შეფასება კი გარკვეულწილად უკავშირდება კომისიის წევრების მიხედულებას, რომელიც წარმოადგენს შეფასებითი კატეგორიების გამოყენების აუცილებელ ელემენტს. შესაბამისად, ამ სფეროში რეგულაციას მიზნად აქვს მისი თვითნებობაში გადაზრდის თავიდან აცილება, დისკრეციის სფეროს შეზღუდვა. დისკრეციის სფეროს შეზღუდვა ზოგადად დადებითი პროცესია, თუმცა ამ კუთხით სრული კონტროლის დაწესება გამოიწვევდა ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას. კომისიის სადავო გადანყვევტილება უკავშირდება განათლებისა და მეცნიერების სფეროში დასაქმებული პირებით, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისიის კომპეტენციას და სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადანყვევტილების მიღების პროცედურული მხარე, არის თუ არა დაცული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრები, მოხდა თუ არა მისი გამოყენება კანონმდებლობის მიზანთან შესაბამისად, დაცულია თუ არა შეფასების საყოველთაოდ მიღებული მასშტაბი, თანასწორობის პრინციპი და კონკურსის ჩატარების პროცედურული წესები. სასამართლო კონტროლი მოიცავს აგრეთვე ისეთ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება კომისიის წევრების მიერ კონკურსის ჩასატარებლად განსაზღვრული დანაწესის გაუთვალისწინებლობას, არასწორი ფაქტობრივი გარემოებებით ხელმძღვანელობას. კომისიის წევრის მიერ განხორციელებულ შეფასებაზე, სააპელაციო სასამართლოს აზრით, სასამართლო კონტროლი დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასება ემყარება აშკარა და გონივრულ ზღვარს მიღმა არასწორ გააზრებას და შედეგიც, შესაბამისად, დაუსაბუთებელი და მიუღებელია.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ ლ. რ-ამ „განათლების“ კრიტერიუმში მიიღო შემდეგი შეფასება: 8; 5; 8; 8; 5; 5; 0. მისმა საშუალო ქულამ ამ კრიტერიუმში შეადგინა 5,6.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ „განათლების“ კომპონენტში 0 ქულის დაწერა არაგონივრულია, რამდენადაც მოსარჩელეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (ბაკალავრიატი), რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომის ასლით. მისი დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა „...ის“ ... სამაგისტრო პროგრამაზე, მასვე განათლების კრიტერიუმში სხვა შემ-

ფასებლებმა დაუწერეს 5 და 8 ქულა, ხოლო იმავე შემფასებელმა, რომელმაც განათლების კომპონენტი შეუფასა 0 ქულით, გამოცდილების კომპონენტი შეაფასა 8 ქულით, მაშინ, როცა გამოცდილება და პრაქტიკა სპეციალობაში გარკვეულწილად მიღებული განათლების ხარისხთანაც არის დაკავშირებული. ამდენად, 0 ქულის დაწერა განათლების კომპონენტში იმ პირობებში, როდესაც წარდგენილია განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამასთან, გამოცდილება კომისიის იმავე წევრის მიერ შეფასებულია 8 ქულით და განათლების კომპონენტი კომისიის სხვა წევრების მიერ შეფასებულია გაცილებით მაღალი ქულებით, სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში შეფასება მიიჩნია არაგონივრულად. რაც შეეხება დანარჩენ ქულათა შეფასებას კომპონენტების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცალსახად არ იკვეთება მათი ირაციონალურობა. სააპელაციო სასამართლო ვერ შეითავსებდა კომისიის ფუნქციას და ვერ შეიჭრებოდა ორგანოს დისკრეციამში და მათ სისწორეს ვერ შეაფასებდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კონკურსის მესამე ეტაპზე გადასულ კონკურსანტთა გამოსავლენად გამსვლელი ქულა სამართლის მიმართულებით შეადგენდა 34 ქულას, ხოლო აპელანტს მიღებული აქვს 30,4 ქულა. ვინაიდან თითოეულ კომპონენტში კომისიის წევრთა მიერ დაწერილი ქულებიდან გამოითვლებოდა საშუალო არითმეტიკული და ყველა კომპონენტში მიღებული საშუალო ქულები ჯამდებოდა, განათლების კრიტერიუმში ნაცვლად 0 ქულისა, უმაღლესი – 10 ქულის დაწერის შემთხვევაშიც კი აპელანტი ვერ დააგროვებდა კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად აუცილებელ 34 ქულას (10 ქულის დაწერის შემთხვევაში, განათლების კომპონენტში მიღებული საშუალო ქულა შეადგენდა შვიდს, ხოლო ჯამში საშუალო ქულა – 30,8 ქულას. ამრიგად, ბონუს ქულის გათვალისწინებით, საბოლოო შეფასება იქნებოდა 31,8). შესაბამისად, სადავო (განათლების) კომპონენტში უმაღლესი შეფასების შემთხვევაშიც ვერ შეიცვლებოდა ქულების რაოდენობა იმგვარად, რომ ლ. რ-ას მიმართ დამდგარიყო სხვაგვარი შედეგი. ამდენად, მითითებული არგუმენტის გათვალისწინების პირობებშიც, სადავო აქტის ბათილად ცნობა მოსარჩელის ინტერესზე გავლენას ვერ მოახდენდა და იგი ვერ მიაღწევდა სასურველ შედეგს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან გამომდინარე კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, მისი მომზადებისა და გამოცემის წესის დარღვევა, მხოლოდ მაშინ იწვევს, როდესაც დარღვევას არსებითი ხასიათი აქვს და მისი არარსებობა პირისთვის სასურველი, დადები-

თი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, რასთანაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ გვაქვს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეფასების დისკრეციის მხედველობაში მიღებით, იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ არ უნდა შეითავსოს კომისიის ფუნქცია, არ უნდა ჩაანაცვლოს იგი, არამედ უნდა შეამოწმოს პროცედურის დაცულობა, თანასწორობის პრინციპის დაცვა, გამორიცხოს სხვა კონკურსანტებთან შედარებით პირის უარეს მდგომარეობაში ჩაყენება და დისკრიმინაცია, ხოლო შეფასება უნდა შეაფასოს იმის მიხედვით, ხომ არ არის სახეზე აშკარად ირაციონალური და მიუღებელი შეფასება, რომელიც იმთავითვე მიუთითებს შეფასების უსწორობაზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება გამოცდის ჩატარების წესისა და პროცედურის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც სადავო აქტის ბათილად ცნობას გამოიწვევდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. რ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი თავდაპირველად მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება და განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, კერძოდ, იმავე ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მნიშვნელოვან განმარტებებს საქმეზე №ბს-797(კ-18).

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია მაშინ, როდესაც მისთვის განათლების კომპონენტში დაწერილი დაბალი შეფასება არაგონივრულად მიიჩნია და ამავდროულად, მოცემულ საქმეზე დარღვევა არ დაადგინა. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არ უმსჯელია სხვა კომპონენტებთან დაკავშირებით.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა დისკრეციული უფლებამოსილების არსი, რაც გადაწყვეტილების

გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზანია თითოეულ საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და არა ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის დაშვება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი ფარგლები. დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებზე და აღნიშნავს, რომ სასამართლომ აქტის კანონიერებასთან მიმართებით არ უნდა გაიზიაროს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მიუთითება, რამდენადაც აღნიშნული ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს აქტის დასაბუთებულობის ვალდებულებისაგან. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სადავო აქტის დასაბუთებულობის, კანონიერების შემოწმება და შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა თუ როგორ შეაფასა მან ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები. ამასთან, კასატორის მითითებით, სასამართლოს არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცების ტვირთი ეკისრება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. რ-ას საკასაციო საჩივარი; საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით ლ. რ-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის განჩინებით ლ. რ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა

მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ ლ. რ-ას დაზუსტებული საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. რ-ას დაზუსტებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე წარმოდგენილი სარჩელით ლ. რ-ას ნაწილში სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმის ბათილად ცნობას, ასევე, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრისათვის კონკურსის მე-3 ეტაპზე – გასაუბრებაზე მოსარჩელის დაშვებასა და კონკურსში წარდგენილი აპლიკაციის დაკმაყოფილების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოსარჩელის მიმართ გამოცემის დავალებას ითხოვდა, ხოლო საკასაციო სასამართლოში ლ. რ-ამ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და ლ. რ-ას ნაწილში სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრისთვის ლ. რ-ას მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილი წესით გამოცემის დავალება მოითხოვა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მოცემული დავა განიხილა და გადაწყვიტა დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 24 აპრილის №17-18 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამა – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“, დანართი №1-ის შესაბამისად და ამ პროგრამის განხორციელების მიზნით გამოცხადდა სასტიპენდიო კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა, რომ კონკურსანტთა განაცხადების წარდგენა უნდა მომხდარიყო ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში – <https://app.iec.gov.ge/>, ელექტრონული გა-

ნაცხადის ფორმის შევსებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვის გზით. მითითებული ბრძანების №1 დანართის მიხედვით, სასტიპენდიო პროგრამის საშუალებით საქართველოს მოქალაქეებსა და პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებს მიეცათ შესაძლებლობა მოეპოვებინათ დაფინანსება და სწავლა გაეგრძელებინათ საზღვარგარეთ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ამ პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ პროგრამულ მიმართულებებზე/სპეციალობებზე. ამასთან, პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებს/სპეციალობებს წარმოადგენდა: აგრარული მეცნიერებანი; განათლება; ინჟინერია; საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; სოციალური მეცნიერებები; ჰუმანიტარული მეცნიერებანი; სამართალი; არქიტექტურა; საჯარო მმართველობა; მენეჯმენტი. დაფინანსება კი გაიცემოდა კონკურსის წესით, სამართლიანობის, შეჯიბრებითობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

ამავე დანართის შესაბამისად, სასტიპენდიო პროგრამის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ კონკურსის გამოცხადების გზით, ხოლო კონკურსის გამოცხადების პროცესი გულისხმობდა ცენტრის მიერ კონკურსის გამოცხადებას ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით, საზოგადოების ინფორმირებასა და პროგრამაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; დაინტერესებული პირების მიერ ელექტრონული განაცხადის შევსებას და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის ინგლისურ ენაზე შედგენილი) ატვირთვის ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში; საკონკურსო ვადის ამონურვის შემდეგ კომპეტენციების ფარგლებში ცენტრისა და საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი წესით გამარჯვებულის გამოვლენას; გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულების გაფორმებას და ფინანსურ უზრუნველყოფას; ცენტრის ადმინისტრაციის მიერ დაფინანსებულ პირთა მხრიდან ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

აღნიშნული დახარტით ასევე დადგენილია, რომ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისა და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებდა საკონკურსო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა და დამტკიცებდა კონკურსანტების შეფასების კრიტერიუმებსა და შეფასების ფორმებს. საკონკურსო კომისია ელექტრონული განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასებას მოახდენდა შეფასების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ქულების მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 100 (+ დამატებითი ბონუს) ქულა, აქედან:

ელ. განაცხადის შეფასებისას, მაქსიმუმ 50 ქულა; გასაუბრების შეფასებისას, მაქსიმუმ 50 ქულა და დამატებითი ბონუს ქულა – მაქსიმუმ 4 (სოციალურად დაუცველი, შშმ პირის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებს, ასევე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული პირის სტატუსის მქონე კონკურსანტებს), ერთი სტატუსისთვის 1 ქულა. კონკურსი შედგებოდა სამი ეტაპისაგან: პირველი ეტაპი გულისხმობდა ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას. მეორე ეტაპი ითვალისწინებდა კომისიის მიერ ელექტრონული განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შინაარსობრივ შეფასებას, რომლის საფუძველზეც, კონკურსანტი უნდა გადასულიყო კონკურსის მე-3 ეტაპზე, შესაბამისი ქულის დადგენის შემთხვევაში (აღნიშნულ ეტაპზე კონკურსანტს შეეძლო მაქსიმუმ 50 ქულის დაგროვება). მესამე ეტაპი კი, გულისხმობდა კომისიასთან გასაუბრებას. აღნიშნულ ეტაპზე კონკურსანტს შეეძლოდა დაეგროვებინა მაქსიმუმ 50 ქულა.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიკენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (9 კომისიის წევრი), განისაზღვრა კომისიის ფუნქციები და საქმიანობის წესი. მითითებული ბრძანების 3.2. პუნქტით დადგინდა, რომ საკონკურსო კომისია უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება, თუ სხდომას დაესწრებოდა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. 3.3. პუნქტის თანახმად, საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებდა დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნებოდა თავმჯდომარის ხმა. 3.4. პუნქტით კი დადგინდა, რომ საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დამოუკიდებლად შეაფასებდა თითოეულ კონკურსანტს და გამარჯვებულის გამოსავლენად კომისია გადაწყვეტილებას მიიღებდა კონკურსანტის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებული ქულობრივი შეფასების საფუძველზე. 3.6. პუნქტის თანახმად კი, კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსანტის საკონკურსო განაცხადი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა შეეფასებინა საკონკურსო კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

„სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიკენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის

წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 1 ივნისის №1 ოქმით კონკურსის მე-2 ეტაპზე კონკურსანტთა შეფასების მიზნით, დამტკიცდა შეფასების კრიტერიუმები და ფორმები ამ ოქმის №2 დანართის შესაბამისად, რომლის მიხედვით, კონკურსის მე-2 (შინაარსობრივი შეფასების) ეტაპზე გასულ პირთა შეფასების კრიტერიუმები იყო – 1. განათლება, 2. გამოცდილება, 3. მოტივაცია, 4. სამომავლო გეგმები, 5. განაცხადის საერთო სიძლიერე. აღნიშნული შეფასების ფორმებით ასევე დადგენილია, რომ ხუთივე კრიტერიუმის შეფასება ხორციელდებოდა კომისიის წევრების მიერ ქულობრივი სპექტრით 0-10 ქულამდე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საბოლოო შედეგად კი განსაზღვრული იყო ყოველ საფეხურზე მიღებულ საშუალო ქულათა ჯამი.

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმით დადგინდა კონკურსის მესამე ეტაპზე გადასულ კონკურსანტთა გამოსავლენად გამსვლელი ქულები: სამართალი – 34 ქულა.

დადგენილია, რომ ლ. რ-ა წარმოადგენდა ზემოაღნიშნული პროგრამის ბენეფიციარს, რომელმაც „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წარადგინა ელექტრონული განაცხადი ცენტრის ელექტრონულ მისამართზე და განაცხადების განხილვის მიზნით ატვირთა დოკუმენტაცია. ლ. რ-ამ გადალახა კონკურსის პირველი ეტაპი, რაც გულისხმობდა ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებთან, ხოლო მეორე ეტაპზე მისმა შეფასებამ შეადგინა 30.4 ქულა, მათ შორის, ერთი ქულა მიღებული ჰქონდა დამატებითი ბონუს ქულის სახით, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირს და სამართლის მიმართულებაში იგი რეიტინგით 29-ე ადგილზე იყო, რის გამოც იგი არ იქნა დაშვებული მესამე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

ამასთან, კონკურსის მეორე ეტაპზე, დადგენილ ფორმებში მითითებული კრიტერიუმებისა და ქულობრივი ზღვარის შესაბამისად, კონკურსანტი ლ. რ-ა შეაფასა კომისიის ცხრა წევრიდან შვიდმა წევრმა, ხოლო კონკურსის მესამე ეტაპზე გადასულ კონკურსანტთა გამოსავლენად გამსვლელი ქულის დადგენა მოხდა კომისიის ცხრა წევრიდან რვა წევრის მონაწილეობით, „სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო

კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანების მე-3 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, რომლითაც განერილია საკონკურსო კომისიისა და მეორე ეტაპზე საკონკურსო განაცხადების შემფასებელ კომისიის წევრთა აუცილებელი მინიმალური ოდენობები.

კასატორი სადავოდ ხდის მის ნაწილში სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმის კანონიერებას, დაუსაბუთებლად მიიჩნევს მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ლ. რ-ამ ვერ გადალახა კონკურსის მეორე ეტაპი. ნარმოდგენილ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ კონკურსის მეორე ეტაპზე შესაფასებელი კომპონენტების დიდი ნაწილი არის იმგვარი, რომ ტოვებს სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას, თუმცა არსებობს კომპონენტები, რომლებიც ობიექტურ ფაქტობრივ მოცემულობას ეფუძნება (უნდა ეფუძნებოდეს). ასეთ კომპონენტად მოსარჩელე მაგალითისთვის განათლების კომპონენტს ასახელებს, სადაც 7 შემფასებელიდან ერთ-ერთმა დაუნერა 0 ქულა მაშინ, როდესაც სხვა შემფასებლებმა – სამმა მათგანმა დაუნერა 8 ქულა.

განათლების კრიტერიუმში არსებული დაუსაბუთებლად შეუსაბამო ქულები გახდა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის არსებითად განხილვის მთავარი საფუძველი, რამდენადაც საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელემ 2016 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ფაკულტეტი (ბაკალავრი), კარგი აკადემიური მოსწრებით და იმავე წელს ჩაირიცხა ...ში, ...ის ... სამაგისტრო პროგრამაზე. აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ, სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ განათლების კომპონენტში 0 ქულის დანერა არაგონივრულია, თუმცა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ განათლების კრიტერიუმში ნაცვლად 0 ქულისა, უმაღლესი – 10 ქულის დანერის შემთხვევაშიც კი აპელანტი ვერ დააგროვებდა კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად აუცილებელ 34 ქულას (10 ქულის დანერის შემთხვევაში, განათლების კომპონენტში მიღებული საშუალო ქულა შეადგენდა შვიდს, ხოლო ჯამში საშუალო ქულა – 30,8 ქულას. ამრიგად, ბონუს ქულის გათვალისწინებით, საბოლოო შეფასება იქნებოდა 31.8), მიიჩნია, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობა მოსარჩელის ინტერესზე გავლენას ვერ მოახდენდა და იგი

ვერ მიიღწევდა სასურველ შედეგს.

საკაცაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას განათლების კომპონენტში 0 ქულის დაწერის არაგონივრულობის ნაწილში, რა დროსაც სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიერ მიღებულ განათლებას, თუმცა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის იმ ნაწილს, რომელიც გამოიციხავს მოცემულ საქმეზე მოსარჩელის სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ განათლების კრიტერიუმში ნაცვლად 0 ქულისა, უმაღლესი – 10 ქულის დაწერის შემთხვევაშიც კი აპელანტი ვერ დააგროვებდა კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად აუცილებელ 34 ქულას.

დადგენილია, რომ ლ. რ-ამ განათლების კრიტერიუმში მიიღო შემდეგი შეფასება: 8; 5; 8; 8; 5; 5; 0 და მისმა საშუალო ქულამ ამ კრიტერიუმში შეადგინა 5,6. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ფაკულტეტი (ბაკალავრი), კარგი აკადემიური მოსწრებით. მისი დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ...ის ... სამაგისტრო პროგრამაზე. შესაბამისად, ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს არის მოკლებული ლ. რ-ას განათლების კომპონენტში 0 ქულით შეფასება. განათლების კომპონენტში ერთ-ერთი შემფასებლის მიერ დაწერილი 0 ქულის შეუსაბამოებაზე მიუთითებს იმავე შემფასებლის მიერ გამოცდილებს კომპონენტის 8 ქულით შეფასება მაშინ, როდესაც გამოცდილება და პრაქტიკა სპეციალობაში გარკვეულწილად მიღებული განათლების ხარისხთანაც არის დაკავშირებული. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილია განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამასთან, კონკურსანტის გამოცდილება კომისიის იმავე წევრის მიერ შეფასებულია 8 ქულით და განათლების კომპონენტი კომისიის სხვა წევრების მიერ შეფასებულია გაცილებით მაღალი ქულებით, მართებულია ამ ნაწილში შეფასების არაგონივრულად მიჩნევა.

ამასთან, საკაცაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის – „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2018-2019“-ის საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 1 ივნისის №1 ოქმით კონკურსის მე-2 ეტაპზე კონკურსანტთა შეფასების მიზნით, დამტკიცდა შეფასების კრიტერიუმები და ფორმები ამ ოქმის №2 დანართის შესაბამისად, რომლის მიხედვით, კონკურ-

სის მე-2 (შინაარსობრივი შეფასების) ეტაპზე გასულ პირთა შეფასების კრიტერიუმები იყო – 1. განათლება, 2. გამოცდილება, 3. მოტივაცია, 4. სამომავლო გეგმები, 5. განაცხადის საერთო სიძლიერე. აღნიშნული შეფასების ფორმებით ასევე დადგენილია, რომ ხუთივე კრიტერიუმის შეფასება ხორციელდებოდა კომისიის წევრების მიერ ქულობრივი სპექტრით 0-10 ქულამდე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საბოლოო შედეგად კი განსაზღვრული იყო ყოველ საფეხურზე მიღებულ საშუალო ქულათა ჯამი. აღსანიშნავია, რომ კონკურსანტი იმ შემთხვევაში ფასდებოდა 10-დან 0 ქულით, როდესაც იგი აკმაყოფილებდა მხოლოდ კონკურსის მინიმალურ სტანდარტს, თუმცა არ ირკვეოდა მისი კრიტერიუმთან შესაბამისობა; 2 ქულა იწერებოდა იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის მიმართება კრიტერიუმთან სუსტად იყო წარმოჩენილი; 5 ქულა იწერებოდა, თუ კონკურსანტი კრიტერიუმს აკმაყოფილებდა საშუალო დონეზე; 8 ქულის დაწერის შემთხვევაში კონკურსანტს კრიტერიუმში უნდა დაეკმაყოფილებინა მაღალ დონეზე; ხოლო 10-დან 10 ქულის მისაღებად კონკურსანტს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა კრიტერიუმში, მისი პოზიცია დამაჯერებელი და არგუმენტირებული უნდა ყოფილიყო. აღნიშნულის თანახმად, იმისათვის, რომ ლ. რ-ას განათლების კრიტერიუმში მიეღო 0 ქულა, აუცილებელი იყო, რომ კონკურსანტს დაეკმაყოფილებინა მხოლოდ კონკურსის მინიმალური სტანდარტი და სახეზე არ უნდა ყოფილიყო მისი კრიტერიუმთან შესაბამისობა. ამდენად, მოსარჩელის მიერ მიღებული განათლების გათვალისწინებით, განათლების კრიტერიუმში ლ. რ-ას 0 ქულით შეფასება წინააღმდეგობაში მოდის შეფასების აღნიშნულ ფორმებთან; სახეზეა აშკარად ირაციონალური და მიუღებელი შეფასება, რომელიც იმთავითვე მიუთითებს შეფასების უსწორობაზე.

მოსარჩელის მიერ მიღებული განათლების გათვალისწინებით, გარდა იმისა, რომ შეუსაბამო და არაგონივრულია განათლების კომპონენტში მისი 0 ქულით შეფასება, ასევე დაუსაბუთებელია დანარჩენი შემფასებლების მიერ მოსარჩელის განათლების შეფასება. კონკურსანტის 5 ქულით შეფასებისას არ არის დასაბუთებული რატომ შეფასდა ლ. რ-ას განათლების კომპონენტი საშუალოდ. საქმეზე არ დგინდება განათლების კომპონენტის შეფასებისას რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეს კომისიის წევრებმა, როდესაც ერთერთმა შემფასებელმა 0 ქულის დაწერით ფაქტობრივად არ აღიარა მოსარჩელის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული განათლება კარგი აკადემიური მოსწრებით, ასევე ის, რომ მოსარჩელე ჩარიცხული იყო ... სამაგისტრო პროგრამაზე, ხოლო სამმა მათგანმა 10 ქულიდან 5-

ქულიანი შეფასება დაუნერა, სამმა კი – 8-ქულიანი. არ ირკვევა განათლების კომპონენტში უმაღლესი ქულის მისაღებად რა მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა კონკურსანტს. ამდენად, დაუსაბუთებელი და გაუგებარია, როგორც ცალკეულ შემფასებელთა მიერ დაწერილი ქულების შეუსაბამობა, ასევე ზოგადად განათლების კომპონენტში მიღებული ქულა, მოსარჩელის განათლების გათვალისწინებით.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ განათლების კრიტერიუმში ნაცვლად 0 ქულისა, უმაღლესი – 10 ქულის დაწერის შემთხვევაშიც მოსარჩელე ვერ მიაღწევდა სასურველ შედეგს, რამდენადაც, განათლების კრიტერიუმში საბოლოო საშუალო ქულის მისაღებად სააპელაციო სასამართლო აფასებს შვიდი შემფასებლიდან მხოლოდ ერთ-ერთის მიერ დაწერილ ქულას, ხოლო საქმეზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს დანარჩენი შემფასებლების მიერ დაწერილ ქულებსაც. ამასთან, სარჩელში მოსარჩელეს მართალია მაგალითის სახით განათლების კომპონენტში დაწერილი ქულის დაუსაბუთებლობა მოჰყავს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ იგი ასევე სადავოდ ხდის სხვა კომპონენტებსაც. შესაბამისად, მოსარჩელისთვის დაწერილი და შესაძლო დასაწერი ქულების დაჯამებისას საკასაციო სასამართლო არ გამოორიცხავს როგორც განათლების კომპონენტში დანარჩენი შემფასებლების მიერ დაწერილი/დასაწერი ქულების, ასევე სხვა კომპონენტებში გათვალისწინებული ქულების ჩართვის შესაძლებლობას (მე-2 ეტაპზე გასულ პირთა შეფასების კრიტერიუმები იყო – 1. განათლება, 2. გამოცდილება, 3. მოტივაცია, 4. სამომავლო გეგმები, 5. განაცხადის საერთო სიძლიერე), რის გამოც საკასაციო სასამართლო გამოორიცხავს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მოცემულ დავაში მოსარჩელისთვის სასურველი შედეგის მიღწევის შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კომპონენტების მიხედვით დანარჩენ ქულათა შეფასებისას სასამართლოს კომპეტენციის გამოორიცხვის თაობაზე. მართალია, კონკურსანტთა შეფასებისას კომისია მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და დაუშვებელია სასამართლოს მიერ კომისიის ფუნქციების შეთავსება, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში შეჭრა, თუმცა დისკრეციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე სასამართლოს კონტროლი ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გადასინჯვა და სასარჩელო წარმოებით უფლე-

ბის დაცვა ეფექტურ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. „დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს მოქმედების თავისუფლებას, თუმცა არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სივრცეს, ასეთ პირობებში მოქალაქეს არ ერთმევა უფლება მოითხოვოს მის მიმართ უშეცდომო გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც სრული მონესრიგება. გარემოებათა სიმრავლის, სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით სასამართლო შემომწმების მასშტაბი ცვალებადია“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.03.2019წ. №ბს-797(კ-18) გადაწყვეტილება).

სასამართლო ფლობს დავის გადაწყვეტის სრულ იურისდიქციას, თუმცა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12) განჩინება). „შეფასების გარკვეული თავისუფლების მიუხედავად, ცხადია, რომ მისი გამოყენება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკური პროცესი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს მოქალაქეთა დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენის ინტერესთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს. მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. სზაკ-ის 7.2 მუხლის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.126. №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.106. №ბს-342-331(კ-10)), ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება უკიდევანო არ არის და მის ფარგლებში თვითნებობის, დისკრიმინაციის, დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენა დაუშვებელია, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა. დისკრეციული უფლებამოსილების ცნებისათვის იმა-

ნენტურია მისი სამართლებრივი ბოჭვა, რაც სასამართლო კონტროლის პირობებშია შესაძლებელი“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.03.2019წ. №ბს-797(კ-18) გადაწყვეტილება).

ამასთან, სასამართლო კონტროლს თავისი საზღვრები აქვს, რადგან შეფასებისას ყველა გარემოება არ ექვემდებარება ზუსტ შეფასებას, თუმცა განსახილველ შემთხვევაში ცალკეულ კომპონენტთა შეფასებისას სასამართლო კონტროლის ფარგლების განსაზღვრისას საგულისხმოა, რომ განათლების კომპონენტის მსგავსად ობიექტურ ფაქტობრივ მოცემულობას უნდა ეფუძნებოდეს. მოცემულ შემთხვევაში დისკრეციული ველის შეზღუდვის, სასამართლო კონტროლის გაფართოების შესაძლებლობას გარკვეულწილად იძლევა შეფასებისას არსებული კრიტერიუმების ხასიათი და საქმეზე წარმოდგენილი შეფასების ფორმები, სადავო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება კი შესაძლებელი უნდა იყოს მისი დასაბუთებიდან. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვით კონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებასა და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს თუ რატომ, რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით და მან შეძლოს, იცოდეს რა არგუმენტებით დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობა.

„კანონმდებლობა ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ ადგენს დასაბუთების მოთხოვნას (სზაკ-ის 53-ე მუხ. 1-ლი ნაწ.), თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქტის დასაბუთების საერთო იმპერატივი დამატებით მოთხოვნებს ითვალისწინებს (სზაკ-ის 53.4 მუხ.). აქტის დასაბუთების შინაარსისა და მოცულობისადმი მოთხოვნები დეტერმინირებულია საკით-

ხის თავისებურებებით. სხვა გადაწყვეტილების მსგავსად, მიხედულების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მნიშვნელოვან ფაქტოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტებზე მითითებას. დასაბუთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისკრეციული აქტებისათვის, დასაბუთების არარსებობა არის აქტის გაუქმების საფუძველი (სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა საკმარისად იქნეს მიჩნეული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთების სასამართლოსათვის წარდგენა). ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია რაიმე აღმატებული სტატუსი ან აბსოლუტური ძალაუფლება, რაც ავალდებულებს მას დასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, ხსენებული ზრდის აქტის ხარისხს. წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით დასაბუთების მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს ჯანსაღი გამოვლინებაა. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება გულისხმობს გადაწყვეტილების შედგენის დასაბუთებას, რომლის მეშვეობით ირკვევა მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.03.2019წ. №ბს-797(კ-18) გადაწყვეტილება).

ამდენად, დისკრეციულ სფეროში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლის მიზანს. ამასთან, სასამართლო ამონიშნავს არა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერება-დასაბუთებულობას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე არსებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს მთლიანად განათლების კომპონენტის საბოლოო შეფასებას, არც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და არც სასამართლოში საქმის განხილვისას არ დასახელებულა ის გარემოებები, რამაც ლ. რ.-ას ამგვარი შეფასება გამოიწვია. არ არის დასაბუთებული განათლების კომპონენტში სათანადო შეფასების მისაღებად რა მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა კონკურსანტს, რამდენადაც, როგორც აღინიშნა მოსარჩელეს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კარგი აკადემიური მოსწრებით, რის შემდგომაც ჩაირიცხა ...ში ... სამაგისტრო პროგრამაზე. კომისიის სადავო გადაწყვეტილება განათლების კომპონენტის ნაწილში სცილდება გონივრულობის ფარგლებს, კომისიის გადაწყვეტილებიდან არ დგინდება ლ. რ.-ას განათლების ამგვარი შეფასების საფუძველები.

სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს

გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება, რაც შესაძლებელი ხდება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან. დისკრეციული უფლებამოსილება არ უნდა იქცეს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთადერთ საზომად. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი იმპერატიულ ხასიათს ატარებს და ადმინისტრაციულ ორგანოს აქტის დასაბუთებას ავალდებულებს. მართალია, საკონკურსო კომისიის ცალკეული წევრი, საკუთარი შეხედულებისამებრ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აფასებს კონკურსანტს თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით, თუმცა შეფასება უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის ფაქტობრივ საფუძველს. განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება კომისიისათვის ლ. რ-ას განათლების დამადასტურებელი ინფორმაციის წარდგენა, კომისიის ერთ-ერთი წევრის მხრიდან განათლების კომპონენტში 0 ქულით შეფასება სცდება გონივრულობის ფარგლებს, ხოლო კომისიის დანარჩენი წევრების შეფასება არ არის დასაბუთებული.

საკასაციო სასამართლო სადავო საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე სასამართლო კონტროლის ფარგლებში, სადავო საკითხის შეფასება არ საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. „გამომცდელის შეფასებაზე სასამართლო კონტროლი დასაშვებია, როდესაც შეფასება შესაძლოა საგნის სპეციფიკაში ჩაღრმავების გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც გამომცდელის შეფასება ემყარება მეცნიერულ-პროფესიული მოსაზრებების ისეთ აშკარა და გონივრულ ზღვარს გადამცდარ არასწორ გააზრებასა და შეფასებას, რომლის შედეგი ყოვლად დაუსაბუთებელი, ირაციონალური და მიუღებელია სასამართლოსათვის“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.03.2019წ. №ბზ-797(კ-18) გადაწყვეტილება). სასამართლო კონტროლი დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასება ემყარება აშკარა და გონივრულ ზღვარს მიღმა არასწორ გააზრებას და შედეგიც, შესაბამისად, დაუსაბუთებელი და მიუღებელია. განსახილველ შემთხვევაში საკითხი ეხება კონკურსის ისეთი მოთხოვნების შესაბამისობის დადგენას, როგორც არის – 1. განათლება, 2. გამოცდილება, 3. მოტივაცია, 4. სამომავლო გეგმები, 5. განაცხადის საერთო სიძლიერე, რა დროსაც ხდება წარდგენილი დოკუმენტაციის შეფასება და არა კონკურსანტის ცოდნის დონის განსაზღვრა ამა თუ იმ პროფესი-

ულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, განსახილველი დავა სასამართლოს აძლედა სრულ შესაძლებლობას ემსჯელა და გადაეწყვიტა სადავო საკითხი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.01.2018წ. №ბს-981-977(2კ-17) და 31.01.2019წ. №ბს-1284(კ-18) განჩინებები).

რაც შეეხება სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ ლ. რ.-ას მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით დადგენილი წესით გამოცემას, მოთხოვნა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ეხება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელით პირი სასამართლოს მიმართავს არსებული მდგომარეობის შეცვლის და შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევის მიზნით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის პირობებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი, ხოლო სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს 33-ე მუხლი განსაზღვრავს. განსახილველ შემთხვევაში სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეულია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნები, რის გამოც დადგენილია სადავო აქტის უკანონობა, რა დროსაც სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით გადაწყვეტილების მიღება დაავალოს, სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების საფუძველზე.

საგულისხმოა, რომ საქმის არსებითად განხილვისას მცდელობა იყო მხარეთა შორის მორიგების მისაღწევად, რა დროსაც მხარეები თანხმდებოდნენ კომისიის სადავო გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე, თუმცა მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა სწორედ მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში. განსახილველი დავის ფარგლებში კასატორის ლ. რ.-ას ინტერესს წარმოადგენს კონკურსის მეორე ეტაპზე მისი განაცხადის შეფასება განაცხადის განხილვის დროს არსებული მისი მონაცემების გათვალისწინებით, რის შესაძლებლობასაც იძლევა დავის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გადამწყვეტა. ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს დავალების საფუძველზე ლ. რ.-ას საკონკურსო განაცხადის განხილვა უნდა მოახდინოს შემდგომი სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, რა დროსაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ლ. რ.-ასა და დანარჩენ კონკურ-

სანტოა შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვა, რაც გამორიცხავს ლ. რ-ასთვის ამგვარი შესაძლებლობის შეზღუდვას. ამასთან, რამდენადაც ლ. რ-ამ კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობა უნდა მიიღოს კომისიის მიერ საკითხის ხელახლა განხილვის დროს არსებული პროცედურებისა და მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული დამატებით მიუთითებს კონკურსანტის შეფასებას კონკურსის დროისათვის არსებული მდგომარეობით, კანონით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. რ-ას დაზუსტებული საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. რ-ას დაზუსტებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმი ლ. რ-ას ნაწილში და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს დაევალოს ლ. რ-ას მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილი წესით.

ამასთან, მოპასუხეს – სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს ლ. რ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (100+150+300) (ხუთას ორმოცდაათი) ლარისა და დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით გადახდილი – 90 (ოთხმოცდაათი) ლარის, სულ – 640 (ექვსას ორმოცი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. ლ. რ-ას დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. რ-ას დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 28 მაისის №25-18 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2018 წლის 2 ივლისის №4 სხდომის ოქმი ლ. რ-ას ნაწილში და სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს დაევალოს ლ. რ-ას მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილი წესით;
5. მოპასუხეს – სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს ლ. რ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (100+150+300) (ხუთას ორმოცდაათი) ლარისა და დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით გადახდილი – 90 (ოთხმოცდაათი) ლარის, სულ – 640 (ექვსას ორმოცი) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიღებული განათლების აღიარებისათვის კონკრეტული წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-988(კ-20)

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 22 აგვისტოს ი. ფ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიას, მოპასუხე – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდგომ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 05 დეკემბრის №MES 1 18 01559346 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის საგანმანათლებლო საქმიანობაშენეყვეტილ დაწესებულებაში ი. ფ-ს მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. ფ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 05 დეკემბრის №MES 1 18 01559346 გადაწყვეტილება და მოპასუხეს საგანმანათლებლო საქმიანობაშენეყვეტილ დაწესებულებაში (...ა) ი. ფ-ს მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 აპრილის განჩინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №98/6 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 14 მარტის №MES 8 17 00240898 გადაწყვეტილებით, ი. ფ-ს უარი ეთქვა საგანმანათლებლო საქმიანობაშენეყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარებაზე იმ საფუძველით, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას ვერ იქნა მოძიებული ...აში ი. ფ-ს სწავლის ფაქტის დამდგენი დოკუმენტაცია, მათ შორის ი. ფ-ს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება. პალატის მითითებით თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №3/2642-17) ი. ფ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 14 მარტის №MES 8 17 00240898 გადაწყვეტილება საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი აქტის გამოცემა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საკითხის ხელახალი განხილვისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გამოეკვლია და შეეფასებინა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის ი. ფ-ს ...აში სწავლის ფაქტი. სასამართლოს მითითებით, ი. ფ-ს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი № 19 11.07.2005) მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, ანუ სახეზე იყო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ ორგანო უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ დაუმსახურებელი ზიანი არ მიდგომოდა ი. ფ-ს ინტერესებს. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოპასუხე მხარის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კი კვლავ სადავოდ იქნა მიჩნეული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (ი. ფ-ს ...აში სწავლის ფაქტი, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების არსებობის ფაქტი) და უარი ეთქვა ი. ფ-ს 2003-2005 წლებში შპს ...აში მიღებული განათლების აღიარებაზე.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ცენტრის მიერ სადავო გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოვლენილი ურთიერთშეუსაბამო გარემოებები ეჭვს იწვევდა დოკუმენტაციის ავთენტიკურობასთან დაკავშირებით და შეუძლებელს ხდიდა ი. ფ-ს მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. სასამართლოს მოსაზრებით, დოკუმენტაციის ავთენტიკურობასთან დაკავშირებით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოთქმული მოსაზრება არ შეიძლებოდა გამხდარიყო მოსარჩელისათვის რაიმე სახის უფლების შემზღუდავი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის V განყოფილების 2018 წლის 29 ივნისის №MIA 7 18 01545800 წერილით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეც-

ნობა, რომ ი. ფ-ს უმაღლესი განათლების დოკუმენტაცია (მათ შორის ერთი სასწავლო დაწესებულებიდან მეორეში გადასვლის საკითხი და ყველა ბრძანება თუ აქტი) სრულად იქნა შესწავლილი სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო სამმართველოში წარმოებულ №1011000038 საქმეში, რომელიც 2014 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით შეწყდა პროკურორ გ. ხ-ის მიერ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის მე-3 და 21-ე მუხლების საფუძველზე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ არსებობდა ხელახალი გამოძიების დაწყების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემისას, ცენტრმა იხელმძღვანელა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი ნაწილით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ პირველი მუხლის, მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. კასატორი მიუთითებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ სსიპ – ...ის ადმინისტრაციის (სამმართველო) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში დაცული დოკუმენტაციის (ბრძანებები) შესაბამისად, ი. ფ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ...ის სპეციალობაზე (ჯერ დასწრებულ, შემდეგ დაუსწრებულ სწავლებაზე) სწავლობდა 2003 – 2006 წლებში, კერძოდ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის 2003 წლის 26 ივლისის №68 ბრძანების შესაბამისად, ი. ფ. ჩარიცხულ იქნა ...ის სპეციალობის დასწრებულ სწავლებაზე, 2005 წლის 14 მარტის №30 ბრძანებით იგი დასწრებული სწავლებიდან გადაყვანილი იქნა დაუსწრებელი სწავლების მე-4 კურსზე, 2005 წლის 29 სექტემბრის №175 ბრძანებით დატოვებულ იქნა მე-4 კურსზე განმეორებითი სწავლებისათვის, ხოლო 2006 წლის 18 იანვრის №6

ბრძანებით, გარიცხული იქნა ...ის სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების მე-4 კურსიდან აკადემიური მოუსწრებლობის გამო. ამასთან, ცენტრის №1314315 და №1099766 წერილებით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველზე, ი. ფ. საკუთარი – №1355193 განცხადების შესაბამისად, ადასტურებს რომ 2003 წელს ჩაირიცხა სსიპ – ...აში და 2005 წელს დაასრულა სწავლა სს ...აში. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ურთიერთშეუსაბამო გარემოებები ინვეს ეჭვს დოკუმენტაციის ავთენტიკურობასთან დაკავშირებით და შეუძლებელს ხდის ი. ფ-ს მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას.

კასატორი აღნიშნავს, რომ სს ...ა წარმოადგენდა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ 1999 წლის 13 დეკემბერს გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/2155 ლიცენზიის მფლობელ სუბიექტს. 2005 წლის 10 მარტის „სააღმზრდელი საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ჩაითვალია ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად. ი. ფ-ს სარჩელის გამო არსებულ №3/5351-18 საქმეში არ არსებობდა კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც, ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაადასტურებდა ი. ფ-ს მიერ განათლების მიღების ფაქტს.

კასატორის მითითებით, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ყურნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს. კონკრეტულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის №3/2642-17 გადაწყვეტილების საფუძველზე, ი. ფ-ს მიერ 2003-2005 წლებში, შპს ...აში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე ცენტრის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოძიებულ იქნა დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს სავარაუდო სიყალბის ელემენტებს, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ 2004 წლის 14 დეკემბერს გაცემული აკა-

დემიური ცნობა სარეგისტრაციო ნომრით 40/2/725. ცენტის მოთხოვნის საფუძველზე სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის №76235 (№18035) წერილის თანახმად, ი. ფ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩაირიცხა 2003 წლის 26 ივლისის № 68 ბრძანებით, ...ის სპეციალობის დასწრებულ სწავლებაზე, 2004 წლის 08 ივლისის №108 ბრძანებით გადაყვანილ იქნა მე-2 კურსზე, 2005 წლის 05 თებერვლის №8 ბრძანებით მე-3 კურსზე, 2005 წლის 14 მარტის №30 ბრძანებით იგი გადაყვანილ იქნა დაუსწრებელი სწავლების ...ის სპეციალობის მე-4 კურსზე, 2005 წლის 29 სექტემბრის №175 ბრძანებით დატოვებულ იქნა მე-4 კურსზე განმეორებითი სწავლებისათვის, 2006 წლის 18 იანვრის №18 ბრძანებით ი. ფ. გარიცხულ იქნა აკადემიის დაუსწრებელი სწავლების ...ის სპეციალობის მე-4 კურსიდან აკადემიური მოუსწრებლობის გამო. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ, 2004 წლის 14 დეკემბერს გაცემული ცნობის №40/2/725 საფუძველზე (რომლითაც დასტურდება, რომ ი. ფ-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიარა შვიდი სემესტრი) ი. ფ. ჩაირიცხა „...აში“ ...ის (...ის სპეციალობის მე-4 კურსზე (ბრძანება №2-96,20.12.2004). სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი №19, 11.07.2005) მას მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია (ბრძანება №2-28,15.07.2005წ. დიპლომი SSA №... გაცემის თარიღი – 09.12.2005).

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ, 2004 წლის 14 დეკემბერს გაცემული №40/2/725 აკადემიური ცნობის შესაბამისად ი. ფ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სწავლობდა 27.07.2002 – 14.12.2004 წლებში. ამასთან, ი. ფ-მ აღნიშნულ პერიოდში გაიარა 7 (შვიდი) სემესტრი. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულ ჩარიცხვის თარიღთან დაკავშირებით შეინიშნება დაუმონუმბელი შესწორება. აღნიშნული ინფორმაცია, აგრეთვე ცნობაში მითითებული სწავლის დაწყების თარიღი (27.07.2002 წელი) შეუსაბამობაშია სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ №76235 (№18035) წერილით მონოდებულ ინფორმაციასთან, აგრეთვე, ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არსებულ ი. ფ-ს სტუდენტის სასწავლო ბარათთან. კასატორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ 2004 წლის 13 სექტემბრის №253 ბრძანების საფუძველზე შევიდა ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო გეგმაში და დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილებების კურსანტთა, სტუ-

დენტოა და მსმენელთა სწავლება წარიმართა შეზღუდული პროგრამით, რაც თავისთავად გამოორიცხავს ი. ფ-ს მიერ ერთ ან ორ წელიწადში შვიდი სემესტრის გავლის შესაძლებლობას. აღნიშნული კი გამოორიცხავს მოსარჩელის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რადგან სახეზე არაა „ნესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შინაარსი.

კასატორის მოსაზრებით, სადავო შემთხვევაზე ვერ გავრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის დაცვითი ფუნქცია, ვინაიდან კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. დაინტერესებული მხარის ქმედების მართლწინააღმდეგობაზე უთითებს ის გარემოება, რომ მის მიერ სს ...აში ჩარიცხვის მიზნით წარდგენილი დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს (საქართველოს შინაგან საქმეთა აკადემიაში ჩარიცხვის თარიღი, სწავლის პერიოდი, გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა) და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო არ ადასტურებს ამ დოკუმენტის გაცემის ფაქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 09 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 სექტემბრის განჩინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ 2017 წლის 15 თებერვალს ი. ფ-მ განცხადებით მიმართა სსიპ განათლების ხარის-

ხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მოითხოვა ...აში 2003-2005 წელს მიღებული განათლების აღიარება. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 14 მარტის №MES 8 17 00240898 გადაწყვეტილებით, ი. ფ-ს უარი ეთქვა საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დანესებულებაში მიღებული განათლების აღიარებაზე იმ საფუძვლით, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას ვერ იქნა მოძიებული ...აში ი. ფ-ს სწავლის ფაქტის დამდგენი დოკუმენტაცია, მათ შორის ი. ფ-ს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება.

კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 14 მარტის №MES 8 17 00240898 გადაწყვეტილება საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დანესებულებაში მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხეს ი. ფ-სთან მიმართებით ახალი აქტის გამოცემა დაევა-ლა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოპასუხე მხარის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში კვლავ სადავოდ იქნა მიჩნეული ი. ფ-ს ...აში სწავლისა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტები და 2018 წლის 05 დეკემბრის №MES 1 18 01559346 გადაწყვეტილებით ი. ფ-ს უარი ეთქვა 2003-2005 წლებში შპს ...აში მიღებული განათლების აღიარებაზე. განსახილველი დავის ფარგლებში შეფასების საგანს სწორედ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 05 დეკემბრის №MES 1 18 01559346 გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განათლების მიღება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების შეძენის, მისი ფორმის და პროფესიული მიმართულების არჩევის, შეძენილი უმაღლესი განათლების აღიარებისა და მისი თავისუფალი რეალიზაციის დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობის შექმნას. ამასთან, აღნიშნული არ გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებას, რომლებითაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული წინაპირობები პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების მიზნებისათვის, რაც პირდაპირ უკავშირდება ხარისხიანი განათლების მიღებას. მნიშვნელოვანია, რომ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება პასუხობდეს დასაბუთებულობის შესაბამის სტანდარტს, ვინაიდან არ მოხ-

დეს პირისათვის კონსტიტუციური უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რამაც შესაძლოა აგრეთვე გავლენა იქონიოს პირის მიერ შრომის თავისუფლების რეალიზებაზე.

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეიქმნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრი, ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას. ამავე კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრულია, ცენტრის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, კერძოდ, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. ამავე კანონის 25¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალის-

წინებულ შემთხვევაში განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს; ხოლო პირის მიერ პროგრამის ნაწილობრივ გავლა – საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ნაწილის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას ი. ფ-ს სახელზე გაცემული დოკუმენტაციის ურთიერთშეუსაბამობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი შეუსაბამობების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ი. ფ-ს მიერ მიღებული განათლების აღიარების კანონიერების საკითხზე, რაც დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობას ქმნის.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტაციას და აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2003 წლის 26 ივლისის №68 ბრძანების მიხედვით, ი. ფ. ჩაირიცხა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დასწრებული სწავლების პირველი კურსის კურსანტად, სპეციალობით – ...ა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 2004 წლის 08 ივლისის №108 ბრძანებით გადაყვანილ იქნა მე-2 კურსზე. რექტორის 2005 წლის 05 თებერვლის №8 ბრძანებით გადაყვანილ იქნა მე-3 კურსზე, ხოლო რექტორის 2005 წლის 14 მარტის №30 ბრძანების მიხედვით, ი. ფ. გადაყვანილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დაუსწრებელი სწავლების მე-4 კურსზე, სპეციალობით – ...ა. 2005 წლის 29 სექტემბრის №175 ბრძანებით დატოვებულ იქნა მე-4 კურსზე განმეორებითი სწავლებისათვის, ხოლო რექტორის 2006 წლის 18 იანვრის №6 ბრძანების მიხედვით, ი. ფ. აკადემიური მოუსწრებლობის გამო, გარიცხული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დაუსწრებელი სწავლების მე-4 კურსიდან. ამდენად, ხსენებული ბრძანებებიდან გამომდინარე, ი. ფ-მ საქართველოს შსს აკადემიაში დაასრულა სამი კურსი და მე-4 კურსიდან გაირიცხა აკადემიური მოუსწრებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქ-

ცევს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულის პარალელურად, საქმეში დაცულია 2005 წლის 09 დეკემბერს ...ის მიერ ი. ფ-ს მიმართ გაცემული დიპლომი SSA №... (სარეგისტრაციო № 125) მასზედ, რომ ი. ფ. 2003 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ...ო საქმის ფაკულტეტის სრული კურსი ...ის (...ი) სპეციალობით და კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ფ-ს მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. აღნიშნულ დიპლომში ი. ფ-ს ...აში ჩარიცხვის თარიღის შესაძლო გადაკეთებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გამოძიება, შესწავლილ იქნა ყველა დოკუმენტაცია, თუმცა 2014 წლის 21 აგვისტოს სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება იმ საფუძვლით, რომ გამოცემული იყო ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

საქმეში აგრეთვე წარმოდგენილია ...ის 2005 წლის 15 ივლისის №2-28 ბრძანება, რომლის მიხედვით ი. ფ-ს მიენიჭა კვალიფიკაცია. ი. ფ-ს სახელზე გაცემული SSA №... დიპლომის დანართის მიხედვით, ი. ფ. 2003 წელს შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ...ის სპეციალობაზე და 2005 წელს დაამთავრა ...ა ...ის (...ი) სპეციალობით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ი. ფ., ერთი მხრივ, 2003 წელს ჩაირიცხა ...აში, ხოლო პარალელურად, 2003-2005 წლებში სწავლობდა საქართველოს შსს აკადემიაში. ამასთან, საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2021 წლის 13 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე ი. ფ-მ განმარტა, რომ იგი ...აში ჩაირიცხა არა 2003 წელს (როგორც დიპლომშია მითითებული), არამედ 2004 წლის დეკემბერში, თუმცა ამ ინფორმაციის გაზიარების პირობებშიც, დასტურდება, რომ ი. ფ. გარკვეული პერიოდი ერთდროულად ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა. ამდენად, სააპელაციო პალატას, უნდა ემსჯელა არსებობდა თუ არა სადავო პერიოდში ერთდროულად ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების შესაძლებლობა. სააპელაციო პალატას ყურადღება არ გაუმახვილებია საქმეში წარმოდგენილ იმ დოკუმენტაციაზე, რომელიც ამკარა ურთიერთსაპირისპირო მონაცემებს შეიცავს. მაგალითად, საქმეში დაცულია ი. ფ-ს სახელზე გაცემული საქართველოს შსს აკადემიის მონშობა №001700, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე 2005 წლის 5 თებერვალს გადაყვანილ იქნა მე-3 კურსზე. აღნიშნული ინფორმაცია ეწინააღმდეგება როგორც 2005 წლის 09 დეკემბერს ...ის მიერ ი. ფ-ს მიმართ გაცემულ SSA №... დიპლომში ასახულ ინფორმაციას, ისე თავად ი. ფ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე გაკეთებულ განმარტებებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ი. ფ.-ს ...აში ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა სასამართლო სხდომაზე მხარემ განმარტა, რომ ამგვარი დოკუმენტი არსებობს. ამასთანავე, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილადაა ცნობილი, რომ ი. ფ. ...აში ჩაირიცხა ...ის რექტორის 2004 წლის 20 დეკემბრის №2-96 ბრძანებით. თუმცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 05 დეკემბრის №MES 1 18 01559346 სადავო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ი. ფ. ...ის 2004 წლის 20 ოქტომბრის №2-96 ბრძანებით ჩაირიცხა საქართველოს შსს აკადემიიდან გადმოყვანის წესით 2004/2005 სასწავლო წლიდან ...ის (...ი) სპეციალობის მე-4 კურსზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გაუგებარია ი. ფ. ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა პარალელურად (ვინაიდან არსებობს მისი შსს აკადემიაში კურსიდან კურსზე გადაყვანისა და საბოლოოდ მე-4 კურსიდან გარიცხვის ბრძანება), თუ განხორციელდა მისი მე-4 კურსიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში – ...აში გადაყვანა და საბოლოო კვალიფიკაციის სწორედ ...აში მინიჭება.

ამასთან, ...აში გადაყვანასთან და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, ი. ფ.-ს ახსნა-განმარტებაზე, რომლის თანახმადაც, მან 2004 წლის დეკემბრამდე საქართველოს შსს აკადემიაში გაიარა 7 სემესტრი, ხოლო მე-8 სემესტრი გაიარა საქართველო ...აში და შესაბამისად, 2005 წელს მიენიჭა კვალიფიკაცია.

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, ი. ფ. საქართველოს შსს აკადემიაში ჩაირიცხა აკადემიის რექტორის 2003 წლის 26 ივლისის №68 ბრძანებით. ამდენად, ი. ფ.-ს მოსაზრების გაზიარების პირობებში, მნიშვნელოვანია დადგინდეს არსებობდა თუ არა სტუდენტის მიერ 2003 წლის 26 ივლისიდან 2004 წლის დეკემბრამდე პერიოდში 7 აკადემიური სემესტრის გავლის ფაქტობრივი შესაძლებლობა.

2021 წლის 13 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე ი. ფ.-მ განმარტა, რომ საქართველოს შსს აკადემიაში 2004 წელს განხორციელდა შსს აკადემიის რეორგანიზაცია, რის შემდეგაც სწავლება ხორციელდებოდა დაჩქარებული წესით, რაც იძლეოდა ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში 7 სემესტრის გავლის შესაძლებლობას, თუმცა განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რამდენად იყო შესაძლებელი, თუნდაც 2004 წლის 13 სექტემბრის №253 ბრძანების არსებობის პირობებში 2003 წლის 26 ივლისიდან 2004 წლის

დეკემბრამდე სტუდენტის მიერ 7 აკადემიური სემესტრის გავლა. სააპელაციო პალატას არც აღნიშნული გარემოებები არ გამოუკვლევია და შეუფასებია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას საქართველოს შსს აკადემიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შეცვლილი სასწავლო გეგმისა და დაჩქარებული წესით მიმდინარე სწავლების პირობებში – ი. ფ-ს მიერ 7 სემესტრის გავლის შესაძლებლობა უნდა შეაფასოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ წარსულში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარის თქმა სწავლის შედეგების ფაქტობრივი გაბათილება და ავტომატურად არ შეიძლება გახდეს ფიზიკური პირის მიერ უკვე მოპოვებული შრომის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების ფარგლებში ასევე უნდა გამოარკვიოს სადავო აქტისადმი მოსარჩელის კანონიერი ნდობის საფუძველები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დაუდგენლობის და შეუფასებლობის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ი. ფ-ს მიერ მიღებული განათლების აღიარების კანონიერების საკითხზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ და საბოლოოდ საქმეზე მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადаныდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 10 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიპლომის ნამდვილობის დადასტურების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1062(კ-20)

30 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი

დავის საგანი: დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; დიპლომის ნამდვილობის დადასტურების შესახებ ახალი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

რ. გ-ი 1995 წელს ჩაირიცხა შპს „...ში“, რომლის სრული კურსი სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით დაამთავრა 1998 წელს. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 19.09.1998წ. გადაწყვეტილებით მას მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია და გაიცა დიპლომი AA №0033163. ზემოხსენებული დიპლომის საფუძველზე პირი წლე-

ბის განმავლობაში ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16.09.2019წ. გადაწყვეტილებით, რ. გ-ის უარი ეთქვა დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე. ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგენილ იქნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ 19.02.1996წ. გასცა უმაღლესი საქმიანობის №01-17-08/157 ლიცენზია, რომლითაც ნება დართო დამფუძნებლებს დაეარსებინათ ეკონომიკის, სამართლისა და კომერციული საქმიანობის ინსტიტუტი, როგორც არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებელი. ქ. თბილისის გლდანის რაიონული სასამართლოს 05.02.1996წ. დადგენილებით (რეგისტრაციის №1ა/4-103) რეგისტრაციაში გატარდა შპს „...ი“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 02.05.2007წ. №313 ბრძანებით გაუქმდა ინსტიტუტის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/157 ლიცენზია. ცენტრმა მიუთითა, რომ AA №0033163 დიპლომის შესაბამისად რ. გ-იმა ინსტიტუტში 1995 წელს ჩააბარა, 1996 წლის 19 თებერვლამდე შპს „...ი“ არ იყო უფლებამოსილი განეხორციელებინა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, მათ შორის სტუდენტთა ჩარიცხვა და მათთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა.

რ. გ-იმა 09.10.2019წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ და მოითხოვა დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ მოპასუხის 16.09.2019წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის დიპლომის ნამდვილობის დადასტურების შესახებ აქტის გამოცემის დავალება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ეზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით მინიჭებული განათლების უფლება, ირღვევა ინდივიდის მიერ განათლების მიღებისა და მის რეალიზაციაში ხელშეწყობის სახელმწიფოს ვალდებულება.

არალიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება მხოლოდ რამდენიმე თვე გაგრძელდა, დიპლომი გაცემულია იმ უმაღლესი სასწავლებლის მიერ, რომელსაც გააჩნდა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. რ. გ-იმა აღნიშნა, რომ მის სახელზე გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის მიმართ მას აქვს კანონიერი ნდობა.

შესაგებელში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უარყო კანონიერი ნდობის არსებობა და აღნიშნა, რომ კანონიერი ნდობა

არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო (ცენტრი) ბათილად ცნობს თავის მიერ გამოცემულ აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. დიპლომი გასცა უმაღლესმა სასწავლებელმა, რომელიც სადღეისოდ არ ფუნქციონირებს, ცენტრს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია, ნამდვილობის დადასტურებაზე უარით არ აქვს ადგილი დიპლომის გაუქმებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.12.2019წ. გადაწყვეტილებით რ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16.09.2019წ. გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლომ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნია დიპლომის მიმართ რ. გ-ის კანონიერი ნდობის არსებობის საკითხი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე „მიურსელ ერენი თურქეთის წინააღმდეგ“ (Mursel Eren v. Turkey) და გაიზიარა ევროპული სასამართლოს მოსაზრება რომლის თანახმად, კანონიერი ნდობის პრინციპის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული განათლების უფლების დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერი ნდობის პრინციპის საკანონმდებლო დონეზე დამკვიდრებისას კანონმდებლის მიზანს შეადგენდა მმართველობითი საქმიანობის შედეგად გარკვეული უფლებით აღჭურვილი პირის დაცვა უფლების მიმნიჭებელი კანონსაწინააღმდეგო აქტებისა და მოქმედებების გაუქმებისგან. საქმეში დაცული მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის გამოორიციხავ გარემოებებს, კერძოდ, გასაჩივრებული აქტი არსებითად არ არღვევდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, ასევე არ დადგინდა დაინტერესებული მხარის მიერ უკანონო ქმედების განხორციელება. რ. გ-იმა დიპლომის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედება, იგი ენდობოდა შპს „...ის“ მიერ გაცემული დიპლომის სტაბილურობას და მისი ეს ნდობა დაცვის ღირსია სამართლებრივი უსაფრთხოების ფაქტორიდან გამომდინარე, რაც თავის მხრივ, ზღუდავს აქტის ბათილად გამოცხადების შესაძლებლობას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს

ზღუდავს დიპლომის ნამდვილობის დადასტურების უარის თქმა-ში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16.09.2019წ. გადაწყვეტილება მიღებულია კანონის დარღვევით, აქტი ხელყოფს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.12.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამასთანავე არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 1996 წელს ...ის მიერ ლიცენზიის მიღებასთან ერთად განხორციელდა ამ უკანასკნელის სამენარმეო რეგისტრაცია სასამართლოში, რასაც უკავშირდება სასწავლებლის დაფუძნება, ინსტიტუტის მიერ სტუდენტების მიღების უფლებამოსილების მოპოვება და სხვ.. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 1995 წელს, სამართლებრივად არარსებულ სასწავლებელში სტუდენტი ვერ ჩაირიცხებოდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა მოსარჩელის მიერ წარდგენილ, 30.07.1996წ. გაცემულ, კოლეჯის დიპლომზე, რომლის თანახმად რ. გ-ი 1993 წელს შევიდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თბილისის ეკონომიკისა და სამართლის კოლეჯში და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული კოლეჯის სრული კურსი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 04.07.1996წ. გადაწყვეტილებით რ. გ-ის მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სარჩელში არსებულ მითითებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯის გავლა იყო ინსტიტუტში ჩაირიცხვის წინაპირობა, რაც მოსარჩელის მოსაზრებით დაცული აქვს. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ მას დაკმაყოფილებული ჰქონდა აღნიშნული წინაპირობა, პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელემ 04.07.1996წ. დამთავრა კოლეჯი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, ხოლო 1995 წლისთვის შპს „...ში“, სამართლის სუბიექტის სახით მისი არსებობის შემთხვევაშიც, მოსარჩელე ვერ ჩაირიცხებოდა, ვინაიდან იმ დროისთვის მას არ ჰქონდა კოლეჯის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რ. გ-ი 1995 წელს უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩაირიცხებოდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს 1995 წლისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჰქონდა მოპოვებული ინ-

სტიტუტში სწავლის უფლება, ვინაიდან მისთვის ცნობილი იყო კოლეჯის დამთავრების დრო – 1996 წელი და სადავო დიპლომის გაცემ სსსწავლებელში სწავლის შესაძლო დაწყების დრო, რომელიც ვერ იქნებოდა კოლეჯში სწავლის პერიოდი, პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2020წ. გადაწყვეტილებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით რ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.04.2020წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. გ-იმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად გაიზიარა და დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ ამასთანავე დამატებით გამოიკვლია ინფორმაცია, რომელიც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სადავოდ არ გაუხდია. აღნიშნული არ უნდა გამხდარიყო სასამართლოს შეფასების საგანი და მით უფრო, მცდარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია იმ სამართლებრივ აქტზე, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების წინაპირობად ითვალისწინებდა კოლეჯში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას და რომელიც საფუძვლად დაედებოდა სასამართლო გადაწყვეტილებას. კასატორის მითითებით, ის ფაქტი, რომ 1995-1996 წწ. მოსარჩელე ერთდროულად სწავლობდა ორ საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმთავითვე ადასტურებს აღნიშნულის დასაშვებობას კანონით, კოლეჯში სწავლა ინსტიტუტში სწავლის გაგრძელების წინაპირობას არ წარმოადგენდა. ამასთანავე კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, როდესაც ინსტიტუტების უმეტეს ნაწილში სწავლის პროცესი მიმდინარეობდა ე.წ დაუსწრებელი სწავლის მეთოდით, რომელიც არ გულისხმობდა ინსტიტუტში ინტენსიური სწავლების პროცესს.

კასატორი რ. გ-ი უთითებს „მენარმეთა შესახებ“ 28.10.1994წ. საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის 2.5 პუნქტზე, რომელიც იძლევა უფლებამოსილებას მენარმე სუბიექტმა სასამართლოში რეგისტრაციამდე განახორციელოს სამენარმო საქმიანობა. კასატორის მოსაზრებით, ინსტიტუტის მიერ რეგისტრაციამდე სამენარმეო ხასიათის საქმიანობის

განხორციელება არ იყო სადავო, სადავო იყო ის გარემოება, რომ ინსტიტუტი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ლიცენზიის მოპოვებამდე, შესაბამისად, სასამართლოს სწორედ ამ უკანასკნელზე უნდა ემსჯელა. კასატორი აღნიშნავს, რომ გააჩნდა დიპლომის მიმართ კანონიერი ნდობა, ვინაიდან დიპლომი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ იქნა გაცემული და ხელმოწერილი. კასატორი თვლის, რომ აღნიშნულ შემთხვევაში კანონიერი ნდობის პრინციპის გამოყენებაა მნიშვნელოვანი, მით უფრო, იმ ფარგლების გათვალისწინებით, რა ფარგლებშიც ხდება კანონიერების პრინციპის შეზღუდვა, მის მიერ არალიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდი მოიცავს რამდენიმე თვეს, კერძოდ 1995 წლის სექტემბრიდან 1996 წლის თებერვლამდე, აღნიშნული პერიოდიდან სწავლის დასრულებამდე დაწესებულება სრულად ლიცენზირებულ რეჟიმში იმყოფებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორი თვლის, რომ მას ჰქონდა ნდობა, ვინაიდან, არსებული განათლების სისტემა სრულად იყო მხარდაჭერილი სახელმწიფოს მიერ და მას ჰქონდა გაცემული დიპლომის შედეგების შენარჩუნების ლეგიტიმური მოლოდინი. სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოებები, სასამართლოს არ მიუთითებია არცერთ გარემოებაზე, რომელიც გამორიცხავდა კანონიერ ნდობას.

კასატორის მოსაზრებით, როგორც სააპელაციო, ისე უზენაესი სასამართლოს აქამდე არსებული პრაქტიკა განვითარებულია იმ კუთხით, რომ პირს დიპლომის ნამდვილობაზე თანხმობას უცხადებენ არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულება რამდენიმე თვე ან წელი იმყოფებოდა არალიცენზირებულ რეჟიმში, არამედ მაშინაც, როდესაც სრულად არალიცენზირებული საქმიანობის პერიოდში ისწავლა პირმა და მას მიენიჭა დიპლომი (სუსგ №ბს-149(კ-20), №ბს-470(კ-19), №ბს-102(კ-20)). კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაავალა დიპლომების ნამდვილობის დადასტურება იმ პირებისთვის, რომლებიც კასატორთან ერთად სწავლობდნენ და 1998 წელს მიიღეს დიპლომები, ამდენად კასატორის მიმართ ირღვევა თანასწორობის პრინციპი. სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონია სამართლებრივი დასაბუთება, რომელიც არსებულ ერთგვაროვან სასამართლოს პრაქტიკას შეცვლიდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით და ამასთანავე, მას ამის საფუძველი არ გააჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ექვემდებარება დასაშვებად ცნობას და არსებითად განხილვის შედეგად ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას, კასატორი აღნიშნავს, რომ დავა მხოლოდ რ. გ-

ის არ ეხება, ამ დავაზე გადანყვეტილების მიღება გავლენას იქონიებს სამომავლოდ არაერთი მოქალაქის უფლებებსა და ინტერესებზე.

16.03.2022წ. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენლებმა დააზუსტეს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2020წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრების საფუძვლები არ ცნო და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადანყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ 19.02.1996წ. გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/157 ლიცენზია, რომლითაც ნება დაერთო დამფუძნებლებს (ნ. გ-ი, პ. გე-ი, თ. ნ-ი, დ. ლ-ე) დაეარსებინათ თბილისში ეკონომიკის, სამართლისა და კომერციული საქმიანობის ინსტიტუტი, როგორც არასახელმწიფო საერთო უმაღლესი სასწავლებელი. ქ. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 05.02.1996წ. დადგენილებით (რეგისტრაციის №1ა/4-109), რეგისტრაციაში გატარდა შპს ...ი. სახელმწიფოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 20.01.2005წ. №1-19/39 გადანყვეტილებით, ...ს უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 02.05.2007წ. №313 ბრძანებით გაუქმდა შპს თბილისის ეკონომიკის, სამართლის და კომერციული საქმიანობის ინსტიტუტის უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/157 ლიცენზია. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 88.1 მუხლის თანახმად, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩარიცხული სტუდენტებისთვის, ჩაითვალა აკრედიტებულად 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე. საქართველოს განათლე-

ბისა და მეცნიერების მინისტრის 01.10.2010წ. №98/6 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ 5.1 მუხლის თანახმად, ცენტრი ახდენს ლიკვიდირებული ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს თბილისის, ეკონომიკის, სამართლისა და კომერციული საქმიანობის ინსტიტუტის მიერ 1996 წლის 19 თებერვლიდან განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. მოსარჩელის სწავლის პერიოდში ინსტიტუტი ლიცენზიას არ ფლობდა რამდენიმე თვის განმავლობაში, კერძოდ, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ ინვესტ, რომ რ. გ-ის სწავლების პერიოდში ინსტიტუტი 1995 წლიდან 1996 წლის 19 თებერვლამდე პერიოდში საქმიანობდა ლიცენზიის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის წინაპირობა დაკმაყოფილებული. სააპელაციო პალატამ ეს დასკვნა დაამყარა სარჩელში მოყვანილ მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ კოლეჯში სწავლება იყო ინსტიტუტში სწავლების გაგრძელების წინაპირობა, აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ რ. გ-იმა კოლეჯი 1996 წელს დაამთავრა, ხოლო ინსტიტუტში 1995 წელს ჩაირიცხა. აღნიშნულზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის წინაპირობა დაკმაყოფილებული. სააპელაციო პალატას არ მიუთითებია იმ სამართლებრივ აქტზე, რომელიც ითვალისწინებდა კოლეჯის სწავლის კურსის დასრულებას ინსტიტუტში სწავლის გაგრძელების წინაპირობად. მხედველობაშია მისაღები, რომ კოლეჯში სწავლის დასრულება, როგორც ინსტიტუტში სწავლის გაგრძელების წინაპირობა, არ ყოფილა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული განვითარების ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო აქტით რ. გ-ის უარი ეთქვა დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე სხვა საფუძველით, კერძოდ, არალიცენზირებულ სასწავლებელში სწავლების გამო. უმაღლესი განათლება არის სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კოლეჯის დამთავრებამდე მოსარჩელეს დამთავრებული ჰქონდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავ-

ლებელი, კერძოდ, მოპასუხის – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 19.07.2021წ. გადაწყვეტილებით დადასტურებულია საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ რ. გ-ის სახელზე გაცემული დიპლომის ნამდვილობა, რომლითაც დაწყებითი პროფესიული განათლების დიპლომი მფლობელს აძლევს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერ ფაკულტეტზე/სპეციალობაზე. 30.03.1988წ. №216833 დიპლომის თანახმად, რ. გ-იმა 1985-1988წწ. გაიარა საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სრული კურსი – საშუალო განათლების მიღებით და 1988 წელს მას მიენიჭა IV კლასის სადგურის მორიგის კვალიფიკაცია. თავად მოპასუხის – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 19.07.2021წ. დადასტურებით, რ. გ-ის მიერ მიღებული განათლება უთანაბრდება საბაზო პროფესიული განათლების კვალიფიკაციას, დაწყებითი პროფესიული განათლების №216833 დიპლომი მფლობელს უფლებას აძლევს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, ნებისმიერ ფაკულტეტზე, სპეციალობაზე. აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კოლეჯში სწავლის დასრულებამდე, ინსტიტუტში სწავლების დაწყების მომენტისთვის რ. გ-ის გააჩნდა საშუალო განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი და მას ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების წინაპირობა. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის დასრულების შემდეგ რ. გ-იმა სწავლა კოლეჯში განაგრძო, რომლის სრული კურსი 1996 წელს დაასრულა, რ. გ-ის კოლეჯში სწავლის პერიოდში უკვე მოპოვებული ჰქონდა ინსტიტუტში სწავლების გაგრძელების უფლება. სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, აქვს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია ისარგებლოს აბიტურიენტის სტატუსით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის პირობის არარსებობის შესახებ.

უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ (1995წ.) კოლეჯის დამთავრება (1996წ.) არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მო-

სარჩელის მიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დაწყების პერიოდში მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 19.09.1995წ. №572 დადგენილებით დამტკიცებული „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის გეგმის“ თანახმად (ძალადაკარგულია საქართველოს მთავრობის 07.04.2006წ. №134 დადგენილებით), პროფესიული სასწავლებელი იყო სასწავლო დაწესებულება, რომელიც სასკოლო განათლების მეორე ეტაპის ანუ ძირითადი სკოლის ან სრული საშუალო განათლების დასრულების შემდეგ იძლეოდა გარკვეული პროფესიის შესწავლის შესაძლებლობას. რაც შეეხება კოლეჯს, ხსენებული ნორმატიული აქტის თანახმად, საშუალო სპეციალური სასწავლებლის – კოლეჯის დანიშნულება იყო სხვადასხვა სპეციალობებში პირველადი პროფესიული კვალიფიკაციის მიღების შემდეგ სპეციალური მომზადების გაღრმავება. ამ ტიპის სასწავლებელი, აღნიშნული პროგრამის თანახმად, ამზადებდა საშუალო სკოლის სპეციალისტებს, რომლებიც იღებდნენ სახელმწიფოს მიერ ატესტირებული სპეციალისტის ანუ უმცროსი სპეციალისტის კვალიფიკაციას. მინისტრთა კაბინეტის 19.09.1995წ. №572 დადგენილება ადგენდა, რომ იმ შემთხვევაში თუ კოლეჯის დამამთავრებელი კურსების პროგრამა არსებითად შეესაბამებოდა უმაღლესი სასწავლებლის გარკვეული სპეციალობების I-II კურსის სასწავლო პროგრამებს, შესაძლებელი იყო კოლეჯის დამთავრების შემდეგ პირი გამოცდების ჩაბარების შემდგომ, ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კონკურსის წესით ჩარიცხულიყო უმაღლეს სასწავლებელში მე-3 კურსზე. აღნიშნულს ითვალისწინებდა ასევე შემდგომში მიღებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14.04.2004წ. №33 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ეკონომიკისა და სამართლის სახელმწიფო კოლეჯის წესდება, რომლის პირველი მუხლის თანახმად, თბილისის ეკონომიკისა და სამართლის უმაღლესი პროფესიულ სასწავლებელს (კოლეჯს) მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. კოლეჯი იყო განსაკუთრებული სტატუსის მქონე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებდა საშუალო ზოგადი და საშუალო პროფესიული განათლების პროგრამებს, წესდების მე-3 მუხლი ადგენდა, რომ ფრიადოსან კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა გასაუბრების წესით ჩარიცხულიყო და სწავლა გაეგრძელებინა უმაღლესი სასწავლებლის მე-2 ან მე-3 კურსზე შესაბამისი სპეციალობით (ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კოლეჯი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც

ახორციელებს მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას). ამდენად, კოლეჯის დამამთავრებელი სწავლების პერიოდი გათანაბრებული იყო უმაღლეს სასწავლებელში სწავლების დანყებით პერიოდთან (კურსებთან). სააპელაციო პალატას არ უმსჯელია რ. გ-ის უმაღლეს სასწავლებელში სწავლების ხანგრძლივობაზე (1995 – 1998 წ.წ.), ამ მიმართებით არ დადგენილა რაიმე ფაქტობრივი გარემოებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯის დასრულებამდე ინსტიტუტში ჩარიცხვა არ ადასტურებს უპირობოდ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის გლდანის რაიონული სასამართლოს 05.02.1996წ. დადგენილებით, ...ი დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, ხოლო კასატორმა სასწავლებელში ჩააბარა 1995 წელს. ამდენად უდავოა ის გარემოება, რომ შპს-ს რეგისტრაციამდე მოხდა რ. გ-ის სასწავლებელში ჩარიცხვა. „მენარმეთა შესახებ“ 28.10.1994წ. საქართველოს კანონის (ძალადაკარგულია 08.02.2021წ. №875 კანონით) სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა, საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. იმავე პუნქტის თანახმად, თუ რეგისტრაციამდე საზოგადოების სახელით რაიმე მოქმედება განხორციელდა ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, ამ მოქმედებით წარმოშობილი ყველა ვალდებულებისთვის. ამდენად, კანონმდებლობა არ გამორიცხავდა რეგისტრაციამდე სამენარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ რეგისტრაციამდე სამენარმეო ხასიათის საქმიანობის განხორციელება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველი არ ყოფილა. საგულისხმოა აგრეთვე, რომ ინსტიტუტი შექმნილი იყო კოლეჯის ბაზაზე, სამენარმეო რეესტრის მონაცემების თანახმად გლდანის რაიონული სასამართლოს 05.02.1996წ. დადგენილებით რეგისტრირებული შპს „...ის“ იურიდიული მისამართი (ქ. თბილისი, ...ის დასახლება მე-... მკრ., ...-ე კორპ.) ემთხვევა განათლების სამინისტროს თბილისის ეკონომიკისა და სამართლის კოლეჯის მისამართს, სარეგისტრაციო მასალების მიხედვით, კოლეჯის ადმინისტრაციამ ინსტიტუტის დამფუძნებლებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სახით იჯარით გადასცა კოლეჯის შენობა (საქმის მასალებით დასტურდება,

რომ მოგვიანებით, 07.06.2000წ. შპს ...ზე დამატებით გაცა საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია, რომლის ფარგლებში დაწესებულება უფლებამოსილი იყო, სხვა პროგრამებთან ერთად, განეხორციელებინა სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა). ამდენად, ინსტიტუტი შექმნილი იყო კოლეჯის ბაზაზე, ინსტიტუტში სწავლება კოლეჯში სწავლების გაგრძელების ერთიან პროცესად აღიქმებოდა მოსარჩელის მიერ. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ ცოდნის პრეზუმფცია მოქმედებს არა ყველა სამართლებრივი აქტის, არამედ კანონის მიმართ (იგულისხმება, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.)), მოცემულ შემთხვევაში საუბარია არა ნორმატიული აქტის, არამედ ლიცენზიის შესახებ აქტის გაუცემლობის ცოდნაზე, შესაბამისად, დასაბუთებას საჭიროებს მოსარჩელის მიმართ ლიცენზიის არქონის შესახებ ცოდნის პრეზუმფციის არსებობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხვდებიან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის რეგულაციის ფარგლებში, რადგან ასეთ დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა ხსენებული ნორმით გათვალისწინებული უფლების განუყოფელი ნაწილია. განათლების უფლების მნიშვნელობის მიუხედავად ეს უფლება აბსოლუტური არ არის და შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, უმაღლესი საგანმანათლებლო ხელმისაწვდომობის უფლება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადამწყვეტილება საქმეზე „ლეილა საჰინი (Leyla Sahin) თურქეთის წინააღმდეგ“, §139, §141, §154, 10.11.2005წ.). ამასთანავე, შეფასების განმახორციელებელ ორგანოს ეკისრება სათანადო მოთხოვნებთან შეუსაბამობის მტკიცების ტვირთი, ორგანომ უნდა დაასახელოს მიზეზი, რის გამოც არ ხდება ცნობა და გასცეს ინფორმაცია იმ შესაძლო ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს მაძიებელმა მომავალში ცნობის მისაღწევად („ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ცნობის კონვენციის“ (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 23.06.1999წ. №2142-III დადგენილებით) III კარი.3; III კარი.5). საქმეში დაცული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ რ. გ-ი სასწავლებელში 1995 წელს ჩაირიცხა, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია სასწავლებელს 19.02.1996წ. მიენიჭა. აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში დაწესებულების დამფუძნებლები უფლებამოსილი იყვნენ დაეარსებინათ საგანმანათლებლო დაწე-

სებულება, როგორც არასახელმწიფო საერო უმაღლესი სასწავლებელი. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის შესაბამისად რ. გ-მა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩააბარა 1995 წელს, 1996 წლის 19 თებერვლამდე შპს „...“ არ იყო უფლებამოსილი მიეღო სტუდენტები და გაენია მათთვის საგანმანათლებლო მომსახურება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული 14.06.1991წ. „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“ დებულებით (ძალადაკარგულია საქართველოს პარლამენტის 17.03.1994წ. დადგენილებით), ნებადართულ იქნა ფასიანი სასწავლებლების დაარსება, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი, ატესტატი) გაცემის უფლებით, ფასიანი სასწავლებლების დაარსების უფლება ჰქონდათ როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს. დებულების მე-3 პუნქტის თანახმად, ფასიანი სასწავლებლის რეგისტრაციაში გატარებისათვის დადგინდა შესაბამისი ლიცენზიის მიღების ვალდებულება, რომლის გამცემ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. „საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო დაწესებულების შესახებ დებულების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 17.03.1994წ. დადგენილება (მე-3 პ.), „განათლების შესახებ“ 27.06.1997წ. საქართველოს კანონი, არსებითად იმეორებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 14.06.1991წ. დამტკიცებული დებულების მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ არასახელმწიფო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამართლებრივად არარსებულ სასწავლებელში სტუდენტი ვერ ჩაირიცხებოდა. საკასაციო სასამართლო კვლავ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 19.09.1995წ. №572 დადგენილება ითვალისწინებდა უმაღლეს სასწავლებელში III კურსიდან სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ „საშუალო-სპეციალური სასწავლებლის (კოლეჯის) IV – V კურსების პროგრამა“ არსებითად შეესაბამებოდა „უმაღლესი სასწავლებლის გარკვეული სპეციალობის I – II კურსების პროგრამებს“ (სხვა შემთხვევაში, კოლეჯის და ინსტიტუტის პროგრამების არსებითად შეუსაბამობის დროს კოლეჯის კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესის შესაბამისად ანუ პირველი კურსიდან). მოცემულ შემთხვევაში ინსტიტუტის ულიცენზიოდ საქმიანობის პერიოდი (1995 წლის სექტემბრიდან 1996 წლის 19 თებერ-

ვლამდე) მოცულია რ. გ-ის მიერ კოლეჯის დამამთავრებელ კურსზე სწავლების პერიოდით, რომელთა პროგრამა მოიცავდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლების დაწყებითი ეტაპის პროგრამას. ამდენად, სწავლების დაწყების ეტაპზე ლიცენზიის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს დიპლომის დადასტურების შესაძლებლობას, გაცემული დიპლომის მიმართ კანონიერ ნდობას. სააპელაციო სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა მოცემულ განსახილველ შემთხვევაში დიპლომის აღიარების მიზნებისათვის ინსტიტუტში მოსარჩელის სწავლების დაწყებით ეტაპზე ლიცენზიის არარსებობის მნიშვნელობაზე, ამ ფაქტორზე მითითებით დიპლომის აღიარებაზე უარის თქმის მართებულობაზე.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 14.09.2010წ. №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი ახდენს განათლების აღიარებას და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 01.10.2010წ. №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ მიხედვით „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების“ (მე-3 მუხ.) გარდა, ასევე ითვალისწინებს „ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების“ შესაძლებლობას (მე-4 მუხ.). განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 01.10.2010წ. №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ მე-3 და მე-4 მუხლები ანესრიგებენ განსხვავებულ შემთხვევებს და თითოეულ შემთხვევაში საკითხის დაკმაყოფილებაც დამოკიდებულია სხვადასხვა წინაპირობების შემოწმებაზე. მე-3 მუხლი ითვალისწინებს საკითხის დადებითად გადაწყვეტას, როდესაც სწავლის პერიოდი სახელმწიფოს მიერ აღიარებულია, ხოლო მე-4 მუხლი შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა სწავლის პერიოდი სახელმწიფოს მიერ აღიარებული არაა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია იმის შეფასების გარეშე, თუ რომელი მუხლით მოწესრიგებულ შემთხვევას უკავშირდება განსახილველი საქმე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 01.10.2010წ. №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 4.4 მუხლის თანახმად, უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს სა-

განმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ რ. გ-მა 15.08.2019წ. განცხადებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომლითაც მოითხოვა ...ის მიერ რ. გ-ის სახელზე 1998წ. გაცემული უმაღლესი განათლების AAN 0033163 დიპლომის ნამდვილობის დადასტურება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16.09.2019წ. № MES 19 01 209547 სადავო გადაწყვეტილებით ცენტრმა, „წესის“ მე-3 მუხლზე მითითებით, უარი თქვა უმაღლესი განათლების AAN 0033163 დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე („წესის“ მე-3 მუხ.) და არა უმაღლესი განათლების აღიარებაზე (მე-4 მუხ.), ამასთანავე, „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ცენტრი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ნამდვილობის დადასტურებისას დამატებით ამონებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის ფაქტს 2005 წლიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ინსტიტუტი 1995 წელს ჩაირიცხა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითება რ. გ-ის ინსტიტუტი ჩარიცხვის პირობის არარსებობის შესახებ.

შპს „...ის“ არსებობის მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა არასახელმწიფო საერო სასწავლებლების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე („საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო დაწესებულებების შესახებ დებულების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 17.03.1994წ. დადგენილება). დიპლომის ნამდვილობის დადასტურებასთან დაკავშირებულ საქმეებზე უმეტეს შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ულიცენზიო რეჟიმში განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა, ასეთ შემთხვევაში შესაფასებელ საკითხს წარმოადგენს კანონიერი ნდობის არსებობა დიპლომის მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადსაღებია მსგავსი შინაარსის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოს პრაქტიკა. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების დავალებას არ აბრკოლებდა დიპ-

ლომის გაცემის მომენტისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო და-
წესებულების არალიცენზირებულ რეჟიმში ყოფნა (სუს 27.05.2020წ.
განჩინება საქმეზე №ბს-102(კ-20), სუს 18.03.2020წ. განჩინება საქ-
მეზე №ბს-149(კ-20)). ვინაიდან ინსტიტუტს არ გააჩნდა ლიცენზია
და სადავოა მის მიერ 1995 წლის სექტემბრიდან 1996 წლის 19 თე-
ბერვლამდე განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა,
წარმოიშობა კასატორის დიპლომისადმი კანონიერი ნდობის არსე-
ბობისა და მისი დაცვის საკითხების შეფასების საჭიროება.

სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია სამარ-
თლებრივი სტაბილურობა, რომელიც უპირატესად ნდობის დაც-
ვას ნიშნავს. სტაბილურობა გარანტირებულია უკეთეს გარკვეული
დროის გასვლის შემდეგ მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილე-
ბები იძენს შეუცვლელ ხასიათს. კანონიერი ნდობის პრინციპი იცავს
პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და
მომავალში განსახორციელებელი მოქმედებების შეუსრულებლო-
ბისგან (სუს 21.01.2016წ. გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-623-610(კ-
14)). კანონიერი ნდობის საფუძველს ქმნის არა მხოლოდ აღმჭურ-
ველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის 60' მუხ-
ლის მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები), არამედ ადმინისტრაციული ორგა-
ნოს მოქმედებაც (რეალაქტი). მოპასუხის მოსაზრება იმასთან და-
კავშირებით, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტის გამოცემით ადგილი არ აქვს დიპლომის გაუქმებას, არ ადას-
ტურებს რ. გ-ის მოთხოვნის უსაფუძვლობას, დიპლომის დადას-
ტურებაზე უარის თქმის მართლზომიერებას. სსიპ განათლების ხა-
რისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება მოთ-
ხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თავისი სამარ-
თლებრივი შედეგებით (პირს ერთმევა პროფესიული მიზნებისათ-
ვის დიპლომის გამოყენების უფლება) უთანაბრდება ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, რამეთუ წარსულში მი-
ღებული სწავლის შედეგების არაღიარება წარმოადგენს სწავლის
შედეგის დე-ფაქტო გაბათილებას, შესაბამისად, დიპლომის გაცე-
მის მიმართ სრული მოცულობით მოქმედებს კანონიერი ნდობის
პრინციპი (სუსგ 05.03.2020წ. №ბს-1265(კ-19); სუსგ 23.04.2019წ.
№ბს-470(კ-19); სუსგ 04.10.2018წ. №ბს-812(კ-18)). კანონიერი ნდო-
ბა დაცვის ღირსია, უკეთეს დაინტერესებულმა მხარემ დიპლომის
საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმე-
დება. სადავო დიპლომის საფუძველზე კასატორი ასრულებდა იუ-
რიდიული მნიშვნელობის მოქმედებას, კერძოდ ეწეოდა იურიდი-
ულ საქმიანობას. მმართველობის კანონიერების პრინციპისა და და-
ინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის სამართლი-
ანი ბალანსის დაცვისთვის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში

უნდა დადგინდეს კერძო და საჯარო ინტერესთა შორის ბალანსი, უკანონო ქმედების სიმძიმე, დროის ის პერიოდი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების შემდეგ გავიდა. რ. გ-ის სახელზე გაცემული დიპლომის დადასტურებით ადგილი არ აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის ხელყოფას, კანონიერი ნდობის არსებობას და დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლებრივი სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუთხით. ადამიანს უნდა ჰქონდეს ნდობა ოფიციალური გადაწყვეტილებებისადმი და მისი ეს ნდობა დაცული უნდა იყოს, კანონიერი ნდობის პრინციპის დარღვევა სახელმწიფოს საქმიანობის კანონიერების პრინციპის სასარგებლოდ უნდა იყოს განსაკუთრებულად დასაბუთებული და უკიდურესად აუცილებელი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ იკვეთება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წესრიგი, სადაც მცირე სამართალდარღვევაც კი თანმიმდევრულად, ზედმინევით იდევნება, არ პასუხობს სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს. კანონიერების პრინციპის ერთგვარ შეზღუდვას ადგილი აქვს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ნდობის პრინციპის სახით, არამედ აგრეთვე სამოქალაქო სამართალში (მაგ.: კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის სახით), საგადასახადო სამართალში (მაგ.: კეთილსინდისიერი გადამხდელის სანქციისგან გათავისუფლების შემთხვევაში) და სისხლის სამართალში (მაგ.: ამნისტია, შეწყალება, უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელი მოგერიება). კანონიერი ნდობის პრინციპი თავისი შინაარსით სწორედ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არსებული გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, არ იარსებებდა კანონიერი ნდობის პრინციპი უკეთუ ყველა შემთხვევა კანონიერების ფარგლებში იქნებოდა მოქცეული. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს კანონიერი ნდობის პრინციპისათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველი, ვინაიდან ლიცენზიის გარეშე სწავლების პერიოდი სულ რამდენიმე თვეს შეადგენს (1995 წლის სექტემბრიდან 1996 წლის თებერვლამდე), სწავლების დანარჩენ პერიოდში სასწავლებელი ლიცენზირებული იყო, დიპლომის საფუძველზე წლების განმავლობაში ეწეოდა პროფესიულ საქმიანობას, რაც ქმნიდა გაცემული დიპლომის შედეგების გარკვეულ ლეგიტიმურ მოლოდინს. ამდენად კანონიერების პრინციპის შეზღუდვას ადგილი ჰქონდა დროის მოკლე მონაკვეთში, რაც ადასტურებს კანონიერი ნდობის დაცვისთვის უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობას.

მხედველობაშია მისაღები ასევე ის დრო, რომელიც გავიდა სამართლებრივი შედეგის წარმოშობის შემდეგ (სუსგ 03.02.2015წ. №ბს-428-423(კ-14); სუსგ 20.01.2015წ. №ბს-367-363(კ-14)). საქ-

მის მასალებით დასტურდება, რომ დიპლომი 19.09.1998წ. გაიცა, ხოლო მის დადასტურებაზე რ. გ-ის უარი 16.09.2019წ. ეთქვა. ამდენად, სადავო აქტით ფაქტობრივად უქმდება 21 წლის წინათ წარმოშობილი და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არსებული სამართლებრივი შედეგი (აკადემიური ხარისხის მინიჭება), რაც გამართლებული იქნებოდა იმ პირობებში, უკეთეს სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება გამოინვევდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევას. პირის კანონიერი ნდობის დაცვა მოცემულ შემთხვევაში განპირობებულია პირის მნიშვნელოვანი პატივსაღები ინტერესით, სადავო აქტი თავისი სამართლებრივი შედეგით კასატორს ართმევს დიპლომის პროფესიული მიზნებისთვის გამოყენების უფლებას, აუქმებს წარსულში განვლილი სწავლის შედეგებს. საქმეზე არ იკვეთება სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით, 60¹ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების არსებობა, რომელიც კანონიერ ნდობას გამორიცხავდა (ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ზეწოლა, მოტყუება, ქრთამის მიცემა და სხვ.). ამდენად, დიპლომის გაცემის მიმართ მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი (სუსგ 05.03.2020წ. №ბს-470(კ-19); 04.10.2018წ. №ბს-812(კ-18)). ინსტიტუტის დამთავრების შესახებ დიპლომი დამტკიცებულია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ, 19.09.1998წ. გადაწყვეტილებით. განათლების მიღების უფლება გულისხმობს ყოველი პირისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების შექენის, მისი ფორმის და პროფესიული მიმართულების არჩევის, შექენილი უმაღლესი განათლების აღიარების და მისი თავისუფალი რეალიზაციის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობის შექენას. იკისრა რა განათლების უფლების დაცვის ვალდებულება, სახელმწიფო უზრუნველყოფს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ადამიანს სწავლის დასრულების შემდეგ ცოდნის ოფიციალური აღიარების შემთხვევაში მოცემულ დროში არსებულ სასწავლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის და მიღებული განათლების გამოყენების შესაძლებლობის უფლებით სარგებლობას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კიელდსენი (Kjeldsen), ბასკ მადსენი (Busk Madsen) და პედერსენი (Pedersen) დანიის წინააღმდეგ“, §52, 07.12.1976წ.). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობა არის განათლების უფლების მხოლოდ ნაწილი, ამ უფლების ეფექტურობისათვის ინდივიდს, რომელიც ამ უფლებით

სარგებლობს, უნდა ჰქონდეს მიღებული განათლებიდან სარგებლობის მიღების უფლება ანუ სახელმწიფოში მოქმედი წესის შესაბამისად და დადგენილი ფორმით მის მიერ დასრულებული სწავლის ოფიციალური აღიარების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბელგიაში ენების შესახებ“ („Belgium linguistic“ §B4, 23.07.1968წ.; „ლეილა საჰინი (Leyla Sahin) თურქეთის წინააღმდეგ“ §152, 10.11.2005წ.)).

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულ იქნა პროცედურული მოთხოვნების დაუცველად. სააპელაციო სასამართლომ 16.04.2020წ. განჩინებით დაადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა. სასკ-ის 34-ე მუხლის 1² ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონდარღვევას და მასში მოთხოვნილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დამატებით იმსჯელა ისეთ გარემოებებზე, რომლებზედაც არც ადმინისტრაციულ ორგანოს სადავო აქტში და არც პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის განხილვისას არ უმსჯელია. სააპელაციო პალატამ დამატებით იმსჯელა კოლეჯში სწავლის კურსის გავლისა და ინსტიტუტში ჩარიცხვის თარიღების შეუსაბამობაზე, ინსტიტუტში ჩარიცხვის წინაპირობის არარსებობაზე, ინსტიტუტის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისა და ინსტიტუტში რ. გ-ის ჩარიცხვის პერიოდებზე და სხვა გარემოებებზე. სააპელაციო პალატამ ფაქტობრივად მოთხოვნაზე უარის თქმის ახალ საფუძვლებზე მიუთითა, რაც თავისთავად უკავშირდებოდა საქმეზე ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, მათ მიმართ მოწინააღმდეგე მხარის – რ. გ-ის პოზიციის მოსმენის საჭიროებას, აღნიშნული თავის მხრივ შეუძლებელს ხდიდა სააპელაციო სასამართლოს მიერ სასკ-ის 34-ე მუხლის 1² პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ზეპირი მოსმენის გარეშე მოცემულ საქმეზე ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენით არსებითად ახალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით განხილვა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველია.

საქმეზე რიგი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საჭიროე-

ბის გამო კასატორმა საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანით სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ნაცვლად, მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით საქმის სააპელაციო ინსტანციაში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 406-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია. ამავ კოდექსის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირება. ამდენად, მოთხოვნის შემცირება მოსარჩელეს შეუძლია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და ამისათვის მოპასუხის თანხმობა საჭირო არ არის. საკასაციო საჩივრის განხილვის პროცესში კასატორმა შეამცირა თავისი მოთხოვნა, კერძოდ, საკასაციო პალატის მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით სადავო აქტის ბათილად ცნობის ნაცვლად მოითხოვა საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნულით არ დარღვეულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის დანაწესი. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ კასატორის მიერ მოთხოვნის არდაზუსტების შემთხვევაშიც, საკასაციო პალატა არ იქნებოდა შეზღუდული, ეხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და მიელო განჩინება სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განსახილველად დაბრუნების შესახებ. სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნების საფუძვლები ნორმატიულად არის განსაზღვრული, მსგავსი განჩინების მიღების სავალდებულო წინაპირობად კასატორის შუამდგომლობა საპროცესო კანონმდებლობით არ არის დადგენილი. საქმის გარემოებათა არასათანადოდ გამოკვლევა, საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევა, სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნების საკმარის საფუძველს ქმნის (სსკ-ის 412. მუხ. „ა“ ქვ.პ.)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ემყარება სათანადო სამართლებრივ და პროცესუალურ საწყისებს, რის გამოც რ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.04.2020წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და მოგილოვის სარეგულაციო თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობა

გ ა დ ა ნ ყ ვ ა ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ

№ბს-1023(კ-21)

10 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ქ-მა 2020 წლის პირველ ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ნაწილში, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1636/01-04 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, ე. ქ-ი 2002 წლიდან სწავლობდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ...ის სამაგისტრო პროგრამის ...ის სპეციალობაზე. სადავო ბრძანებით, მოსარჩელეს 2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, სასწავლო პროცესების შეწყვეტის გამო, შეუწყდა სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ბრძანება ე. ქ-ს გადაეცა 2020 წლის 15 ივნისს.

მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ მას 2007 წლის 22 მარტს შეეძინა შვილი, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუდენტისთვის აკადამიური შევბულების მიცემის საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სადავო ბრძანება გამოიცა იმ პერიოდში, როცა მოსარჩელე კუთვნილ აკადემიურ შევბულებაში იმყოფებოდა. მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, მოსარჩელე ითხოვს სადავო ბრძანების ბათილად ცნობას და სარჩელის დაკმაყოფილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ე. ქ-ისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ნაწილში სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1636/01-04 ბრძანება და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; მოპასუხეს ასევე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ განეული ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 200 ლარის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2004 წლის 30 აპრილის №4/443 ბრძანების თანახმად, 2002 წელს ე. ქ-ი ჩაირიცხა ...ის სამაგისტრო პროგრამის პირველ კურსზე ...ის სპეციალობით;

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1636/01-04 ბრძანებით, „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის

ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის ...ის სპეციალობის მაგისტრანტს ე. ქ-ს 2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან შეუწყდა სტუდენტის სტატუსი სასწავლო პროცესიდან მონაწილეობის გამო.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლსა და 43-ე მუხლის მე-12 პუნქტზე მითითებით, აღნიშნა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი რეგულაციის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, ხოლო მითითებული სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, აკადემიური საბჭო არ წარმოადგენდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლების განმსაზღვრელ უფლებამოსილ ორგანოს. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის უფლებამოსილება, ასევე არ ითვალისწინებდა რექტორის მიერ სტუდენტის სტატუსის დამოუკიდებლად შეწყვეტის უფლებამოსილებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის ხელახალი განხილვის ფარგლებში, მნიშვნელოვანი იყო სადავო ბრძანების (ე. ქ-ისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ნაწილში) გამოცემის როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძვლის დადგენა, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე მიუთითებდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის არარსებობაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიუთითოს კონკრეტულ დოკუმენტზე ან/და შესაბამის ნორმატიულ აქტზე, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს, რომლის შესაბამისადაც, მოსარჩელესთან მიმართებით დადგინდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობის არსებობის ფაქტი და გამოიცემა ადმინისტრაციული აქტი. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხელახლა უნდა ემსჯელა სადავო საკითხთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ივლისის განჩინებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი დასაბუთება. ამასთანავე აღნიშნა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. აღსანიშნავია, რომ მითითებული სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, აკადემიური საბჭო არ წარმოადგენდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლების განმსაზღვრელ უფლებამოსილ ორგანოს. შესაბამისი საკანონმდებლო აქტით დადგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო უფლებამოსილი მიეღო გადაწყვეტილება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, თუ არსებობდა საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური საბჭო არ იყო უფლებამოსილი დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება და დადგენილებით განესაზღვრა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მოცემული საკითხის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი, რომელიც აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებებს ეხება, რომლის მიხედვით, აკადემიურ საბჭოს არ ჰქონდა უფლებამოსილება დაერეგულირებინა სასწავლო პროცესი. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია, კერძოდ, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აქტივობის შესახებ“ საქართველოს კანონის 10-ე მუხლი.

სებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/6 ბრძანება და აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართი. მითითებული დანართის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ წესის ძალაში შესვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილებოდა სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში დაინტერესებული პირი უფლებამოსილი იყო მიემართა დაწესებულებისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, ან ესარგებლა მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ იყო ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. კასატორის მითითებით, რადგან მოსარჩელის ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან გასულია ათ წელზე მეტი, იგი ვერ ისარგებლებს აღდგენის ან მობილობის უფლებით.

გარდა ამისა, საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან სარჩელი წარდგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ერთთვიანი, ასევე ამავე კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, კასატორი თვლის, რომ სადავო აქტი კანონის საფუძველზეა გამოცემული და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 3 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 აპრილის განჩინებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ქ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ მოსარჩელისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის კანონიერების შეფასება, თუმცა, მოცემული დავის გადასაწყვეტად, პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, რამეთუ, ზოგადად, „ვადის უფლებანარმომშობი და უფლებალმკვეთი თვისება გამოკვეთილია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, არამედ იგი დამახასიათებელია მთელი სამართლისათვის. დრო იწვევს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული... სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესულ-ურსამართლებრივი ნესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოღლა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საკასაციო პალატა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე. სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ვადების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა უფლება დაუსრულებლად, განუსაზღვრელად არ იყოს საეჭვოობის ხასიათის მატარებელი. ამასთანავე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დროული განხორციელება ემსახურება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაჯეროვანი გამოყენება, სასამართლოს-

თვის ვადის დარღვევით მიმართვა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. კერძოდ, მოთხოვნის უფლება აგრძელებს არსებობას, მაგრამ მისი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას და დარღვეული უფლების აღდგენა მხოლოდ დამრღვევის მიხედვლებაზე იქნება დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სტუდენტის სტატუსის უკანონოდ შეწყვეტის შემთხვევაშიც კი, მხარემ კანონით დადგენილ ვადაში უნდა მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი/მატერიალური/კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნების დაცვით გამოცემული აქტის მიმართ. სწორედ ამგვარი – კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად გამოცემული (რეკვიზიტების თვალსაზრისით) აქტების მიმართ წარმოეშობა ადრესატს ვალდებულება კანონით მკაცრად დადგენილ ვადებში გასაჩივრების უფლების გამოყენებისა. ამრიგად, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დანაწესისა, რომ კანონმდებლობით იმპერატიულად არის განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისი გაცნობიდან მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში გასაჩივრების შესაძლებლობა, გამონაკლისის სახით, თუკი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მის აუცილებელ რეკვიზიტს გასაჩივრების წესის განმარ-

ტების თაობაზე, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი და ასეთი აქტის გასაჩივრება შეიძლება აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი.

განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დაცვის საკითხის შესწავლისას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული ბრძანების მოსარჩელისთვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარება დასტურდება მხოლოდ 2020 წლის 15 ივნისს. აქვე მნიშვნელოვანია, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 19 დეკემბრის №1636/01-04 ბრძანება არ შეიცავს მისი გასაჩივრების წესის განმარტებას. დამატებით საყურადღებოა მოსარჩელის განმარტება, რომ აქტი ჩაბარდა 2020 წლის 15 ივნისს, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2020 წლის 1 ივლისს, გასაჩივრების ვადის დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყების მომენტის განსაზღვრისთვის, გასათვალისწინებელია სადავო სამართალურთიერთობის სპეციფიკა. კერძოდ, „ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის დასაწყისს კანონმდებლობა უსაფუძვლოდ არ უკავშირებს დაინტერესებული მხარის მიერ აქტის გაცნობის ფაქტს. ბუნებრივია, შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის გასაჩივრება. აქტის არცოდნა მისი გასაჩივრების შესაძლებლობას გამორიცხავს. თუმცა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაინტერესებული მხარისათვის გაცნობა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ამ აქტით მიღებული გადაწყვეტილების მიღების ფაქტისა და გადაწყვეტილების შინაარსის მხარისათვის გაცნობას და არა მარტო იმას, რომ პირმა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურად ჩაიბაროს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ბს-312-308(კ-14)). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისთვის სათანადო წესით ჩაბარების მნიშვნელობა გამოიხატება, ერთი მხრივ, ადრესატის მიერ აქტის შესრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში, მეორე მხრივ, გასაჩივრების უფლების ჯეროვანი რეალიზაციის მიზნის მიღწევაში. ამასთან, საუნივერსიტეტო სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით, სტუდენტის მოვალეობების განუხორ-

ციელებლობა, სასწავლო დაწესებულებაში გამოუცხადებლობა და სასწავლო პროცესიდან მოწყვეტა ცალსახად მიუთითებს და ადასტურებს, რომ დაწესებულებასთან სასწავლო ურთიერთობა შეწყვეტილია, რის თაობაზეც ცნობილია სტუდენტისთვისაც.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ სადავო შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყდა 2007 წელს. ცალსახაა, რომ ე. ქ-ისთვის იმავე წლიდან ცნობილი იყო აღნიშნულის შესახებ, ვინაიდან არ დადიოდა სასწავლო დაწესებულებაში და მონაწილეობას არ იღებდა სასწავლო პროცესში. მაშასადამე, მიუხედავად ადრესატისთვის აქტის არჩაბარებისა, მას შეეძლო, საკუთარი დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვა და საკუთარი პოზიციის სათანადოდ ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და მიუთითებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის ჩაბარების სავალდებულობაზე, იმავდროულად განმარტავს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლისთვის აქტის მხარისთვის ჩაუბარებლობა ავტომატურად არ უნდა გახდეს ხანდაზმულობის ვადების დაცვისგან თავის არიდების საშუალება, ასეთი ვითარება ხელყოფს სამართლიანი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისა და სტაბილური მართლწესრიგის შენარჩუნების მიზნებს. ამდენად, აქტის გასაჩივრების ვადის დენის დაწყება უნდა დაუკავშირდეს არა ე. ქ-ისათვის აქტის მატერიალური სახით გადაცემას, არამედ იმ მომენტს, როდესაც მან შეიტყო საკუთარი უფლების დარღვევისა და იმ კონკრეტული ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების თაობაზე, რაც მისი სტატუსის შეწყვეტის საფუძველი გახდა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის სასწავლო ურთიერთობა შეწყვეტილია 2007 წელს, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარმოდგენილია მხოლოდ 2020 წლის 1 ივლისს, გასულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო სასარჩელო ხანდაზმულობის გამო დავის გადაწყვეტის მართებულობისთვის, დამატებით მიუთითებს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაზე და აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ №1 დანართზე, რომლის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ წესის ძალაში შესვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ

პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს დანესებულებას სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმის ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ სტუდენტის გარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან სტუდენტი 10 წლის განმავლობაში ითვლება სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად და მხოლოდ ამ ვადაშია უფლებამოსილი მიმართოს სასწავლო დანესებულებას სტატუსის აღდგენის ან მობილობით სარგებლობის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ ისარგებლებს აღნიშნული უფლებებით. ამრიგად, დასახელებული საკანონმდებლო დანაწესი გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს დაინტერესებულ პირს დროის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობის პირობებშიც კი, შედეგი ვერ იქნება მიღწეული, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/6 ბრძანება უპირობოდ ზღუდავს სტუდენტის სტატუსის აღდგენას ან მობილობით სარგებლობას 10 წლის განმავლობაში სასწავლო დანესებულებისათვის მიუმართაობის შემთხვევაში. საქმის მასალებით კი არ დასტურდება 2007 წლიდან 2020 წლამდე ე. ქ-ის მიერ უნივერსიტეტისადმი მიმართვიანობა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს ხანდაზმულობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის

სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ე. ქ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, მასვე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო საჩივარზე მოპასუხის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო;
4. ე. ქ-ს (პ/ნ ...) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასარგებლოდ დაეკისროს უნივერსიტეტის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**3. სსკვადანსკვა ადმინისტრაციული ორგანოს
გადანყვეტილუბის ადმინისტრაციული აქტუბის
კანონიერუბა**

**მოსამართლის საკვალფიკაციო წართ გამოცდუბა
მიღუბული ქულის, საგამოცდო კომისიისა დუ
სასრუტუნფიო ჯგუზის შუფასუბის კანონიერუბა**

**გადანყვეტილუბა
საქართველოს სსხელით**

№ბს-590(კ-20)

24 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზუნაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგუნლობა: ნ. სხირტლადე (თავმჯდომარე, მომსხუნებელი),
მ. ვაჩადე,
ბ. სტურუა**

დუვის საგანი: გამოცდის შუდეგის შუცვლა, გამოცდის რუბარე-
ბის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის დავალუბა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. დ-მა 03.09.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ დუ მოითხო-
ვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული
გადანყვეტილუბის იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომლითაც მო-
სარჩელეს ვერ გადალახულად რაეთვალა საერთო სასამართლოს
მოსამართლეთა საკვალფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი – წერი-
თი გამოცდა, მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე საქართველოს იუს-
ტიციის უმაღლესი საბჭოსთვის ცვლილუბის შუტანის დავალუბა მო-
სამართლეობის საკვალფიკაციო წერთი გამოცდის შუფასუბის უწ-
ყისში მე-9 გრაფაში მითითებულ მონაცემში, კერძოდ, გრაფა – „შე-
დეგში“, ნაცვლად სიტყვა „ვერ გადალახა“ სიტყვა „გადალახას“ მი-
თითება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, სა-
ერთო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალფიკაციო გამოცდის,
სამოქალაქო დუ ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცი-
აში, რუბარების დამადასტურებელი დოკუმენტის თ. დ-ისათვის გა-
დაცემის დავალუბა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 21.07.2018წ. მონაწილეობა მიიღო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ საერთო სასამართლოს მოსამართლეთა გამოცდაში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. 21.07.2018წ. მან ჩააბარა აღნიშნული გამოცდის პირველი ეტაპი – ტესტური გამოცდა, რომელშიც დააგროვა 78 ქულა, რის შედეგადაც გადავიდა გამოცდის მეორე ეტაპზე. წერიტი გამოცდა ჩატარდა 28.07.2018წ., რომელიც შედგებოდა 5 ღია ტიპის კითხვისგან, თითოეულ კითხვაზე პასუხი ფასდებოდა 0-დან 5 ქულამდე. წერიტი გამოცდაზე მოსარჩელემ მიიღო 14 ქულა, რომელიც არასაკმარისი აღმოჩნდა მინიმალური ზღვარის, 15 ქულის გადასალახად. 31.07.2018წ. მოსარჩელე გამოცხადდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რათა ესარგებლა მიღებული შეფასების გასაჩივრების უფლებით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შეფასებას არ ახლდა არავითარი განმარტება და დასაბუთება, შესაბამისად, გასაჩივრების უფლება ატარებდა სრულიად ფორმალურ ხასიათს და არ გულისხმობდა რეალურად გამოსაცდელის უფლებების დაცვას. მოსარჩელის განმარტებით, შემფასებელმა ქულის დაწერისას უნდა მოახდინოს დასაბუთებული შეფასება, რაც მნიშვნელოვანია შეფასების გასაჩივრების დროს არგუმენტირებული საჩივრის წარსადგენად. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი მიიღო 02.08.2018წ., ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, შესაბამისად 14 ქულით ვერ გადალახა გამოცდის ბარიერი. მოსარჩელე თვლის, რომ მისი ნაშრომი შეფასდა გაურკვეველად, არასწორად და დაუსაბუთებლად. მოსარჩელის მოსაზრებით, თითოეულ ტესტში დაკლებული აქვს თითო ქულა, მე-4 კითხვა ნაცვლად 5 ქულისა, შეფასებულია 3 ქულით, რის გამოც რეალურად ეკუთვნის 20 და არა 14 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 23.1 მუხლის თანახმად, საგამოცდო დავალებების შედგენის მეთოდოლოგიისა და მისი სირთულის დონის განსაზღვრის, დავალებების ბაზის მართვისა და ფორმირების, წერიტი დავალებების შეფასების კრიტერიუმების დადგენის, საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთა ცოდნის შემოწმებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შეფასების მიზნით იქმნება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია. ამავე წესის 28.1 მუხლის მიხედვით, საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგებს ამტკიცებს საგამოცდო კომისია და არა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შესაბამისად მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების, არამედ მოსამარ-

თლეობის საკვალიფიკაციო წერითი გამოცდის შეფასების უწყისის შესაბამის გრაფაში ასახული მონაცემის ბათილად ცნობისაკენ. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიუთითა, რომ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 22.3 მუხლის მიხედვით, ყოველ დავალებას ასწორებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, მოცემული დარგის ორი სპეციალისტი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ანონიმურად, წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით და აკეთებს შეფასებას, რაც დასტურდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრისათვის წინასწარ მინიჭებული საინდენტიფიკაციო კოდით. თუ შეფასებები იდენტურია, შეფასების ნიშანი აისახება ელექტრონულ სისტემაში. თუ ნიშნებს შორის სხვაობა არ აღემატება ერთს, დავალების შეფასება ხორციელდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა შეთანხმებით, ხოლო თუ ნიშნებს შორის სხვაობა აღემატება ერთს, შეფასებისას გადაწყვეტია საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია. აღნიშნული რეგულირება გამორიცხავს მიკერძოებული და მცდარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, შესაბამისად, ნაშრომის შეფასების პროცესში დაბალია ცდომილების დაშვების ალბათობა. გარდა ამისა, „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 27.1 მუხლის თანახმად, საკვალიფიკაციო (ტესტური და წერითი) გამოცდის შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო ჯგუფი. ტესტური და წერითი გამოცდის შემდეგ მიღებული შეფასებით უკმაყოფილო გამოსაცდელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო ჯგუფს მისი შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით (27.3 მუხ.). თ. დ-მა მისი შეფასების გადასინჯვის მიზნით განცხადებით მიმართა საპრეტენზიო ჯგუფს, ხოლო საპრეტენზიო ჯგუფის მიერ არ დაკმაყოფილდა წარდგენილი პრეტენზია, რაც ასევე ადასტურებს საგამოცდო კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების სისწორეს. ამასთანავე, საგამოცდო კომისიის წევრები თითოეულ დავალებას ასწორებენ წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით, სადაც განსაზღვრულია თითოეული ქულის მიხედვით შეფასების კრიტერიუმები. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სასკ-ის 22-ე, 32.2 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ არ იკვეთება საგამოცდო კომისიის მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღების ფაქტი, შესაბამისად სასარჩელო მოთხოვნები დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.04.2019წ. გადაწყვეტილებით თ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ორ ეტაპად: თავდაპირველად ბარდება ტესტური გამოცდა, ხოლო შემდეგ – წერიტი გამოცდა. წერიტი გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ტესტურ გამოცდას. ამასთან, „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლი ადგენს, რომ გამოსაცდელი, რომელიც ტესტურ გამოცდაში დააგროვებს 75 (სამოცდათხუთმეტ) ან მეტ ქულას, გადის შემდეგ ეტაპზე და მას უფლება აქვს ჩააბაროს წერიტი გამოცდა, ხოლო მე-19 მუხლის შესაბამისად, წერიტი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ გამოსაცდელი დააგროვებს სულ ცოტა 15 (თხუთმეტ) ქულას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. დ-მა მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდაში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. 21.07.2018წ. მან გაიარა გამოცდის პირველი ეტაპი – ტესტური გამოცდა და ტესტირების შედეგად მიიღო 78 ქულა, რის შემდგომაც იგი დაშვებულ იქნა გამოცდის მეორე ეტაპზე – წერიტი გამოცდაზე. წერიტი გამოცდა შედგა 28.07.2018წ., რომელზეც თ. დ-მა დააგროვა 14 ქულა. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო (ტესტური და წერიტი) გამოცდის შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო ჯგუფი. ტესტური და წერიტი გამოცდის შემდეგ მიღებული შეფასებით უკმაყოფილო გამოსაცდელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო ჯგუფს მისი შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით. წერიტი გამოცდის შეფასების გადასინჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 10 (ათი) ქულა. საპრეტენზიო ჯგუფი შედგება 5 წევრისგან და მისი შემადგენლობა ანონიმურია. ტესტური და წერიტი გამოცდის შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო ჯგუფი საპრეტენზიო განცხადებაზე აკეთებს შეფასებას, რაც დასტურდება ჯგუფის წევრების საიდენტიფიკაციო კოდებით. საპრეტენზიო განცხადებების გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ პრეტენზიების განხილვის შედეგები შეიტანება უწყისში და დასტურდება საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. დ-მა გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება და წერიტი გამოცდის შედეგები გაასაჩივრა 31.07.2018წ. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. საჩივრების განმხილველი საპრე-

ტენზიო ჯგუფის მიერ თ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გამოსაცდელ პირს წერით გამოცდაში არ მოემატა არცერთი ქულა. შესაბამისად, მისი საბოლოო შედეგი განისაზღვრა 14 ქულით და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო წერითი გამოცდის შეფასების უწყისში მიეთითა თ. დ-ის შედეგი – „ვერ გადალახა“.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტის მიერ შესრულებული წერითი დავალების შეფასება საგამოცდო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შეაფასებდა თ. დ-ის, როგორც მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილე აპლიკანტის მიმართ, წერითი გამოცდის ნაწილში, კომისიის მიერ გაკეთებულ შეფასებას/მისთვის დაწერილ ქულას. სასამართლოს მითითებით გასაჩივრებული აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში შეფასების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ის გარემოება, განხორციელდა თუ არა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცდის ჩატარება კანონით დადგენილი პროცედურული წესების დაცვით, ხოლო საგამოცდო კომისიის წევრების მიერ საბოლოო შედეგების მიღების პროცესში გაკეთებული შეფასებების ერთობლიობა და ამ შეფასებების შესაბამისი ქულის დადგენა წარმოადგენს კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიმდინარე სამუშაო პროცესის ელემენტს და ვერ იქნება შეფასებული სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.03.2019წ. №ბს-797-(კ-18) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საგამოცდო კომისიის მიერ ნაშრომის შეფასება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, რომელშიც სასამართლოს კონტროლი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სასამართლო ფლობს დავის გადაწყვეტის სრულ იურისდიქციას, თუმცა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (სუსგ 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12)).

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საგამოცდო კომისიის წევრების მიერ კონკრეტული აპლიკანტის მიერ შესრულებული წერითი დავალებების (კაზუსების) შეფასება ეფუძნება კომისიის თი-

თოეული წევრის პირად პროფესიულ შეფასებას, შინაგან რწმენას და პირად აღქმას, რაც საკანონმდებლო რეგულაციის მიღმა არსებობს და იგი ვერ შეფასდება კანონთან მიმართებაში. ამასთან, კანონმდებლის მიერ საგამოცდო კომისიისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება თავის მხრივ არ გულისხმობს იმას, რომ კომისიას აქვს თვითნებობის უფლება და მისი საქმიანობა უკონტროლოა. სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, სასამართლო კონტროლი არ მოიცავს საგამოცდო კომისიის მიერ წერიით გამოცდის შეფასების შედეგად მიღებული ქულის მიზანშეწონილობის შეფასებას, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს ჰქონდა თუ არა ადგილი შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, არსებობდა თუ არა სხვაგვარი გადანყვეტილების მიღების ალბათობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 22-ე მუხლით განსაზღვრულია წერიით გამოცდის შედეგად შესრულებული ნაშრომის გასწორების პროცედურა. ყოველ დავალებას ასწორებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, მოცემული დარგის ორი სპეციალისტი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ანონიმურად, წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით და აკეთებს შეფასებას, რაც დასტურდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრისათვის წინასწარ მინიჭებული საინდენტიფიკაციო კოდით. თუ შეფასებები იდენტურია, შეფასების ნიშანი აისახება ელექტრონულ სისტემაში. თუ ნიშნებს შორის სხვაობა არ აღემატება ერთს, დავალების შეფასება ხორციელდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა შეთანხმებით, ხოლო თუ ნიშნებს შორის სხვაობა აღემატება ერთს, შეფასებისას გადამწყვეტია საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია. წერიით გამოცდის შედეგების შემოწმებისას დაცულია გამოსაცდელისა და გამოცდელის ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი. ნაშრომის გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ წერიით გამოცდის შედეგები შეიტანება საგამოცდო უწყისში და დასტურდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო წერიით გამოცდისათვის შემუშავებული შეფასების სქემა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მოსაზრება წარმოდგენილი სქემის არასანდოობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ წერიით ნაშრომის შეფასების სქემის შემუშავება საბჭოს მიერ ხდება წინასწარ, თუმცა მისი შემუშავების წესი და პროცედურები კანონმდებლობით

განერილი არ არის. ამასთან, შეფასების სქემა საქმის მასალებში წარმოდგენილ იქნა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სასამართლოს მიერ დავალებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ფარგლებში, იგი თან ერთვის შესაგებელს და დამონმებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სველი ბეჭდით, რაც უსაფუძვლოს და დაუსაბუთებელს ხდის მოსარჩელის მოსაზრებას შეფასების სქემის არასანდოობასთან დაკავშირებით. სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელე მხარის არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაარღვია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი, მოპასუხე მხარე შემოიფარგლა მხოლოდ უწყისში საბოლოო ქულის მითითებით და მისთვის უცნობი დარჩა როგორც საგამოცდო კომისიის, ისე საპრეტენზიო ჯგუფის წევრების დასაბუთებული შეფასებები. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ განსაზღვრავს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ სპეციალურ პროცედურულ წესებს, მათ შორის, საგამოცდო კომისიის მიერ საბოლოო შედეგების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასახვის ფორმას. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არსებობს სადავო სამართალური თეორიის მოწესრიგების სპეციალური წესი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესით“ დადგენილ ნორმებთან შედარებით უპირატესობა ვერ მიენიჭება. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, გამოცდაში მონაწილე პირთა საბოლოო ქულების შესახებ გადაწყვეტილების გამოცემას და მით უფრო კომისიის წევრთა დასაბუთებული შეფასებების გადაწყვეტილებაში ასახვას „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ არ ითვალისწინებს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. დ-ის მიერ შესრულებული წერიტი ნაშრომის შეფასება საგამოცდო კომისიის, ხოლო შემდგომ საპრეტენზიო ჯგუფის მიერ განხორციელდა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ამასთან, როგორც საპრეტენზიო ჯგუფის, ისე საგამოცდო კომისიის მიერ შედგენილ იქნა საგამოცდო შეფასების უწყისები, რომელშიც ასახული იქნა საპრეტენზიო განცხადების განხილვისა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შეფასებები. უწყისები დადასტურებული იქნა კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.04.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. დ-ის მიერ. აპელანტმა მოითხოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც არ ჩაეთვალა გადალახულად საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი – წერიტი გამოცდა, საბჭოსათვის საკვალიფიკაციო წერიტი გამოცდის შეფასების უწყისის მე-9 გრაფაში მითითებულ მონაცემში, გრაფა შედეგში, ნაცვლად სიტყვა „ვერ გადალახა“, საბჭოსათვის სიტყვა „გადალახვის“ მითითების დევალება, აგრეთვე საბჭოსათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის გადმოცემის დევალება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.2019წ. განჩინებით თ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.04.2019წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას, ამასთან, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება არის მოსამართლედ დანიშვნის ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებად, ის არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახე, ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაც რეგულირებულია სპეციალური კანონმდებლობით. ამდენად, სადავო შემთხვევის მიმართ უნდა გავრცელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობა და არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. სააპელაციო პალატა „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესზე“ მითითებით აღნიშნავს, რომ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ფორმა (საერთო და/ან სპეციალიზაციის მიხედვით), თარიღი, აგრეთვე საკვალიფიკაციო გამოცდასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების ვადები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ წერიტი გამოცდა შედგა 28.07.2018წ., რომელზეც თ. დ-მა დააგროვა 14 ქულა, შესაბამისად გამოცდა ვერ ჩააბარა. თ. დ-მა მოცემული ქულა გაასაჩივრა საპრეტენზიო კომისიაში. საპრეტენზიო ჯგუფის მიერ თ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გამოსაცდელ პირს წერიტ

გამოცდაში არ მოემატა არცერთი ქულა. შესაბამისად, მისი საბოლოო შედეგი განისაზღვრა 14 წულით და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო წერთი გამოცდის შეფასების უწყისში მიეთითა შედეგი – „ვერ გადალახა“. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პრეტენზიის განხილვისას დაცული იქნა პროცედურული ნორმები, ამასთანავე, პროცედურული ნორმები დაცული იყო წერთი დავალების თავდაპირველი შეფასების დროსაც, კერძოდ როგორც საპრეტენზიო ჯგუფის, ისე საგამოცდო კომისიის მიერ შედგენილ იქნა საგამოცდო შეფასების უწყისები, რომელშიც ასახულ იქნა საპრეტენზიო განაცხადის განხილვისა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შეფასებები, რაც დადასტურდა კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 22.4 მუხლზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელია წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის არსებობა, რათა როგორც საპრეტენზიო კომისიის, ისე საგამოცდო კომისიის წევრებმა ობიექტურად, ერთგვაროვნად, თანასწორობის პრინციპის დაცვით, მიუკერძოებლად გაასწორონ ნაშრომები და დაწერონ სათანადო ქულა. შეფასების სქემის არსებობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კომისიის წევრებმა ნაშრომის გასწორებისას უნდა დაიცვან მისი მოთხოვნები და ქულების განსაზღვრისას გაითვალისწინონ სქემით დადგენილი შესაბამისი ქულის დაწერისთვის აუცილებელი პასუხის არსებობა. ამასთან, სქემის არსებობის პირობებში მნიშვნელოვანია არამხოლოდ შესაბამისი ქულის დაწერა, არამედ გამოსაცდელისათვის გასაგები, განჭვრეტადი უნდა იყოს მითითებული ქულა ნაშრომის როგორ მოცემულობას, როგორ პასუხს შეესაბამება. აღნიშნული განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საპრეტენზიო კომისიის მიერ ნაშრომის გადამოწმებისას. იმისათვის, რომ გამოსაცდელს გაუჩნდეს განცხადების ნამდვილად შესწავლის, შეფასების გადამოწმების რწმენა, აუცილებელია, რომ საპრეტენზიო კომისიის შეფასება იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული, თუნდაც შეფასების სქემით შესაბამისი ქულისათვის დადგენილ მოთხოვნებზე მითითებით და არ იყოს დაწერილი მხოლოდ ქულა, ყოველგვარი განმარტების გარეშე. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, კომისიის მიერ შეფასების დასაბუთებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მოცემული ავტომატურად არ გულისხმობს შეფასების უკანონობას, დაწერილი ქულის არასაწმუნოდ მიჩნევის შესაძლებლობას.

სააპელაციო საამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებზე მითითებით აღნიშნა, რომ სასამართლო კონტროლს თავისი საზღვრები აქვს, რადგან შეფასების პროცესს მრავალ

ვალი ისეთი ელემენტი ახლავს, რომელიც არ ექვემდებარება ზუსტ შეფასებას (გამომცდელის სუბიექტური შთაბეჭდილება, გამომცდელის პროფესიული თავისებურებების ზემოქმედება შეფასებაზე და სხვ.). გამოცდის ჩატარება დაკავშირებულია შეფასების აუცილებლობასთან, გამომცდელის მიხედულობასთან, რომელიც წარმოადგენს ამ საქმიანობის, შეფასებითი კატეგორიების გამოყენების უცილობელ ელემენტს, შესაბამისად ამ სფეროში რეგულაციას მიზნად აქვს არა მიხედულების სრული აღმოფხვრა, არამედ მისი თვითნებობაში გადაზრდის თავიდან აცილება, დისკრეციის სფეროს შეზღუდვა. კომისიის სადავო გადანყვეტილება უკავშირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული კომისიის საგნობრივ კომპეტენციას, ერთჯერად სიტუაციას, რომლის რეკონსტრუქცია და გადამონმება მოსამართლის მიერ შეუძლებელია (გადანყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოსაცდელის ცოდნის დონეს, სახელდობრ, გამოცდის ჩატარების მომენტი-სათვის და არა მის შემდეგ), შემფასებელი ახდენს შეფასებას საგამოცდო საკითხების სირთულეების გათვალისწინებით და საერთო შედეგების შეფასების საფუძველზე (შეფასება თავის თავში შეიცავს შედარების ელემენტს, შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს სხვა აპლიკანტების მიერ მიღებულ შეფასებებთან, ამდენად, გასათვალისწინებელია გამოსაცდელის საშუალო დონე, საგამოცდო ნიშანი იმ ურთიერთობათა სისტემის ნაწილია, რომელიც გარკვეულწილად არის საგამოცდო პრაქტიკის, გამომცდელთა გამოცდილებისა და წარმოდგენების შედეგი), რაც საგამოცდო გადანყვეტილებისათვის ქმნის შეფასების თავისუფალ სივრცეს (იხ. სუსგ 08.07.046. №94-11-კს-04; 20.10.106. №ბს-342-331(კ-10); 25.03.096. №ბს-1448-1406(კს-08); 20.07.116. №ბს-1805-1760(კ-10); 21.03.20196. №ბს-1312(კ-18)). გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადანყვეტილების მიღების პროცედურული მხარე, კანონმდებლობით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრების გამოყენების დაცულობა და მიზანთან მისი შესაბამისობის სისწორე, შეფასების საყოველთაოდ მიღებული მასშტაბის, თანასწორობის პრინციპის დაცულობა (გამოსაცდელი პირების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება (მაგ. მოფიქრებისათვის ნაკლები დროის მიცემა, გამოცდის არასამუშაო გარემოში წარმართვა)), ფაქტების სწორად დადგენის მოთხოვნის, გამოცდის პროცედურული წესების დაცულობა (იხ. სუსგ 07.03.20196. №ბს-797(კ-18)).

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება გამოცდის ჩატარების წესის, შეფასების

პროცედურის დარღვევა, გამოსაცდელების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება, შეფასების მიკერძოებულობა ან ირაციონალურობა. სასამართლოს კონტროლი შეფასების სისწორეზე სწორედ მოცემულ კრიტერიუმთა ერთობლიობით განისაზღვრება, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დარღვეულა და მხოლოდ შეფასების დაუსაბუთებლობა ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. დ-ის მიერ.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული საქმე მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება სასამართლოს მართლმსაჯულების ფუნქციას, სასამართლო არ ახორციელებს საქმის სამართლიან განხილვას, უარს ამბობს მართლმსაჯულების განხორციელებაზე, არ მსჯელობს საქმის დეტალებზე, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია კასატორის უფლება წერიტი გამოცდის დასაბუთებული შეფასების მიღებასთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლო არ უთითებს ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტზე. ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონით, ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას დაასაბუთოს მის მიერ შერჩეული და განხორციელებული ღონისძიებების უპირატესობა, რათა სასამართლომ მისი შესწავლა და შეფასება შეძლოს. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის მოქმედების არეალად არ უნდა გადაიქცეს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, სუსგ 02.10.2018წ. №ბს-1182-1176(2კ-17)). ქვედა ინსტანციის სასამართლოები არ იზიარებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცალსახად დადგენილ პრაქტიკას. ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმე ვერ შეფასდა სამართლიანად, საქმის განმხილველმა მესამე ინსტანციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს დისკრეციული უფლებამოსილების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის დასაბუთების ვალდებულებაზე. საქმის სასამართლოს მიერ განხილვისას მოქალაქეს აქვს მის მიერ დასმული საკითხის სამართლიანი განხილვის მოლოდინი. ქვედა ინსტანციის სასამართლო მიუთითებს, რომ საკითხი სპეციფიკურია და დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მითითებით აღნიშნავს, რომ ვერ შევა საბჭოს ანონიმური გამსწორებლების დაუსაბუთებელი შეფასების შესწავლის სფეროში.

როში.

კასატორი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა, „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და 27-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-8 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ტესტური და წერიტი გამოცდის შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო ჯგუფი აკეთებს დასაბუთებულ შეფასებას. კასატორი აღნიშნავს, რომ გაუგებარია რატომ არ ჰქონდა მას დასაბუთებული შეფასების მიღების უფლება. კასატორის პროფესიული წინსვლის ბედი გადაწყვიტა ერთმა ქულამ, რომლის მინიჭებაზე უარი დაუსაბუთებლად ეთქვა. უსაფუძვლოა მართლმსაჯულებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მოსამართლეს არ გააჩნია დისკრეციის შეფასების სპეციფიკური ცოდნა. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოება, კერძოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებაში შესული ცვლილება საერთოდ არ ახსენა, ვინაიდან მისი გამოკვეთა ცალსახად ადასტურებდა კასატორის მოთხოვნის კანონიერებას და სისწორეს, აღნიშნული ირიბი დადასტურება იმისა, რომ კასატორს ჰქონდა დასაბუთებული შეფასების მიღების უფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ ნაშრომი შეფასდა კანონის დაცვით, თუმცა გაურკვეველია რას ეფუძნება სასამართლოს აღნიშნული შეფასება, ადმინისტრაციულ ორგანოს სააპელაციო სასამართლოსთვის შესაფასებლად არაფერი არ წარმოუდგენია, მათ შორის არ წამოუდგენია სააპელაციო შესაგებელი. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი პრაქტიკა და მან უბრალოდ უარი თქვა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციაზე. ერთადერთი სამართლიანი მსჯელობა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ განავითარა და შემდეგ თავადვე გააქარწყლა, ეხებოდა ნაშრომის შეფასების დასაბუთებულობის ვალდებულებას, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მითითებით კომისიის მხრიდან შეფასების დაუსაბუთებლობა ავტომატურად არ გულისხმობს შეფასების უკანონობას.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ საქმე განიხილა ზედაპირულად, ფორმალურად, რაც ნიშნავს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს. სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელებელი ორგანოა, რომელმაც უნდა შეაფასოს დისკრეციის დროს მიღებული გადაწყვეტილების სისწორე და დასაბუთებუ-

ლობა, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო არ აღიარებს მოსარჩელის უფლებების დარღვევას და დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად/თვითნებურად გამოყენებას.

კასატორი მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, საქმის განხილვაში მონაწილე მხარეს, მოსარჩელეს არ მისცა საქმეზე დართული მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, კერძოდ სასამართლომ გამოითხოვა საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიის ოქმები და თუნდაც გაუთქმელობის ხელწერილით კასატორს არ მიეცა მათი გაცნობის შესაძლებლობა. კასატორის საპროცესო უფლების უგულებელყოფის საკითხი შეფასების გარეშე დატოვა სააპელაციო სასამართლომაც.

სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა დაასაბუთონ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. უკანონოდ მოპყრობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვის გზით თავდაცვის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, სასამართლომ შეისწავლოს მოთხოვნის კანონიერება და მასზე არ თქვას უარი დისკრეციის შეუფასებლობით ან გარემოებების შესაფასებლად სპეციალური ცოდნის აუცილებლობის საფუძველით. კასატორი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე მითითებით აღნიშნავს, რომ მას აქვს უფლება იყოს დაცული კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. კასატორის მითითებით, უზენაესმა სასამართლომ სადავო საკითხზე უნდა გააკეთოს ადეკვატური შეფასება და დააკმაყოფილოს სარჩელი, რაც მნიშვნელოვანია სამართლიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ თ. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.2019წ. განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. დ-ის სარჩე-

ლი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ თ. დ-მა მონაწილეობა მიიღო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებულ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდაში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. 21.07.2018წ. მან გაიარა გამოცდის პირველი ეტაპი – ტესტური გამოცდა და ტესტირების შედეგად მიიღო 78 ქულა, რის შემდგომაც იგი დაშვებულ იქნა გამოცდის მეორე ეტაპზე – წერით გამოცდაზე. წერითი გამოცდა შედგა 28.07.2018წ., რომელზეც თ. დ-მა დააგროვა 14 ქულა. თ. დ-მა წერითი გამოცდის შედეგები გაასაჩივრა 31.07.2018წ. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. საჩივრების განმხილველი საპრეტენზიო ჯგუფის მიერ თ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გამოსაცდელ პირს წერით გამოცდაში არ მოემატა არცერთი ქულა. შესაბამისად, მისი საბოლოო შედეგი განისაზღვრა 14 ქულით და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო წერითი გამოცდის შეფასების უწყისში მიეთითა თ. დ-ის შედეგი – „ვერ გადალახა“.

განსახილველ შემთხვევაში თ. დ-ის მიერ სადავოდაა გამხდარი საერთო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპზე – წერით გამოცდაზე მიღებული შეფასების კანონიერება, რომლის შედეგადაც მან ვერ გადალახა წერითი გამოცდის ზღვარი.

სადავო საკითხი უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, მისი შეფასება სცდება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის უფლებამოსილებას, რამეთუ მასზე არ ვრცელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35⁴, 36⁶ მუხლებით დადგენილი დანაწესი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დავაში მოპასუხედ მართებულადაა დასახელებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკონკურსო პროცედურა ითვალისწინებს რიგ, კანონმდებლობით მოწესრიგებულ, ადმინისტრაციული მოქმედების (მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოცდის ჩატარების გამოცხადება, გამომცდელების განცხადებების რეგისტრაცია და სხვ.) შესრულებას და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას (გამოცდის ჩატარების თარიღის განსაზღვრა, საგამოცდო კომისიის შედეგების დამტკიცება). საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგებს ამტკიცებს საგამოცდო კომისია და არა იუსტიციის უმაღლესი საბჭო („მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების წესის“ 28.1 მუხ.), რაც არ გამოორიცხავს მოცემულ დავაში საქართველოს იუს-

ტიციის უმაღლესი საბჭოს მოპასუხედ დასახელებას, ვინაიდან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის რეგლამენტით დადგენილი წესით ქმნის საგამოცდო კომისიას, საგამოცდო კომისია საქმიანობას ახორციელებს საკვალიფიკაციო გამოცდის გამოცხადებიდან გამოცდის შედეგების დამტკიცებამდე („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 52-ე მუხ., საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების წესის“ 23.3 მუხ.). საგამოცდო კომისია და მისი შემადგენლობიდან დანიშნული საპრეტენზიო ჯგუფი იქმნება დროებით, არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად, სახეზეა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისიის საგნობრივი კომპეტენცია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 28-ე მუხლის შესაბამისად, საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგებს ამტკიცებს საგამოცდო კომისია. ამასთანავე, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში გასცემს შესაბამის სერტიფიკატს (28-ე მუხ., 26.2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება (შეფასება) არის საგამოცდო პროცედურის სავალდებულო კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს თითოეული კომისიის წევრთა გადაწყვეტილებების ერთობლიობას. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნების ელემენტებს. საგამოცდო კომისიის მიერ გამოცდის შედეგების დამტკიცება ადასტურებს ან უარყოფს გამოსაცდელი პირის შესაბამისობას წაყენებული მოთხოვნებისადმი, ის წარმოშობს სამართლებრივ შედეგს გამოსაცდელი პირის მიმართ. საგამოცდო კომისიის დასკვნის საფუძველზე ხდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მონშობის გაცემა. გადაწყვეტილებას გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატის გაცემის შესახებ საფუძველად უდევს საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება. საგამოცდო კომისია წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილ დროებით ორგანოს, ადგილი აქვს უფლებამოსილების ერთგვარ გამიჯვნას-საგამოცდო კომისია უფლებამოსი-

ლია გამოიტანოს გამოცდის პროცესის სავალდებულო შემაჯამებელი გადაწყვეტილება, მაგრამ არ არის უფლებამოსილი გასცეს სერტიფიკატი, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურის დამაგვირგვინებელ დოკუმენტს იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც გასცემს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ სერტიფიკატს, ამ დროს საბჭო შებოჭილია საგამოცდო კომისიის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გასცეს გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატი, მაგრამ არ არის უფლებამოსილი გამოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული პირის გამოცდის შეფასების თაობაზე. უფლებამოსილების ამგვარი გამიჯვნა არის შიდასტრუქტურული, გარე სამართალურთიერთობებში საგამოცდო კომისიისა და საბჭოს წარმომადგენლად გამოდის საბჭო, საბჭოს მიერ დანიშნული წარმომადგენელი, რომელიც წარმოადგენს საბჭოს და მის მიერ შექმნილ დროებით ორგანოს – საგამოცდო კომისიას, უკანასკნელი წევრებს საქმიანობას საგამოცდო პროცესის დასრულების შემდგომ, „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად საგამოცდო კომისია საქმიანობას ახორციელებს საკვალიფიკაციო გამოცდის გამოცხადებიდან გამოცდის შედეგების დამტკიცებამდე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ერთ-ერთი ამოცანა, რომლისთვისაც შექმნილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება. შესაბამისად 52.1 მუხლის მიხედვით, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით ქმნის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას და ამტკიცებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და დებულებას. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 25.09.2007წ. №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი“ განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებით, საბჭო ამტკიცებს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობასა და დებულებას, ქმნის მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას (მე-9 მუხ.). ამდენად, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება და წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სახეს, მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, რომლის განხორციელებაც მოწესრიგებულია სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 51-ე, 53-ე მუხლებით, „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებით, 25.09.2007წ. №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი“ (V თავი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ სადავო სამართალურთიერთობაში მოპასუხედ მართებულად არის დასახელებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ განსაზღვრავს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ სპეციალურ პროცედურულ წესებს, მათ შორის საგამოცდო კომისიის მიერ საბოლოო შედეგების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასახვის ფორმას. განსახილველ შემთხვევაში სადავოდაა გამხდარი საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპზე – წერით გამოცდაზე მიღებული ქულის, შესაბამისად საგამოცდო კომისიისა და საპრეტენზიო ჯგუფის შეფასებების კანონიერება.

„მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის“ 23-ე მუხლის თანახმად საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შეფასების მიზნით იქმნება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია. ყოველ დავალებას ასწორებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, მოცემული დარგის ორი სპეციალისტი, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ანონიმურად, წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით და აკეთებს შეფასებას (22.4 მუხ.). შეფასების სქემა არის საგამოცდო პროგრამის და შეფასების ზოგადი კრიტერიუმების შესაბამისად, გამსწორებლისათვის და საპრეტენზიო ჯგუფისათვის შედგენილი დოკუმენტი, ნაშრომის შეფასება/გასწორება უნდა მოხდეს სქემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გამოცდის შეფასების სქემა იძლევა მიხედულების ველის შეზღუდვის, ამ სფეროში ერთგვარი ინტერვენციის, სასამართლო კონტროლის გაფართოების შესაძლებლობას. წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის არსებობა მნიშვნელოვანია, რათა როგორც საპრეტენზიო კომისიის, ისე საგამოცდო კომისიის წევრებმა ობიექტურად, ერთგვაროვანი კრიტერიუმების საფუძველზე, თანასწორობის პრინციპის დაცვით, მიუკერძოებლად სათანადო ქულით შეაფასონ ნაშრომები. წერიტი ნაშრო-

მის შეფასების სქემის შემუშავება საბჭოს მიერ ხდება წინასწარ (წესის 22.4 მუხ.), შეფასების სქემის არასათანადობასთან დაკავშირებით დამატებითი და დასაბუთებული პრეტენზია კასატორს არ წარმოუდგენია. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო წერიტი გამოცდისათვის შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით ნაშრომი 5 ქულით ფასდება იმ შემთხვევაში, როდესაც „მსჯელობა არის სრული და არგუმენტირებული, სწორი და ამომწურავი პასუხი აქვს გაცემული ყველა კითხვას“; 4 ქულით – „პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, მთლიანობაში მსჯელობა სწორია, თუმცა არასრული“; 3 ქულით – „პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა, მსჯელობა არ არის სრული, აკლია დავალების პირობის ერთზე მეტი კომპონენტი“; 2 ქულით – „მოცემულია მხოლოდ ზედაპირული მსჯელობა, პირობიდან მხოლოდ ერთია შესრულებული“; 1 ქულით – „დავალების პირობიდან მხოლოდ ერთია შესრულებული“, 0 ქულით – „პასუხი არაადეკვატურია, გამოსაცდელი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს“. აღსანიშნავია, რომ წერიტი გამოცდის ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგის მიხედვით შედგენილ 5 ლია პასუხიან დავალებას, დავალების შესრულების დროს გამოსაცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა – სამართლებრივი ნორმების შეფარდება დავალებაში მოცემულ სიტუაციასთან, ასევე დავალების ამგვარი გადაწყვეტის დასაბუთება როგორც თეორიული მსჯელობით, ისე პრაქტიკული მაგალითებით. ამდენად, შეფასების სქემის არსებობის პირობებში, კომისიის წევრებმა ნაშრომის გასწორების დროს უნდა დაიცვან მასში მოცემული კრიტერიუმები და ქულების განსაზღვრისას გაითვალისწინონ სქემით დადგენილი შესაბამისი ქულის დაწერისთვის აუცილებელი პასუხის არსებობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სქემით გათვალისწინებული ნიშნით შეფასებაში გამომცდელი სარგებლობს თავისუფალი სივრცით. ასეთ პირობებში სახეზეა არა დისკრეცია, რამდენიმე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, არამედ სქემით განსაზღვრული კრიტერიუმის ფარგლებში თავისუფალი შეფასების სივრცე. გამომცდელის მიხედულება უკიდევანო არ არის და მის ფარგლებში უფლებამოსილების გადაჭარბება ან არამიზნობრივი გამოყენება დაუშვებელია, გამომცდელის უფლებამოსილება შებოჭილია სქემაში მოცემული კრიტერიუმებით, სქემაში მოცემული ცნებებისათვის იმანენტურია სამართლებრივი ბოჭვა, რაც სასამართლო კონტროლის პირობებშია შესაძლებელი. სასამართლო იცავს რა გამომცდელის თავისუფალ სივრცეს, იმავდროულად, თვითნებობის ფაქტის აცილე-

ბის მიზნით, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი, უკიდვანო შეფასების სივრცე, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა. უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნებს. განუსაზღვრელი ცნებების („სრული მსჯელობა“, „გააზრებული ცოდნა“, „ზედაპირული პასუხი“ და სხვ.) გამოყენების და განმარტების დროს ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს არა ყველაზე მისაღები გადაწყვეტილების შერჩევის უფლებამოსილება (სზაკ-ის მე-2 მუხ. „ლ“ ქვ.პ.), არამედ განუსაზღვრელი ცნებების საფუძველზე შეფასების თავისუფლება. კონკურსანტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება, ხოლო კონკურსანტის უნარ-ჩვევების, კომპეტენციის დადგენა ხდება განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების განმარტების საფუძველზე და არის შეფასების თავისუფლების ნაწილი, რომლის სასამართლო კონტროლი გარკვეულწილად შეზღუდულია, სასამართლო ასეთ შემთხვევაში ამოწმებს მხოლოდ იმ კრიტერიუმების დაცულობის ფარგლებს, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს შეფასების თავისუფლება. განუსაზღვრელი ცნებების განმარტების სასამართლო შემოწმებისათვის ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მოიყვანოს შესაბამისი დასაბუთება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მნიშვნელობა აქვს ნაშრომის არამხოლოდ შესაბამისი ქულით შეფასებას, არამედ აგრეთვე ქულის განჭვრეტადობას, იმას თუ რატომ შეესაბამება მოცემული ქულა ნაშრომს. აღნიშნული განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საპრეტენზიო ჯგუფის მიერ ნაშრომის გადამოწმებისას. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ნების“ 27-ე მუხლის მიხედვით საკვალიფიკაციო (ტესტური და წერიტი) გამოცდის შედეგების გადასინჯვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო ჯგუფი. ტესტური და წერიტი გამოცდის შემდეგ მიღებული შეფასებით უკმაყოფილო გამოსაცდელი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საპრეტენზიო ჯგუფს მისი შეფასების გადასინჯვის მოთხოვნით. პრეტენზია მიიღება გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან ორი დღის განმავლობაში. წერიტი გამოცდის შეფასების გადასინ-

ჯვა, როგორც წესი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელმა დააგროვა სულ ცოტა 10 (ათი) ქულა. საპრეტენზიო ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან და მისი შემადგენლობა ანონიმურია. საპრეტენზიო ჯგუფის მიერ პრეტენზიის განხილვისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი. ტესტური და წერიტი გამოცდის შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო ჯგუფი საპრეტენზიო განცხადებაზე აკეთებს შეფასებას, რაც დასტურდება ჯგუფის წევრების საიდენტიფიკაციო კოდებით. საპრეტენზიო განცხადებების გასწორებისა და იდენტიფიკაციის შემდეგ პრეტენზიების განხილვის შედეგები შეიტანება უწყისში და დასტურდება საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით. შეფასების პროცედურის რეგულირებას მინიმუმამდე დაყავს მცდარი შედეგების ალბათობა, რაც არ გამოორიცხავს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თ. დ-მა გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება და წერიტი გამოცდის შედეგები 31.07.18წ. გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. თ. დ-მა ჩამოაყალიბა პრეტენზიები თითოეულ კაზუსზე გაცემული პასუხის შეფასების მიმართ. საჩივრების განმხილველი საპრეტენზიო ჯგუფის მიერ თ. დ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გამოსაცდელ პირს წერიტი გამოცდაში არ მოემატა არცერთი ქულა. საპრეტენზიო ჯგუფის წერიტი არ იძლევა თ. დ-ის მიერ წერიტი ნაშრომის შეფასების მიმართ წარდგენილ 31.07.2018წ. პრეტენზიებზე პასუხს, 02.08.2018წ. ელექტრონული ფოსტის ამონაწერით ირკვევა, რომ საჩივარი განხილულ იქნა, დამატებით მიენიჭა 0 ქულა, შედეგად ჯამურმა ქულამ შეადგინა 14, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი მინიმალური ბარიერის (15 ქულა) გადასალახად. შეტყობინება არ შეიცავს რაიმე პასუხს თ. დ-ის მიერ თითოეულ კაზუსთან დაკავშირებით წარდგენილ პრეტენზიებზე. თ. დ-ისათვის უცნობია მის პრეტენზიაში მოყვანილი მოსაზრებების უარყოფის არგუმენტაცია. წარდგენილ პრეტენზიაზე საპრეტენზიო ჯგუფის მიერ მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ პრეტენზია „0“ ქულით შეფასდა არ პასუხობს დასაბუთებული უარის გაცემის მოთხოვნას, საბაბს უქმნის მოსარჩელის ეჭვს მისი პასუხების არაოფიციალური კრიტიკურიუმების, ლატენტური ფაქტორების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ. შეფასების გამოხატვას მხოლოდ ქულებში, ციფრებში ან პროცენტულ მაჩვენებელში შეუძლია არასწორი შთაბეჭდილება შექმნას პროცესის ობიექტურობასა და სანდოობაზე, თუ მათი გამოყენება დამატებითი ახსნა-განმარტების და შეფასების გარეშე მოხდება (ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 24.10.2014წ. №17 დასკვნა).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ ადგენს დასაბუთების მოთხოვნას (სზაკ-ის 53-ე მუხ. 1-ლი ნაწ.). აქტის დასაბუთების კანონიერი ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს სამართლით შებოჭვით, მისი თვითკონტროლის ფარგლებში მოქცევით, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა სწორ შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ამ კოდექსის მოქმედება, გარდა კოდექსის მე-3 თავისა და აგრეთვე ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციის განხორციელებისა, არ ვრცელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ. ამდენად როდესაც საბჭოს საქმიანობის განხორციელებას აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა – გამოიყენება სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი წესები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად, ექსკლუზიურ მიმართულებას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ორგანიზება, რაც სპეციალური კანონმდებლობით არის მოწესრიგებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარდგენილი პრეტენზიების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთების საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ კანონმდებლობასა და კოდექსს შორის რეგულაციის სხვაობა არ არსებობს, რაც დადასტურდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტში შემდგომში შეტანილი ცვლილებით, მანამდე სპეციალური კანონმდებლობით ეს საკითხი არ წესრიგდებოდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობა მიზნად ისახავს გამოსაცდელის უფლებების დაცვას, მისი ნაშრომის არასათანადოდ შეფასების შემთხვევაში დარღვეული უფლების აღდგენას. იმისათვის, რომ გამოსაცდელს გაუჩნდეს რწმენა, რომ მისი განცხადება ნამდვილად იქნა შესწავლილი, განხილული და შეფასება გადამოწმებული, შეფასება უნდა იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული, დასაბუთებიდან უნდა ირკვეოდეს, თუ რა გარემოებებმა და შეხედულებებმა მოახდინეს გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე, გადაწყვეტილების შემოწმებისას თვალსაჩინო უნდა იყოს თუ რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება შეფასება. სფეროს სპეციფიკის, მართლმსაჯულების ხარისხის და კანდიდატთა სამართლიანი შერჩევის, სასამართლო კორპუსის ფორმირების სამართლიანი პირობე-

ბის უზრუნველყოფის მიზნის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო შესაძლებლად თვლის მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მიმართ მკაცრი ტესტის გამოყენებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილებაში 10.05.2019წ. შეტანილი ცვლილებით ტესტური და წერიტი გამოცდის შედეგებზე პრეტენზიების განხილვისას საპრეტენზიო ჯგუფს საპრეტენზიო განცხადებაზე დასაბუთებული შეფასების გაკეთება დაევალა (27.8 მუხ.). ცვლილება ძალაში შევიდა აღნიშნულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, აღნიშნული დამატებით ადასტურებს კასატორის თ. დ-ის საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებას მის მიერ წარდგენილი პრეტენზიის უარყოფითი პასუხის დასაბუთების საჭიროების შესახებ.

აქტის დასაბუთების შინაარსისა და მოცულობისადმი მოთხოვნები დეტერმინირებულია საკითხის თავისებურებებით. სხვა გადაწყვეტილების მსგავსად, მიხედულების ფართო ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მნიშვნელოვან ფაქტოლოგიურ და სამართლებრივ ასპექტებზე მითითებას, ორგანოს ეკისრება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს, რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება. ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს. გამჭვირვალობითა და გადაწყვეტილების დასაბუთებით ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს საგამოცდო შეფასებაზე წარდგენილი პრეტენზიის მიმართ თვითნებური, მიკერძოებული, არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. სქემაში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით, უკეთეს გამოსაცდელ პირს ჩამოუყალიბდა ამოცანაზე წარდგენილი პასუხის არასათანადო შეფასების მოსაზრება, ასეთ შემთხვევაში მას შესაძლებლობა აქვს დასაბუთებული მოსაზრებებით მიმართოს საპრეტენზიო ჯგუფს, რომლის პასუხი წარდგენილ პრეტენზიაზე დასაბუთებული უნდა იყოს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორგანოს არ გააჩნია რაიმე აღმატებული სტატუსი ან აბსოლუტური ძალაუფლება, ამდენად ის ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, დასაბუთება ზრდის აქტის ხარისხს. წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით დასაბუთების მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს ჯან-

სადი გამოვლინებაა. „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-13 მუხლის თანახმად, ეროვნული ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება. კონვენციის მე-13 მუხლით ნაკისრი ვალდებულების განხორციელების ფორმა და წესი სახელმწიფოს დისკრეციის სფეროს შეადგენს, თუმცა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდასამართლებრივი დაცვის ეფექტურობა. უფლების დაცვის საშუალება უნდა იყოს ეფექტური არამხოლოდ საკანონმდებლო რეგულაციის, არამედ მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის თვალსაზრისით. კონვენციის მე-13 მუხლის დანაწესი ეხება არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ აგრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოებს. პრეტენდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საჩივრის განხილვის მექანიზმის ეფექტურ მოქმედებაზე. უფლებამოსილი ორგანოს მიერ საჩივრის განხილვის ხარვეზიანობამ შესაძლოა გამოიწვიოს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა, ვინაიდან გასაჩივრების უფლება არის სხვა უფლებების და ინტერესების დაცვის საშუალება, რაც განაპირობებს გასაჩივრების უფლების მნიშვნელობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის მიმართებაზე რეაგირების ეფექტურობა, ქმედითი და არა ილუზორული მექანიზმი, საჩივრის განხილვის გამართული პროცედურა ასეთი მექანიზმის არსებობის, ადმინისტრირების მაღალი ხარისხის დადასტურება უნდა იყოს. სააპელაციო პალატა გასაჩივრებულ განჩინებაში თავადაც უთითებს, რომ სქემის არსებობის პირობებში მნიშვნელოვანია არამხოლოდ შესაბამისი ქულის დაწერა, არამედ გამოსაცდელი პირისათვის გასაგები უნდა იყოს ქულა როგორ პასუხს შეესაბამება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნულს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საპრეტენზიო ჯგუფის მიერ ნაშრომის გადამოწმებისას. სააპელაციო პალატის აზრით, კანონმდებლობით დადგენილი მიზნის მიღწევისათვის, განცხადების შესწავლის, განხილვის, შეფასების გადამოწმების რწმენის გაჩენისათვის აუცილებელია, რომ კომისიის შეფასება იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული, თუნდაც შეფასების სქემით შესაბამისი ქულისათვის დადგენილ მოთხოვნებზე მითითებით და არ იყოს დაწერილი მხოლოდ ქულა, ყოველგვარი განმარტების გარეშე. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ მთლიანად, ყველა ნაწილში უარყო სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადამწყვეტილება. სააპელაციო პალატა შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ კომისიის მიერ შეფასების დაუსაბუთებლობა არ გულისხმობს შეფასების უკანონობას.

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამოცდა ქმნის ერთგვარ წინაღობას პროფესიის ხელმისაწვდომობის მიმართ, გამოცდა სასურველი პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას უზღუდავს იმ პრეტენდენტებს, რომლებიც არ პასუხობენ მინიმალურ პროფესიულ მოთხოვნებს, ეს ფაქტორი გადამწყვეტია არამხოლოდ გამოცდის მოცულობის, არამედ მისი შედეგების შეფასების მიმართ. საერთო წესის თანახმად, სწორი პასუხები და მისაღები გადანყევტა არ უნდა შეფასდეს როგორც მცდარი და არ უნდა ინვედეს გამოცდის ჩაუბარებლობას, თუმცა წერიტი საგამოცდო დავალების თავისებურებებიდან გამომდინარე მისი სისწორე ან დავალების გადანყვეტის მიმღებლობა ერთმნიშვნელოვნად ზოგჯერ შესაძლოა ვერ შეფასდეს და არ არის გამორიცხული მათი სხვადასხვა პოზიციებიდან შეფასება (მოცემულ შემთხვევაში წერიტი გამოცდის ეტაპზე გამოსაცდელს უნდა გაეცა პასუხი ე.წ. ღია საკითხებზე, რომლებზედაც ზოგ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს), ასეთ შემთხვევაში იზრდება დამაჯერებელი არგუმენტებით თანმიმდევრულად დასაბუთებული და მისაღები პასუხის მნიშვნელობა, ამდენად გამომცდელს უნდა ჰქონდეს შეფასების, ხოლო გამოსაცდელს პასუხის თავისუფლების გარკვეული ველი. საგამოცდო ნაშრომის შეფასება წარმოადგენს კომპლექსურ, მრავალსაფეხუროვან ორგანიზებულ პროცესს, რომლის შედეგია იმის დადგენა, თუ შეფასების რომელ კონკრეტულ კრიტერიუმს შეესაბამება საგამოცდო ნაშრომი. ამ თვალსაზრისით საგამოცდო ნაშრომის შეფასება წარმოადგენს სუბსუმციის ერთ-ერთ შემთხვევას. სუბსუმციის დროს დგინდება საქმის ფაქტობრივი გარემოების (ფაქტის-შეფასებისგან სრულიად დაცილილი სინამდვილის მოვლენის) შესაბამისობა ნორმის შემადგენლობასთან, რის საფუძველზეც განისაზღვრება სამართლებრივი შედეგი. შემფასებელს გააჩნია განსაკუთრებული საგნობრივი კომპეტენცია, ამასთანავე გამომცდელისაგან განსხვავებით, სასამართლო შეზღუდულია ერთეული შემთხვევით, სხვა გამოსაცდელი პირების პასუხების შედარებითი სტანდარტის გამოყენების შეუძლებლობით, რაც დამატებით განაპირობებს გამომცდელის შეფასების თავისუფლების ფართო ველს. შეფასების თავისუფალი სივრცის პირობებში სქემით მოცემული კრიტერიუმების არსებობის საკითხზე საბოლოო გადანყვეტისთვის ახდენს არა სასამართლო, არამედ შემფასებელი. ამასთანავე, საგამოცდო ნაშრომის შეფასების თავისუფლება არ წარმოადგენს შეუზღუდავ სივრცეს, ფარგლების დაცულობა ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. ამასთანავე, ქმედითი კონტროლი არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ შეფასების მცდარობა თვალმისაცემი, სრულიად მიუღებელი იყოს. მეორე მხრივ, საგა-

მოცდო შეფასების მიმართ კონტროლი, რომელიც ემყარება სქემით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, არ აკისრებს სასამართლოს საგამოცდო უწყების როლის შესრულებას.

გამოცდის ჩატარება დაკავშირებულია შეფასების აუცილებლობასთან, გამომცდელის მიხედულებასთან, რომელიც წარმოადგენს ამ საქმიანობის, შეფასებითი კატეგორიების გამოყენების უცილობელ ელემენტს, შესაბამისად ამ სფეროში რეგულაციას მიზნად აქვს არა მიხედულების სრული აღმოფხვრა, არამედ მისი თვითნებობაში გადაზრდის შესაძლებლობის თავიდან აცილება. საგამოცდო კომისიისათვის შეფასების თავისუფალი სივრცის მინიჭება თავის მხრივ არ გულისხმობს იმას, რომ კომისიის საქმიანობა უკონტროლოა. სასამართლო კონტროლი არ მოიცავს საგამოცდო კომისიის მიერ წერიტი გამოცდის შეფასების შედეგად მიღებული ქულის მიზანშეწონილობის, რაციონალურობის შეფასებას, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს ჰქონდა თუ არა ადგილი შეცდომას ასეთი უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, არსებობდა თუ არა სხვაგვარი გადანყვეტილების მიღების ალბათობა. საფუძველსაა მოკლებული და გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას არ ასაბუთებს სააპელაციო პალატის მითითება სუს-ის 07.03.2019წ. საქმე №ბს-797(კ-18) გადანყვეტილებაზე, ვინაიდან ხსენებულ საქმეში, მოცემული საქმისაგან განსხვავებით, სადავო აქტი შეიცავდა დამაჯერებელ დასაბუთებას, რაც გახდა ხსენებული გადანყვეტილების მიღების საფუძველი.

გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაფასოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიხედულების უფლებამოსილების საზღვრების გამოყენების დაცულობა. სასამართლო ახდენს არა გამომცდელის ჩანაცვლებას, არამედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ადგენს შეფასების თავისუფალი სივრცის საზღვრებს და ამონმებს ამ საზღვრების დაცულობას. საზღვრების დადგენისას ყურადღება ექცევა იმას, რომ შეფასება ეფუძნებოდეს სწორ ფაქტობრივ გარემოებებსა (მაგ. გამომცდელმა შეცდომით გაიგო საგამოცდო ნაშრომის შინაარსი ან გამოცდაში რეალურად დასმულ ამოცანას ან საკითხს მიანიჭა არასწორი შინაარსი) და საკითხთან კავშირის მქონე მოსაზრებებს. შეფასების თავისუფალი სივრცის საზღვრების დაცულობის შემონგება სასამართლოს მიერ შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი შეფასების დასაბუთების არსებობის პირობებში, რის გამოც შემფასებელს ეკისრება შეფასების დასაბუთების წარმოდგენის ვალდებულება. სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება გამომცდელის შეფასების თავისუფლების სფეროს მო-

ნესრიგების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე. მხედველობაშია მისაღები, რომ მოცემულ შემთხვევაში შეფასების თავისუფლების ნაწილი კოლეგიური და დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოს ისეთ გადაწყვეტილებას ეხება, რომელიც გამომდინარეობს საექსპერტო ცოდნიდან, რამდენადაც საგამოცდო კომისია კომპლექტდება სპეციალური ცოდნის მქონე პირებით, რაც ასევე არ ექცევა სასამართლოს სრული კონტროლის ქვეშ. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისიის საგნობრივი კომპეტენცია, ექსპერტებით დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემონმება სასამართლოში ხდება კანონიერების და არა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით (იხ. სუსგ 07.03.2019წ. №ბს-797(კ-18)). მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული კონტროლი მოიცავს არა მხოლოდ კანონიერების, არამედ, აგრეთვე რაციონალურობის, მიზანშეწონილობის ასპექტებს, ამ თვალსაზრისით ადმინისტრაციული საჩივარი, სასამართლო კონტროლისაგან განსხვავებით, მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრის გადამონმების შესაძლებლობას. პრეტენზიის განხილვის შედეგებში უნდა აისახებოდეს ორგანოს მიერ სადავო საკითხის ოპტიმალობის თვალსაზრისით შემონმების ასპექტები. ასეთ შემთხვევაში მართალია, დასაბუთების მიხედულების ფარგლები ფართეა, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს წარდგენილ პრეტენზიაზე დასაბუთების საჭიროებას. მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლის მიზანს, დასაბუთების ვალდებულების შეუსრულებლობა ასეთი უფლებამოსილების დარღვევით განხორციელებად ფასდება და შესაძლოა გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. იმისათვის, რომ გამოცდის პროცესზე კონტროლი აღწევდეს პროფესიის არჩევის თავისუფლების ეფექტური დაცვის უფლების ხარისხს, საჭიროა, რომ წერიტი გამოცდის შეფასება, ყოველ შემთხვევაში შეფასებაზე წარდგენილი პრეტენზიის მიმართ პასუხი, იყოს დასაბუთებული (BVerwGE 09.12.1992, 6 C 3.92).

მოცემულ შემთხვევაში, კასატორის – თ. დ-ის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს არ ჩაეთვალა გადალახულად საერთო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი – წერიტი გამოცდა. ამასთანავე, მოსარჩელეს მიზნად აქვს არა აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, არამედ ხსენებული მდგომარეობის შეცვლა და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეო-

ბის მიღწევა, მისი გამოცდაჩაბარებულად გამოცხადება. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო შეფასების საგანს წარმოადგენს წერი-
თი გამოცდის შედეგების გადასინჯვა. საკვალიფიკაციო გამოცდის
შედეგის დამტკიცება შეიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნ-
ქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-
მართლებრივი აქტის ნიშნებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლე-
სი საბჭოს მიერ გამოცდაში მონაწილე პირთა საბოლოო ქულების
შესახებ გადაწყვეტილების გამოცემას კანონმდებლობა არ ითვა-
ლისწინებს. „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატა-
რების წესის“ 22.6 მუხლის თანახმად, ნაშრომის გასწორების და
იდენტიფიკაციის შემდეგ წერიტი გამოცდის შედეგები შეიტანება
საგამოცდი უწყისში და დასტურდება საკვალიფიკაციო საგამოც-
დო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით. ამასთანავე, საგამოც-
დო კომისიის მიერ გამოცდების შედეგების დამტკიცების შემდეგ,
საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე წარუდგენს ინფორმაციას სა-
ქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (წესის 26.1 მუხ. „ზ“ ქვ.პ.).
საგამოცდო კომისია, წესის 26.1 მუხლის თანახმად, ამტკიცებს საკ-
ვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შედეგს, წესი არ ითვალისწი-
ნებს საბჭოს მიერ შედეგების დამტკიცებას. გამოცდის შედეგები
აისახება საგამოცდო შეფასების უწყისში, რომელშიც ასახულია
საპრეტენზიო განცხადების განხილვისა და მოსამართლეობის საკ-
ვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შეფასებები, უწყისები დადას-
ტურებულია კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით. აღმჭურვე-
ლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის
შემთხვევაში, სარჩელის მიზანი არის არა აქტის გამოცემაზე უა-
რის გაუქმება, არამედ აქტის გამოცემა. აქტის გამოცემაზე ადმი-
ნისტრაციული ორგანოს დავალების შესახებ სარჩელი (სასკ-ის 23-
ე მუხ.) მოიცავს აგრეთვე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესა-
ხებ მოთხოვნასაც (სასკ-ის 22-ე მუხ.). ამასთანავე, საკასაციო სა-
სამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო
არ არის უფლებამოსილი თავად მოაწესრიგოს სადავო საკითხი,
სასკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლო უფ-
ლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი,
თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაცი-
ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის
გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ
მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლე-
ბამოსილებას“. საკითხი განსახილველ შემთხვევაში უკავშირდება
გამომცდელი ორგანოს შეფასების თავისუფალ სივრცეს. გამომ-
ცდელის გადაწყვეტილების სრული სასამართლო შემონმების დაშ-

ვების შემთხვევაში საგამოცდო ნაშრომის შეფასების, გამოცდების მიღების ფუნქცია უცილობლად მთლიანად სასამართლოში გადაინაცვლებს, ხოლო სასამართლო არ არის უფლებამოსილი იკისროს გამომცდელის ფუნქცია, შეაფასოს გამომცდელი პირის ცოდნის დონე, აღნიშნულის გათვალისწინებით არ აქვს მნიშვნელობა შემონგების სფეროს, კერძოდ იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში დავალებები ეხება იურიდიულ და არა რომელიმე სხვა საკითხთა წრეს. სამართლებრივი მონესრიგება, მართალია, ავალდებულებს გამომცდელს კეთილსინდისიერად შეაფასოს გამოსაცდელი პირის ცოდნა, თუმცა ის ვერ დაავალდებულებდა გამომცდელს, რომ მივიდეს იგივე დასკვნამდე, რომლამდეც მივიდოდა მოგვიანებით სასამართლო. გამოცდის შეფასების კონტროლი არ აკისრებს ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებას საგამოცდო უწყების როლს. სასამართლო კორექციაზე შესაძლოა საუბარი იყოს უკეთუ შეცდომას შეეძლო გავლენა მოეხდინა საგამოცდო შეფასებაზე, თუმცა ამგვარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შემონგება უკავშირდება საბოლოოდ პროცედურული ხასიათის შეცდომას, რაც ინვესს გამოცდის შედეგის გაუქმებას, გამომცდელის მიერ ახალი შეფასების ჩატარებას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი არ გულისხმობს იმ დონის იურისდიქციის ხელმისაწვდომობას, რომელსაც შეუძლია სრულიად უგულვლელყო ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 21.07.11წ. გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „სიგმა რადიო-ტელევიზია“ კვიპროსის წინააღმდეგ“ (Sigma RadioTelevision LTD v. Cyprus) §153; 20.10.15წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ფაზია ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Fazia Ali v. the United Kingdom) §77). შეფასების თავისუფლების უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი შეზღუდულია ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპით, სასამართლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განახორციელებს გამომცდელის უფლებამოსილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაში ჩარევით სასამართლო მთლიანად შეცვლიდა საგამოცდო კომისიას, გადაიქცეოდა მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო შეპოჭილი იქნებოდა არა კანონით, არამედ სასამართლოს მიხედულებით (იხ. სუსგ 21.03.2019წ. №ბს-1312(კ-18)). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების უცილობელ პირობას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა. სასკ-ის 32.4

მუხლის თანახმად, უკეთეს სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოცემულ შემთხვევაში დარღვეულ იქნა სზაკ-ის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, ორგანოს სათანადოდ არ შეუფასებია თ. დ-ის მიერ წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადი, არ გამოუკვლევა მხარის არგუმენტები და არ მიუცია მათთვის დასაბუთებული შეფასება. განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გადაწყვიტოს ნაშრომზე ქულის მომატების საკითხი, ვინაიდან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული შედეგების გადასინჯვა, ქულის მომატება, გამოცდის შედეგების დამტკიცება საგამოცდო კომისიის უფლებამოსილებას განეკუთვნება. მართალია, საპრეტენზიო ჯგუფის გადაწყვეტილება უკავშირდება ერთჯერად სიტუაციას, რომლის რეკონსტრუქცია და გადამონმება მოსამართლის მიერ შეუძლებელია (გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოსაცდელის ცოდნის დონეს სახელდობრ გამოცდის ჩატარების მომენტისათვის და არა მის შემდეგ), თუმცა საქმეში დაცულია თ. დ-ის საგამოცდო ნაშრომი, ამოცანებზე გაცემული წერილობითი პასუხები, ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით თ. დ-ის მიერ წარდგენილი წერილობითი პრეტენზიები თითოეულ დავალებაზე გაცემული წერილობითი პასუხის შეფასების მიმართ, რაც იძლევა საპრეტენზიო განცხადების ხელახალი შეფასების შესაძლებლობას. მოპასუხეს უნდა დაევალოს პრეტენზიების განმხილველი ჯგუფის მეშვეობით ხელახლა შეაფასოს თ. დ-ის საპრეტენზიო განცხადება, თ. დ-ის წერიტი გამოცდის შედეგების გადასინჯვისას წარდგენილ საპრეტენზიო განცხადებაზე მიღებულ უნდა იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საპრეტენზიო ჯგუფის შეფასება საბოლოო ჯამში აისახება საგამოცდო უწყისში, რომელსაც ამტკიცებს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უნდა გაუქმდეს მოსარჩელის მიმართ საგამოცდო უწყისში ასახული შედეგი, წერიტი გამოცდის შემომწმებელ ადმინისტრაციას უნდა დაევალოს თ. დ-ის წერილობითი პასუხების ხელახალი დასაბუთებული შეფასება. რაც შეეხება გამოცდის შეფასების უწყისში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით მოთხოვნას და მოსარჩელისათვის საკვალიფიკაციო

გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებულ მოთხოვნას, აღნიშნული უკავშირდება პირველ მოთხოვნას, შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდება. სასამართლოს მიერ სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება გამორიცხავს მოცემულ სტადიაზე მოსარჩელის დანარჩენი მოთხოვნების საფუძვლიანობის განხილვასა და გადაწყვეტის პროცესუალურ შესაძლებლობას.

თავის მხრივ დაუსაბუთებელია კასატორის თ. დ-ის მითითება სასამართლოს მიერ მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ მისცა მას შესაძლებლობა გასცნობოდა ადმინისტრაციული ორგანოდან გამოთხოვილ საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების ოქმებს (უწყისებს). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალებში დაცულია საგამოცდო კომისიის და საპრეტენზიო ჯგუფის უწყისები დეპერსონალიზებული სახით. საკასაციო სასამართლოს მიერ გამოთხოვილი უწყისები ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 19.03.2018წ. №1/152 გადაწყვეტილების მიხედვით საპრეტენზიო განაცხადის განხილვისა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის საბოლოო შეფასებები შეიტანება შესაბამის უწყისებში. უწყისები დასტურდება კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით. ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ანონიმურია როგორც საგამოცდო კომისიის, ისე საპრეტენზიო ჯგუფის შემადგენლობა (23.4, 27.6 მუხ.). ამდენად, გამოთხოვილი ხელმოწერილი უწყისების გაცნობაზე უარი დეტერმინირებულია კომისიის წევრთა ანონიმურობის, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. აღსანიშნავია, რომ კასატორს ცალკე სასარჩელო წესით არ მოუთხოვია ინფორმაციისთვის მინიჭებული სტატუსის შეცვლა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმება სცილდება განსახილველი დავის საგანს, სასკ-ის 20¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ასეთი ინფორმაცია მხარეებს არ წარედგინება. საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებს არეგულირებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი. საჯარო დაწესებულებებში არსებული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია, თუკი მისი გაცემა კანონით არ არის შეზღუდული (სზაკ-ის 28.1 მუხ.), ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი უშვებს პერსონალურ მონაცემთა გაცემას, უკეთუ

ეს კანონით არის გათვალისწინებული და აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვ.პ.). პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას, მონაცემი დაცვას ექვემდებარება, უკეთეს შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (იხ. სუსგ 28.03.2018წ. №ბს-936-932(კ-17)).

საფუძველსაა მოკლებული ასევე კასატორის მითითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზით კანონის დარღვევასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. შესაგებლის წარდგენით მოპასუხე აფიქსირებს და ასაბუთებს საკუთარ პოზიციას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით წერილობითი პასუხის (შესაგებლის) წარდგენის ნორმატიულად განერილი ვალდებულება დეკლარაციული მნიშვნელობისაა, შესაგებლის წარუდგენლობა, ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკის, მისი ინკვიზიციური ხასიათის გათვალისწინებით, არ ქმნის მხარის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარების, მისთვის ნეგატიური შედეგის დადგომის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და თ. დ-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამასთან, სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებულ ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თ. დ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება. ამასთანავე, ვინაიდან საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება უშუალოდ არ უკავშირდება სამსახურებრივი ურთიერთობის დაწყებას, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას და არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი ეტაპი მოსამართლის კანდიდატების შერჩევის რთული და ხანგრძლივი პროცედურისა, კანდიდატებისადმი წაყენებული მოთხოვნების სიმრავლის (საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, გასაუბრება, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინტენსიური სასწავლო კურსის გავლა, სტაჟირების გავლა, გამოცდების ჩაბარება, სკოლის კურსდამთავრებულის შეფასება – საკვალიფიკაციო სიაში შესაბამისი რიგითი ნომრის მითითება, მოსამართლის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიზნით განცხადების წარდგენა და სხვ.) გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული დავა არ განეკუთვნება სოციალური კატეგორიის საქმეთა რიგს და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება სასკ-ის მე-9 მუხლის დანაწესი დავის სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.2019წ. განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუნყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი მოსამართლეობის საკვალიფიკაციო 28.07.2018წ. წერიტი გამოცდის შეფასების უწყისში თ. დ-ის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც თ. დ-ს არ ჩაეთვალა გადალახულად საერთო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპი – წერიტი გამოცდა. მოპასუხეს დაევალოს ხელახლა შეაფასოს თ. დ-ის საპრეტენზიო განცხადება და აღნიშნულ საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისროს თ. დ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს რევიზიის აქტების კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1355(კ-20)

21 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 28 მარტს შპს „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...ში“ განხორციელდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული სამედიცინო მომსახურების შერჩევითი რევიზია. რევიზიის შედეგად, შედგა 3 რევიზიის აქტი:

1. 2018 წლის 31 დეკემბრის რევიზიის აქტი (№კ/რ-1829-226), რომლის მიხედვით, შპს „...ს“ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 01.11.2013წ.-დან 01.03.2018წ.-მდე სარევიზიო პერიოდში, პაციენტებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შერჩევითი რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო, განესაზღვრა ფინანსური სანქცია 87 575.85 ლარის ოდენობით (დამატებითი ფინანსური ჯარიმა – 78 449.49 ლარი, უკან დასაბრუნებელი – 9 126.36 ლარი).

2. 2018 წლის 31 დეკემბრის რევიზიის აქტი (№კ/რ-1830-227), რომლის მიხედვითაც, შპს „...ს“ „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ კომპონენტების ფარგლებში, 01.11.2013წ.-დან 01.07.2015წ.-მდე სარევიზიო პერიოდში, პაციენტებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შერჩევითი რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო, განესაზღვრა ფინანსური სანქცია სულ 1400 ლარის ოდენობით.

3. 2018 წლის 31 დეკემბრის რევიზიის აქტი (№კ/რ-1831-228), რომლის თანახმად, შპს „...ს“ რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ კომპონენტების ფარგლებში 01.07.2015წ.-დან 01.03.2018წ.-მდე სარევიზიო პერიოდში, პაციენტებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შერჩევითი რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო განესაზღვრა ფინანსური სანქცია სულ 190 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული აქტები გასაჩივრებულ იქნა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში, თუმცა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადაწყვეტილებით საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

ამდენად, მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრების დაკმა-

ყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადაწყვეტილების, 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1829-226 რევიზიის აქტის, 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1830-227 რევიზიის აქტისა და 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1831-228 რევიზიის აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადაწყვეტილება სსიპ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1829-226, №კ/რ-1830-227, №კ/რ-1831-228 რევიზიის აქტების თაობაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1829-226 რევიზიის აქტი და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება დაევალა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1830-227 რევიზიის აქტი და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადავო საკითხთან დაკავშირებით, ახალი გადაწყვეტილების მიღება დაევალა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სამედიცინო რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1831-228 რევიზიის აქტი და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება დაევალა.

საქალაქო სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1829-226 რევიზიის აქტით შპს „...ში“ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 01.11.2013წ.-დან – 01.03.2018წ.-მდე სარევიზიო პერიოდში, პაციენტებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შერჩევითი რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო, დაწესებულებას განე-

საზღვრა ფინანსური სანქცია – 87 575.85 ლარი. მათ შორის, დამატებითი ფინანსური ჯარიმა – 78 449.49 ლარი, უკან დასაბრუნებელი – 9 126.36 ლარი, კერძოდ:

1. „გეგმიური ქირურგიული მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა შეადგენს სულ 12 206.01 ლარს, აქედან, 10066.01 ლარი – დამატებითი ფინანსური ჯარიმა, სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას ექვემდებარება – 2 140.00 ლარი.

სარევიზიო პერიოდში „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის „გეგმიური ქირურგიული მომსახურების (გარდა კარდიოქირურგიისა)“ კომპონენტის ფარგლებში სულ გატარებულია 1154 შემთხვევა. ასანაზღაურებლად წარდგენილია 1 483 500.30 ლარი. მიღებულია სულ – 1 398 838.29 ლარი. რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში, კლინიკაში გატარებულია სულ 323 შემთხვევა. ამ პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ასანაზღაურებლად წარდგენილია სულ 425 430.31 ლარი, მიღებულია – 402 866.05 ლარი (დანართი №7).

– 7 შემთხვევაში (დანართი №8) სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელი არასრულყოფილადაა შევსებული. კერძოდ, არ არის დაფიქსირებული კლინიკური დიაგნოზის დადგენის თარიღი ან გრაფა საერთოდ შეუსვსებულია, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას.

– 6 შემთხვევაში (დანართი №8) პაციენტის განერის დროს, მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნისას, შევსებულ ცნობაში (ფორმა №IV-100/ა) არ არის მითითებული რეცეპტ(ებ)ის ნომრ(ებ)ი, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას.

– 8 შემთხვევაში (დანართი №9) ექოკარდიოგრაფიას ახორციელებენ ექიმები, რომლებიც სერტიფიცირებული არიან საექიმო სპეციალობაში – „კარდიოლოგია“ და არ ფლობენ შესაბამის სუბსპეციალობის მოწმობას „ექოკარდიოგრაფიაში“, რითიც დარღვეულია „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 18.04.2007წ. №136/ნ ბრძანების მოთხოვნები.

– 116 შემთხვევაში (დანართი №10) კალკულაციაში დაფიქსირებულია სამედიცინო მომსახურება (პედიატრის კონსულტაცია, ჰისტომორფოლოგიური კვლევა), თუმცა, სამედიცინო დოკუმენ-

ტაციაში ამის შესახებ მონაცემები არ ფიქსირდება, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას და იმავე დადგენილების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს პროგრამის განმახორციელების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს. ინფორმაცია გადაეცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

– 2 შემთხვევაში (პაც. ს. თ-ა, ისტ. №1689, მკურ. პერიოდი – 01.-03.12.2013წ. პაც. ა. ა-ე, ისტ. №1846, მკურ. პერიოდი – 24-26.12.2013წ.) სამედიცინო დაწესებულებამ სარევიზიო ჯგუფს ვერ წარუდგინა საოპერაციო მასალის ჰისტომორფოლოგიური კვლევის დასკვნა, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას და იმავე დადგენილების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს პროგრამის განმახორციელებ კომპეტენციას. ინფორმაცია გადაეცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (დანართი №11).

– 1 შემთხვევაში (პაც. გ. მ-ი, ისტ. №695, მკურ. პერიოდი – 13-14.05.2016წ.) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დოკუმენტაცია. შესაბამისად. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევაზე მიღებული თანხა – 1440.00 ლარი ექვემდებარება სრულად უკან დაბრუნებას.

– 1 შემთხვევაში (პაც. მ. თ-ი, ისტ. №1521, მკურ. პერიოდი – 24-26.11.2016 წ.წ.) მომსახურება განეულია ექიმის (ი. ვ-ი) მიერ, რომელიც სერტიფიცირებულია საექიმო სპეციალობაში – „ორთოპედიატრამვატოლოგია“ და არ ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის შესაბამის სახელმწიფო სერტიფიკატს, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას და ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველს. აღნიშნულ შემთხვევაზე მიღებული თანხა – 700.00 ლარი ექვემდებარება სრულად უკან დაბრუნებას.

2. „გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა შეადგენს სულ 57 384.37 ლარს. აქედან, 53957.71 ლარი – დამატები-

თი ფინანსური ჯარიმა, სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას ექვემდებარება – 3 426.66 ლარი.

01.11.2013წ.-დან-01.03.2018წ.-მდე შპს „...ის“ ადმინისტრაციის მიერ მონოდებული ინფორმაციის თანახმად, სარევიზიო პერიოდში „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის „გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში გატარებულია სულ 2249 შემთხვევა. ასანაზღაურებლად წარდგენილია 1 833 586.81 ლარი. მიღებულია სულ – 1749381.00 ლარი. რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში, კლინიკაში გატარებულია სულ 402 შემთხვევა. ამ პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ასანაზღაურებლად წარდგენილია სულ 29 752 296 ლარი. მიღებულია – 285 670.76 ლარი (დანართი №12).

ა. დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევები:

– 210 შემთხვევაში არასრულყოფილადაა შევსებული სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელი. კერძოდ, არაა დაფიქსირებული ალერგია ანტიბიოტიკებზე, მკურნალობის გამოსავალი და განერის თარიღი (51 შემთხვევა). არაა დაფიქსირებული „კლინიკური დიაგნოზის“ დადგენის თარიღი (157 შემთხვევა). შესაბამის გრაფაში არაა შეტანილი ოპერაციის დასახელება – მუდმივი პეისმეკერის ჩაკერება (2 შემთხვევა);

– არაა შესაბამისი ხელმოწერა „ფიზიკალური მონაცემების რეგისტრაციის ფურცელზე“ (46 შემთხვევა);

– არასრულყოფილადაა (არაა ექთნის ან/და ექიმის ხელმოწერა) შევსებული „ექიმის დანიშნულების ფურცელი“ (224 შემთხვევა);

– პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა „სამედიცინო მომსახურების განევაზე“ შევსებულია ხარვეზებით (არაა პაციენტის ან ექიმის ხელმოწერა) (122 შემთხვევა), მ.შ., საერთოდ არ არის ინფორმირებული თანხმობა (76 შემთხვევა);

– 79 შემთხვევაში, ინტენსიური თერაპიის განყოფილებიდან პაციენტის გადაყვანის შემთხვევაში არ იყო გაფორმებული გადაყვანის ეპიკრიზი. ასევე, გადაყვანიდან ერთი საათის განმავლობაში კლინიკური განყოფილების ექიმის ჩანაწერი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

– 2 შემთხვევაში, არ არის გაფორმებული სიკვდილის ეპიკრიზი.

– 209 შემთხვევაში, პაციენტის განერის დროს, მედიკამენტური მკურნალობის დანიშნისას, შევსებულ ცნობაში (ფორმა №IV – 1400ა) არ არის მითითებული რეცეპტ(ებ)ის ნომრ(ებ)ი.

ამდენად, 372 შემთხვევაზე დაფიქსირებულია დოკუმენტაციის წარმოების წესის 892 სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36

დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას. აღნიშნულ 372 შემთხვევაზე, დაწესებულებას მიღებული აქვს 286 489.37 ლარი. დამატებითი ფინანსური ჯარიმა 28 648.94 ლარს შეადგენს (დანართი №13).

გ. კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევები:

– 8 შემთხვევაში (დანართი №14) სამედიცინო ბარათში არ არის დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი ჩანაწერი გვამის გაუკვეთავად გაცემის მიზეზის თაობაზე. აღნიშნულით დარღვეულია „საქართველოში პათოლოგანატომიური სამსახურის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 5 დეკემბრის №242/ნ ბრძანების მე-3 დანართის მე-6 პუნქტის მოთხოვნა. დაწესებულებას ჯარიმის სახით განესაზღვრა პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 1%, რაც შეადგენს 182.25 ლარს.

– 229 შემთხვევაში (დანართი №15) ექოკარდიოგრაფიას ახორციელებენ ექიმები, რომლებიც სერტიფიცირებული არიან საექიმო სპეციალობაში – „კარდიოლოგია“ და არ ფლობენ შესაბამისი სუბსპეციალობის მოწმობას „ექოკარდიოგრაფიაში“, რითიც დარღვეულია „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობაში და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 18.04.2007წ. №136/6 ბრძანების მოთხოვნები. საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, დაწესებულებას ჯარიმის სახით განესაზღვრა პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 1%, რაც 18 371.5 ლარს შეადგენს.

– 90 შემთხვევაში (დანართი №15) ჩატარებული ექოკარდიოგრაფიის შედეგი არაა დამოწმებული ექიმის ხელმოწერით, რაც წარმოადგენს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევას. საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას დაეკისრა დამატებითი ფინანსური ჯარიმა პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით, რაც შეადგენს 6 755.01 ლარს.

– 3 შემთხვევაში (დანართი №16) დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დოკუმენტაცია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევებზე მიღებული თანხა – 3 426.66 ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

3. „გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა შეადგენს სულ 1704.81 ლარს. აქედან, 440.11 ლარი – დამატებითი ფინანსური ჯარიმა, სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დასაბრუნებელ თანხას შეადგენს 1 264.70 ლარი;

რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში, კლინიკაში გატარებულია სულ 60 შემთხვევა. ამ პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ასანაზღაურებლად წარდგენილია სულ 6 695.90 ლარი. მიღებულია 6 285.45 ლარი (დანართი №17).

ა. კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევები:

– 19 შემთხვევაში (დანართი №18), ექოკარდიოგრაფიას ახორციელებენ ექიმები, რომლებიც სერტიფიცირებული არიან საექიმო სპეციალობაში – „კარდიოლოგია“ და არ ფლობენ შესაბამის სუბსპეციალობის მოწმობას „ექოკარდიოგრაფიაში“, რითიც დარღვეულია „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 18.04.2007წ. №136/6 ბრძანების მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას ჯარიმის სახით განესაზღვრა აღნიშნულ შემთხვევებზე ანაზღაურებული თანხის 10%. დაწესებულებას მიღებული აქვს 2 085.50 ლარი. შესაბამისად, დამატებითი ფინანსური ჯარიმა შეადგენს 208.55 ლარს.

– 10 შემთხვევაში (დანართი №18), დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დოკუმენტაცია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევებზე ანაზღაურებული თანხა – 1 264.70 ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

– 18 შემთხვევაში (დანართი №18) ექიმის ჩანაწერები (მ.შ. ჩატარებული ექოკარდიოგრაფიის შედეგი) არაა დამონმებული ექიმის ხელმოწერით, რაც წარმოადგენს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევას. საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას დაეკისრა დამატებითი ფინანსური ჯარიმა – პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებელი თანხის 10%, რაც შეადგენს 231.56 ლარს.

– 12 შემთხვევაში (დანართი №19) კალკულაციაში დაფიქსირე-

ბულია სამედიცინო მომსახურება, თუმცა დოკუმენტაციაში ამის შესახებ მონაცემები არ ფიქსირდება, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე 3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას და იმავე დადგენილების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს პროგრამის განმახორციელებლის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს. ინფორმაცია აღნიშნულზე გადაეცა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

4. „კარდიოქირურგია/ინტერვენციული კარდიოლოგიის“ კომპონენტის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა შეადგენს სულ 16 280.66 ლარს, აქედან, 13 985.66 ლარი – დამატებითი ფინანსური ჯარიმა, სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას ექვემდებარება – 2 295.00 ლარი.

შპს „...ის“ ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სარევიზიო პერიოდში „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის „კარდიოქირურგია/ინტერვენციული კარდიოლოგია“ კომპონენტის ფარგლებში გატარებულია სულ 252 შემთხვევა. ასანაზღაურებლად წარდგენილია 471 962.50 ლარი. მიღებულია სულ 434 276.25 ლარი.

რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში, კლინიკაში გატარებულია სულ 51 შემთხვევა. ამ პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ასანაზღაურებლად წარდგენილია სულ 83 812.75 ლარი. მიღებულია – 79 437.75 ლარი (დანართი №20).

ა. დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევები:

– 39 შემთხვევაზე დაფიქსირებულია დოკუმენტაციის წარმოების წესის 54 სხვადასხვა სახის დარღვევა. კერძოდ:

– სამედიცინო ბარათის სატიტულო ფურცელი არასრულყოფილადაა შევსებული; კერძოდ, არაა დაფიქსირებული აღერგია ანტიბიოტიკებზე, არაა დაფიქსირებული კლინიკური დიაგნოზის დადგენის თარიღი (5 შემთხვევაში), შესაბამის გრაფაში არაა შეტანილი ოპერაციის დასახელება – მუდმივი პეისმეკერის ჩაკერება (4 შემთხვევა);

– არასრულყოფილადაა (არაა ექთნის ან/და ექიმის ხელმოწერა) შევსებული ექიმის დანიშნულების ფურცელი (11 შემთხვევა);

– 33 შემთხვევაში პაციენტის განერის დროს, მედიკამენტური მკურნალობის დანიშნისას, შევსებულ ცნობაში (ფორმა №IV-100/ა) არ არის მითითებული რეცეპტ(ებ)ის ნომრ(ებ)ი;

– 1 შემთხვევაში, ინტენსიური თერაპიის განყოფილებიდან პაციენტის გადაყვანის შემთხვევაში არ იყო გაფორმებული გადაყვანის ეპიკრიზი.

დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევების ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე დაწესებულებას მიღებული აქვს 73 093.25 ლარი. დამატებითი ფინანსური ჯარიმა 7 309.33 ლარს შეადგენს (დანართი №21).

ბ. კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევები:

– 24 შემთხვევაში (დანართი №22) ექოკარდიოგრაფიას ახორციელებენ ექიმები, რომლებიც სერტიფიცირებული არიან საექიმო სპეციალობაში – „კარდიოლოგია“ და არ ფლობენ შესაბამისი სუბსპეციალობის მოწმობას „ექოკარდიოგრაფიაში“. აღნიშნულით დარღვეულია „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 18.04.2007წ. №136/ნ ბრძანების მოთხოვნები. საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულება დაჯარიმდა აღნიშნულ შემთხვევებზე ანაზღაურებული თანხის 10%-ით. დაწესებულებას მიღებული აქვს 51 183.25 ლარი. შესაბამისად, დამატებითი ფინანსური ჯარიმა შეადგენს 5 118.33 ლარს.

– 2 შემთხვევაში (დანართი №22), დაწესებულებამ ვერ წარადგინა სამედიცინო დოკუმენტაცია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე 3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევებზე ანაზღაურებული თანხა – 2 295.00 ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

– 12 შემთხვევაში ჩანაწერები არაა დამონმებული ექიმის ხელმოწერით, რაც წამოადგენს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევას. საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას ეკისრება დამატებითი ფინანსური ჯარიმა პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 100%-ით, რაც შეადგენს 1 558.00 ლარს (დანართი №22).

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1830-227 რევიზიის აქტის თანახმად, შპს „...ში“ „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახ-

მარების“ კომპონენტების ფარგლებში, სარევიზიო პერიოდის (01.11.2013წ.-დან – 01.07.2015წ.-მდე) რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში, პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შერჩევითი რევიზიის შედეგად დადგინდა, რომ დანესებულების მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა შეადგენს სულ 1400.00 ლარს, რაც სრულად დამატებით ფინანსურ ჯარიმას წარმოადგენს.

რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამით კლინიკაში გატარებულია სულ 8 პაციენტი, რომელთა სამედიცინო მომსახურების ღირებულება (11450.00 ლარი) ანაზღაურებულია პროგრამის განმახორციელების მიერ (დანართი №5).

შპს „...ში“ „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სარევიზიო პერიოდში (01.11.2013წ.-დან 01.07.2015წ.-მდე), კლინიკაში გატარებულია სულ 33 პაციენტი, რომელთა სამედიცინო მომსახურების ღირებულება (47 490.00 ლარი) ანაზღაურებულია პროგრამის განმახორციელების მიერ.

რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამით კლინიკაში გატარებულია სულ 5 პაციენტი, რომელთა სამედიცინო მომსახურების ღირებულება (5500.00 ლარი) ანაზღაურებულია პროგრამის განმახორციელების მიერ (დანართი №6).

ა. დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევები:

– 5 შემთხვევაზე დაფიქსირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108 ბრძანების მე-2 მუხლის მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების, ასევე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის სხვადასხვა სახის დარღვევა. კერძოდ, არასრულყოფილად შევსებული სატიტულო ფურცელი (პაც.: ჯ. ყ-ე, ისტ. №1537, დიაგნოზი: „მწვავე კორონარული სინდრომი“. მკურნალობის პერიოდი – 04.11.2013წ. – 07.11.2013წ.; პაც.: ზ. ჯ-ი, ისტ. №832, დიაგნოზი: „სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი“. მკურნალობის პერიოდი – 29.04.2014წ.-07.05.2014წ., „წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების განევაზე“ და არ არის ექიმის ხელმოწერა დანიშნულების ფურცელზე; პაც.: ე. შ-ე, ისტ. №917, დიაგნოზი: „წინაგულების ფიბრილაცია, ბრადისისტოლური ფორმა“. მკურნალობის პერიოდი – 13.05.2014წ.-16.05.2014წ.; პაც. ზ. ჯ-ი, (ისტ. №832, დიაგნოზი: „სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი“. მკურნალობის პერიოდი – 29.04.2014წ.-07.05.2014წ.; პაც.: ჯ. ყ-ე, ისტ. №1537, დიაგნოზი: „მწვავე კორონარული სინდრომი“. მკურნალობის პერიოდი – 04.11.2013წ.-07.11.2013წ.; პაც.: გ. მ-ი, ისტ. №901, დიაგნოზი: „არასტაბილური სტენოკარდია“,

მკურნალობის პერიოდი – 09.05.2014წ.-10.05.2014წ.; პაც.: ბ. კ-ი, ისტ. №1698, დიაგნოზი: „გიდ. პარკუჭოვანი ტაქიკარდიის პაროქსიზმი“, მკურნალობის პერიოდი – 05.11.2014წ.-08.11.2014წ.), რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №279 დადგენილების 21-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ გარემოებას („სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა მიმწოდებლის მიერ, რომელიც გამოვლენილი იქნება რევიზიის დროს, გამოიწვევს ამ უკანასკნელის დაჯარიმებას შემთხვევის ღირებულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით“). დაწესებულებას ამ შემთხვევებზე ანაზღაურებული აქვს 12 400.00 ლარი. ამდენად, ჯარიმა შეადგენს 1240.00 ლარს.

ბ. კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა:

– 3 შემთხვევაში (1. პაც. ე. შ-ე, ისტ. №917, დიაგნოზი: „წინაგულების ფიბრილაცია, ბრადისისტოლური ფორმა“. მკურნალობის პერიოდი – 13.05.2014წ. – 16.05.2014წ.; 2. პაც.: გ. მ-ი, ისტ. №901, დიაგნოზი: „არასტაბილური სტენოკარდია“, მკურნალობის პერიოდი – 09.05.2014წ. – 10.05.2014წ.; 3. პაც. ჯ. ყ-ე, ისტ. №1537, დიაგნოზი: „მწვავე კორონარული სინდრომი“, მკურნალობის პერიოდი – 04.11.2013წ. – 07.11.2013წ.) ჩატარებულია ექოკარდიოგრაფია, თუმცა დასკვნა არაა შესაბამისი სპეციალისტის მიერ ხელმოწერილი, რითიც დარღვეულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რაც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №279 დადგენილების 21-ე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ გარემოებას, რომელიც იწვევს პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით დაჯარიმებას. დაწესებულებას ამ შემთხვევებზე ანაზღაურებული აქვს 1 600.00 ლარი. ჯარიმა შეადგენს 160.00 ლარს.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ დადგინდოვდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1831-228 რევიზიის აქტით შპს „...ში“ „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ კომპონენტების ფარგლებში, სარევიზიო პერიოდში 01.07.2015წ.-დან-01.03.2018წ.-მდე რევიზიას დაქვემდებარებულ თვეებში პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შერჩევითი რევიზიით დადგინდა, რომ

დანესებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხა შეადგენს სულ 190.00 ლარს, რაც სრულად დამატებით ფინანსურ ჯარიმას შეადგენს.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სამედიცინო დანესებულებაში სახელმწიფო პროგრამებისა და კომპონენტების ფარგლებში რევიზიას დაქვემდებარებული შემთხვევების შერჩევა განხორციელდა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №02-1446/ო ბრძანების დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

შპს „...ის“ ადმინისტრაციის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში სახელმწიფო პროგრამების, მათ შორის, „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლად ჩართვის თაობაზე გაკეთებული აქვს განაცხადი (დანართი №3), ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის მუშაობის დაწყებისათვის (2018 წლის 1 ნოემბერი) „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურებისათვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან დანესებულებისათვის თანხები სრულად ანაზღაურებული იყო 2018 წლის თებერვლის ჩათვლით (დანართი №4), „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, რევიზიას დაექვემდებარა ქვემოთ ჩამოთვლილ საანგარიშგებო თვეებში დასრულებული და ანაზღაურებული ყველა პროგრამული შემთხვევა (2015 წლის ნოემბერი; 2016 წლის მაისი, ნოემბერი; 2017 წლის მაისი, ნოემბერი).

ამასთან, საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადანყვეტილებით შპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივრები (№17642; №17634; №17648), „რეგულირების სააგენტოს“ 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1830-227; №კ/რ-1831-228; №კ/რ-1829-226 რევიზიის აქტების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1829-226 რევიზიის აქტის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის მუშაობის დაწყებისათვის (2018 წლის 1 ნოემბერი) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეული მომსახურებისათვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან დანესებულებისათვის თანხები სრულად ანაზღაურებული იყო 2018 წლის თებერვლის ჩათვლით (დანართი №4), „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სა-

ხელმწიფო პროგრამის მიხედვით, რევიზიას დაექვემდებარა პროგრამის სხვადასხვა კომპონენტების ფარგლებში ქვემოთ ჩამოთვლილ საანგარიშგებო თვეებში დასრულებული და ანაზღაურებული ყველა პროგრამული შემთხვევა:

– გეგმიური ქირურგიული მომსახურება (გარდა კარდიოქირურგიისა) (2013 წლის ნოემბერი; 2014 წლის მაისი, ნოემბერი; 2015 წლის მაისი, ნოემბერი; 2016 წლის მაისი, ნოემბერი; 2017 წლის მაისი, ნოემბერი);

– გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება (2013 წლის ნოემბერი; 2014 წლის მაისი, ნოემბერი; 2015 წლის მაისი, ნოემბერი; 2016 წლის მაისი, ნოემბერი; 2017 წლის მაისი, ნოემბერი);

– გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (2014 წლის დეკემბერი; 2015 წლის ივნისი, დეკემბერი; 2016 წლის ივნისი, დეკემბერი; 2017 წლის ივნისი, დეკემბერი);

– კარდიოქირურგია/ინტერვენციული კარდიოლოგია (2013 წლის ნოემბერი; 2014 წლის მაისი, ნოემბერი; 2015 წლის მაისი, ნოემბერი; 2016 წლის მაისი, ნოემბერი; 2017 წლის მაისი, ნოემბერი).

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ რევიზიას დაექვემდებარებულ თვეებში კლინიკაში სახელმწიფო პროგრამებით სულ გატარებულია 844 შემთხვევა. ასანაზღაურებლად წარდგენილია 824 911.92 ლარის სამედიცინო მომსახურება. მიღებულია 785 710.00 ლარი (დანართი №5). თუმცა, სარევიზიო პერიოდში, რევიზიას დაექვემდებარებული თვეების პროგრამულ შემთხვევათა შესწავლისას შპს „...ში“ გამოიკვეთა: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №02-1446/ო ბრძანების (დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი) გათვალისწინებული გარემოება, რის გამოც, დამატებით შესწავლილ იქნა რევიზიას დაექვემდებარებული თვეების ყოველი მომდევნო თვის ანაზღაურებული შემთხვევები. კერძოდ, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის „გეგმიური ქირურგიული მომსახურების (გარდა კარდიოქირურგიისა)“ კომპონენტის ფარგლებში რევიზიას დამატებით დაექვემდებარა: 2013 წლის დეკემბერი; 2014 წლის ივნისი, დეკემბერი; 2015 წლის ივნისი, დეკემბერი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1830-227 რევიზიის აქტით დადგენილი იყო ასევე ის გარემოება, რომ იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის მუშაობის დაწყებისათვის (2018 წლის 1 ნოემბერი) „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განუხლებილი მომსახურებისათვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან დანესებულებისათვის

თანხები სრულად ანაზღაურებული იყო 2018 წლის თებერვლის ჩათვლით (დანართი №4), „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის მიხედვით რევიზიას დაექვემდებარა ჩამოთვლილ საანგარიშგებო თვეებში დასრულებული და ანაზღაურებული ყველა პროგრამული შემთხვევა (2013 წლის ნოემბერი; 2014 წლის მაისი, ნოემბერი; 2015 წლის მაისი).

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1831-228 რევიზიის აქტზე, რომლის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ კომისიის მუშაობის დაწყებისთვის (2018 წლის 1 ნოემბერი) „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან დაწესებულებისათვის თანხები სრულად ანაზღაურებული იყო 2018 წლის თებერვლის ჩათვლით (დანართი №4), „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის მიხედვით რევიზიას დაექვემდებარა ჩამოთვლილ საანგარიშგებო თვეებში დასრულებული და ანაზღაურებული ყველა პროგრამული შემთხვევა (2015 წლის ნოემბერი; 2016 წლის მაისი, ნოემბერი; 2017 წლის მაისი, ნოემბერი).

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილზე, ამავე კოდექსის 129-ე მუხლზე და ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით მოიხმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება (2019 წლის 17 იანვრის №ბს-818(2კ-18) გადაწყვეტილება), რომლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად,

სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებული იყო სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს პროგრამა და თანდართული დანართები, ამავე პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური, პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან, გარდა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ამავე დადგენილების №1 დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გეგმიური რევიზია ტარდება ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით გათვალისწინებული პროგრამა წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობებს განსაზღვრავს და პროგრამის განხორციელების მიზანს ემსახურება, თუმცა აღნიშნული ნორმატიული აქტით დამტკიცებული პროგრამით შეუძლებელია დადგინდეს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

სასამართლომ მიუთითა „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამავე პროგრამის მე-19 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისას გამოყენებული იქნება სხვადას-

ხვა ტიპის საჯარიმო სანქციები: ა) შემთხვევის სრულ ანაზღაურებაზე უარი; ბ) უკვე ანაზღაურებული შემთხვევისას თანხის უკან დაბრუნება; გ) დამატებითი ფინანსური ჯარიმა. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მონიტორინგის, კონტროლის ან რევიზიის დროს გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება დამატებითი ფინანსური ჯარიმები. დამატებითი ფინანსური ჯარიმა მიმნოდებელს არ ათავისუფლებს გამოვლენილი დარღვევით მოთხოვნილი თანხების უკან დაბრუნებისაგან.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დაწესებული რევიზირების უფლება არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილე პირისათვის სანქციის დაკისრებისაგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, რევიზირების პროცესი ემსახურება იმ მიზანს, რომ დადგინდეს პროგრამის მიმწოდებლის საქმიანობაში ისეთი შესაძლო დარღვევების არსებობა, რომელიც პროგრამის განმახორციელებელს წარმოუშობს უფლებას, შესაბამისი სახის საჯარიმო სანქციის გამოყენებით უზრუნველყოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეთა მიერ განსაზღვრული ჯარიმის გადახდევინება. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული, ხანდაზმულობის ვადისაგან განსხვავებული ვადა რაიმე სხვა კანონით მოცემულ ურთიერთობაში განსაზღვრული არ იყო. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სახელშეკრულებო ურთიერთობის არაჯეროვნად შესრულებისათვის გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრებისა და გადახდევინების უფლება შეზღუდული იყო კანონისმიერი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადით, რომლის სხვაგვარად მოწესრიგება რაიმე სახის კანონქვემდებარე აქტით ან მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით შეუძლებელია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სადავო რევიზიის აქტებით შემოწმების პერიოდი განისაზღვრა 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 მარტამდე. შესაბამისად, სარევიზიო თვეები შეირჩა პროგრამის ცალკეული კომპონენტის მიხედვით. აღსანიშნავი იყო ასევე ის გარემოებაც, რომ რევიზია მიმდინარეობდა 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო უფლებამოსილი იყო რევიზია განეხორციელებინა მისი დაწყებიდან (2018 წლის 1 ნოემბრიდან) უკუსვლით 3 წლის ფარგლებში დასრულებული, ანაზღაურებული შემთხვევების მხედველობაში მიღებით. იგი არ

იყო უფლებამოსილი გასცდენოდა აღნიშნულ პერიოდს, უფრო ადრინდელი შემთხვევების პერიოდის მონაცემები შეეყვანა რევიზიის აქტში საჯარიმო სანქციის გამოყენებისათვის.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რეგულირების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის №კ/რ-1829-226, №კ/რ-1830-227 და №კ/რ-1831-228 რევიზიის აქტები სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი და სააგენტოს უნდა დავალებოდა სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, სარევიზიო პერიოდის განსაზღვრისას სააგენტოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დანაწესით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, ასევე, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, გეგმური რევიზია ტარდება ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ამასთან, სააპელაციო პალატამ საყურადღებოდ მიიჩნია, რომ 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 ცვლილებამდე, მითითებული დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გეგმური რევიზია უნდა განხორციელებულიყო ასანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3

წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე ინარმოებდა რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24.1 მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი არ შეიცავს დათქმას ახალი რედაქციის ნორმებისათვის უკუძალის მინიჭების თაობაზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკაზე და განმარტა, რომ ხუთწლიანი ვადის დადგენასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში განხორციელებული 26.10.2015წ. №522 ცვლილებისათვის სააგენტოს სამედიცინო დაწესებულების გეგმური რევიზიის განხორციელებისას უკუძალა არ უნდა მიენიჭებინა, ხუთწლიანი შემონმების ვადა უნდა გავრცელებულიყო 2015 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ მომხდარ შემთხვევებზე, მანამდე კი, ურთიერთობაზე უნდა გავრცელებულიყო ნორმატიული აქტის ძველი რედაქციით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამდენად, სამწლიანი პერიოდის დარღვევის შემდეგ შემონმებული შემთხვევები არ უნდა დაქვემდებარებოდა სანქცირებას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, სანქციის დაკისრება შესაძლებელია ამ მუხლით დადგენილ ვადაში, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარის იურიდიული პასუხისმგებლობა, თუნდაც მას ჩადენილი ჰქონდეს კანონით დადგენილი ის ქმედება, რისთვისაც გათვალისწინებულია სანქცია, ამ ვადის გასვლის შემდეგ არ დადგება. ხანდაზმულობის ვადის ზრდა პირდაპირ გავლენას ახდენს მხარის იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხზე – ზრდის მას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სადავო რევიზიის აქტებით შემონმების პერიოდი განისაზღვრა 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 მარტამდე. შესაბამისად, სარევიზიო თვეები შეირჩა პროგრამის ცალკეული კომპონენტის მიხედვით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ რევიზია მიმდინარეობდა 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, სსიპ სამედი-

ცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო უფლებამოსილი იყო რევიზია განეხორციელებინა მისი დაწყებიდან (2018 წლის 1 ნოემბრიდან) უკუსვლით 3 წლის ფარგლებში დასრულებული, ანაზღაურებული შემთხვევების მხედველობაში მიღებით. იგი არ იყო უფლებამოსილი გასცდენოდა აღნიშნულ პერიოდს, უფრო ადრინდელი შემთხვევების პერიოდის მონაცემები შეეყვანა რევიზიის აქტი საჯარიმო სანქციის გამოყენებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული რევიზიის აქტების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და სააგენტოსთვის განჩინების სამოტივაციო ნაწილში ასახული მსჯელობის გათვალისწინებით, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღების დავალების საფუძველი.

რაც შეეხება ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ პირობებში, როდესაც დადგენილ იქნა სადავოდ ქცეული რევიზიის აქტების კანონშეუსაბამობა და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი აქტის გამოცემა, აღნიშნული ცხადყოფდა სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადაწყვეტილების უკანონობას. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, როგორც საჩივრის განმხილველ ორგანოს, ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე წარმოეშვა სადავოდ ქცეული რევიზიის აქტების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება, რაც, განსახილველ შემთხვევაში, არ იქნა ჯეროვნად განხორციელებული. ამდენად, არსებობდა სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 7 მარტის №02/11973 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა „საოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგი-

ერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დათქმა ვადებთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გეგმური რევიზია ტარდება ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ რეგულირების სააგენტო ხელმძღვანელობდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისი ქმედება იყო კანონიერი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას, რადგან რეგულირების სააგენტო შემოწმებას ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, რეგულირების სააგენტოსათვის შპს „...ის“ მიერ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა რევიზიის მიმდინარეობისას და შედეგი აისახა რევიზიის აქტში. ამდენად, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნაც სწორედ რევიზიის დასრულების მომენტიდან წარმოიშვა. სააგენტოსათვის რევიზიის აქტში აღნიშნული დარღვევების თაობაზე წინასწარ ვერ იქნებოდა ცნობილი, ამასთან, არც კანონმდებლობა ავალდებულებს სააგენტოს, შემოწმება განახორციელოს სამედიცინო შემთხვევის დასრულებიდან 3 წლის გასვლამდე. სააგენტო ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ რევიზია აუცილებლად მოიაზრებს სანქციას.

კასატორი მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როდესაც რეგულირების სააგენტო შეიტყობს დარღვევის შესახებ. კასატორის მითითებით, აღნიშნული არ ეწინააღმდეგება №36 დადგენილებას, ვინაიდან დადგენილებით განსაზღვრულია არა ხანდაზმულობის, არამედ ზედამხედველობის განხორციელების ვადა.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების 15¹ მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ კონ-

ტროლის განხორციელების ვადა არის 5 წელი. კასატორის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ მითითებულ დადგენილებაში 2015 წლის 26 ოქტომბერს (№522) განხორციელდა ცვლილება და კონტროლის 3-წლიანი ვადა 5-წლიანი ვადით შეიცვალა, არ გულისხმობს იმას, რომ რეგულირების სააგენტოს არ შეეძლო გამოეყენებინა 5-წლიანი ვადა. დადგენილება არეგულირებს პროგრამის განმახორციელებელსა და პროგრამის მიმწოდებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობას. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიმწოდებელი თანახმა იყო პირობებზე და ამავდროულად, მისთვის ცნობილი იყო დადგენილებაში შესული ცვლილებების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 მაისის განჩინებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის პირველი მუხლზე, რომლის მიხედვით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია: ა) საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის, კერძოდ: ა.ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; ა.ბ) ამბულატორი-

ული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით; ა.გ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ და გეგმურ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით; ბ) ამ დადგენილების 2¹ მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 ან/და 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებებით განსაზღვრული შესაბამისი მოსარგებლებისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა იმავე დადგენილებებით განსაზღვრული სადაზღვევო ვაუჩერის შესაბამის სამედიცინო მომსახურებებზე; გ) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ვეტერანებისთვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა ამ დადგენილებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

ამავე დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში ტექსტსა და დანართებში – განმახორციელებელი), ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებებს წარმოადგენენ: ა) პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება; ბ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (შემდგომში – რეგულირების სააგენტო).
ამავე დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პროგრამის ზედამხედველობას ახორციელებენ პროგრამის განმახორციელებელი და რეგულირების სააგენტო, დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, შემთხვევათა ზედამხედველობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს, თუ პროგრამის ცალკეული კომპონენტის პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული: მიმწოდებლის მიერ სამედიცინო მომსახურების განევისას ამავე დადგენილების №1 დანართის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (შემდგომში – რევიზია).
ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზედამხედველობის ეტაპებს ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი, ხოლო „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველობის ეტაპს – რეგულირების სააგენტო. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ

ლონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რევიზიას ახორციელებს რეგულირების სააგენტო გეგმური და არაგეგმური ფორმით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რევიზია ითვალისწინებს მიმწოდებელ დაწესებულებაში პროგრამული შემთხვევის სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას. რევიზია წარმოებს შერჩევითად ან/და საჭიროებისამებრ. რევიზიის შერჩევითი პრინციპით განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება რეგულირების სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სამინისტროსთან შეთანხმებით. რეგულირების სააგენტოს სარევიზიო ჯგუფი მიმწოდებლისგან ითხოვს საჭირო დოკუმენტაციას და ახორციელებს მის დეტალურ შემოწმებას. რევიზიისთვის საჭირო ინფორმაციას ასევე ითხოვს პროგრამის განმახორციელებლისგანაც. მიმწოდებელი დაწესებულება და პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია, სარევიზიო ჯგუფს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია და მათი დამოწმებული ქსეროას-ლები (რევიზიის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად).

საკასაციო პალატა მიუთითებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს პროგრამა და თანდართული დანართები, ამავე პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური, პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან, გარდა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამავე დადგენილების ამავე დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გეგმური რევიზია ტარდება ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ამასთანავე, საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს, რომ ზემოხსენებულ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილებით განხორციელებულ ცვლილებამდე, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გეგმური რევიზია უნდა გან-

ხორციელებულიყო ასანაზღაურებელი შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებშიც რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე ინარმოებდა რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სადავო რევიზიის აქტებით შემონმების პერიოდი განისაზღვრა 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 მარტამდე.

საკასაციო სასამართლო უპირველესად განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. განსხვავებით კლასიკური სამოქალაქოსამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობებისაგან, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობების შესრულება პროგრამით მოსარგებლე თითოეული პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდებაში გამოიხატება. პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებათა, თავად პროგრამით მოსარგებლე პირთა და გასაწევ სამედიცინო მომსახურებათა სიმრავლე კი საგრძნობლად ართულებს ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან სამედიცინო დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხის ხშირ, პერმანენტულ კონტროლს. შესაბამისად, პერიოდული გეგმიური რევიზია წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების ჯეროვანი შესრულების შემოწმების გონივრულ გზას. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო დაწესებულებასა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკა გამოიხატება ასევე შემთხვევათა ანაზღაურების თავისებურებაშიც. კერძოდ, განეული მომსახურების ანაზღაურება ხდება სამედიცინო დაწესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო ის, რომ შემთხვევა არასწორად იქნა ანაზღაურებული, შესაძლებელია დადგინდეს მარტოოდენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ინსპექტირების საფუძველზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ასეთი სპეციფიკური ბუნება გადაწყვეტ როლს იძენს ხანდაზმულობის ათვლის მომენტის განსაზღვრაში, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს

უნდა შეეცყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ გეგმური რევიზია ტარდება ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში, რომლის ფარგლებში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებს რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. ამასთან, ამავე ნორმაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის №552 დადგენილებით განხორციელებულ ცვლილებებამდე არსებული რედაქცია გეგმური რევიზიის განხორციელების ვადად ადგენდა ასანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 წელს.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე არსებული რედაქცია, რომელიც გეგმური რევიზიის განხორციელებისათვის 3-წლიან ვადას ადგენდა, გავრცელებულ უნდა იქნეს ცვლილებების განხორციელებამდე არსებულ პერიოდზე, ხოლო რევიზიის 5-წლიანი ვადის გავრცელება დასაშვებია მხოლოდ 2015 წლის 26 ოქტომბრის შემდგომ პერიოდზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავს სამართლებრივ დავასთან მიმართებით ჩამოყალიბებულ ერთიან სასამართლო პრაქტიკაზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის №ბს-658(კ-19) განჩინება), რომელიც, მართალია, შეეხებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით სამედიცინო შემთხვევების რევიზიის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწესებას და მისი გავრცელების ფარგლებს, თუმცა მოხმობილ განჩინებაში განვითარებული მსჯელობები არსობრივად მიესადაგება განსახილველ შემთხვევას. კერძოდ, მითითებულ განჩინებაში, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „რეგულირების სააგენტო უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა არა ბრძანების ამოქმედებამდე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სხვადასხვა წლებში მოქმედი პროგრამების ფარგლებში განეულ მომსახურებათა რევიზია, არამედ უზრუნველყო უშუალოდ 2011 წლის პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ განეული მომსახურების სანაცვლოდ უკვე ანაზღაურებული შემთხვევების რევიზია შემდგომი 3 წლის განმავლობაში.“ ამდენად, საკასაციო პა-

ლატამ მიიჩნია, რომ „2011 წლის პროგრამის მოქმედების მთელს პერიოდზე ადმინისტრაციულ ორგანოებს უფლება ჰქონდათ განეხორციელებინათ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულების რევიზია ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.“

რაც შეეხება უშუალოდ ხანდაზმულობის საკითხს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის №ბს-590-590(კ-18) გადაწყვეტილებაზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადაა დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, კერძოდ, კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ვადებით ზღუდავს და ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით უფლების დაცვის ხანდაზმულობის შესაბამის ვადებს განსაზღვრავს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ, უფლების დაცვის – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რის შედეგადაც განსახილველი უფლების ქრილში სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ინარჩუნებს.“

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-312-308(კ-14)), სადაც განიმარტა, რომ „საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს – შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვი-

ტოს დავა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამორიცხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დანყების მომენტის განსაზღვრა.“

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს იმის დადგენა, როდის უნდა დანყებულყო 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 მარტამდე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევებისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოთხოვნის წარმოშობა და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, კერძოდ, პირის მიერ საკუთარი უფლების დარღვევის ფაქტის შეტყობასთან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამედიცინო დანესებულების ინსპექტირებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამოვლენისათვის. ასეთი შემომწმების გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას, შეიტყოს სამედიცინო დანესებულების მიერ სახელშეკრულებო პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შესახებ. ამდენად, რევიზიისათვის განკუთვნილი 3-წლიანი (2015 წლის 26 ოქტომბრამდე) და 5-წლიანი (2015 წლის 26 ოქტომბრიდან) ვადა ითვლება უფლების შესაძლო დარღვევის შეტყობის პერიოდად (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის №ბს-658(კ-19) განჩინება).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა მოცულია სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებით არსებული დარღვევების არა მხოლოდ გამოვლენის, არამედ ამ დარღვევებთან დაკავშირებით პროგრამის მიმწოდებლის (სამედიცინო დანესებულების) სანქციონების ვადაც. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით,

რევიზია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შეტყობის საშუალებას. რევიზორების პროცესის გარეშე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას შეიტყოს სახელშეკრულებო პირობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს შპს „...ის“ შემონმების პერიოდს (2013 წლის 1 ნოემბერი – 2018 წლის 1 მარტი) და აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების ახალი რედაქციის ამოქმედებამდე (2015 წლის 26 ოქტომბრამდე) გათვალისწინებული იყო სამედიცინო შემთხვევების რევიზიის 3-წლიანი ვადა. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ რევიზია 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. თავის მხრივ, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დადგენილებაში შესული ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული რედაქციის (რომლითაც განისაზღვრა დასრულებულ სამედიცინო შემთხვევებზე არსებული დარღვევების შემთხვევათა დასრულებიდან 5 წლის ვადაში შემონმების შესაძლებლობა) მანამდე არსებულ სარევიზიო პერიოდზე გავრცელება დაუშვებლად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის მოქმედების პირობებში, რეგულირების სააგენტოს 2015 წლის 1 ნოემბრამდე (2018 წლის 1 ნოემბრიდან უკუსვლით 3 წლის განმავლობაში) გაშვებული ექნებოდა რევიზიის განხორციელების დადგენილებით განსაზღვრული ვადა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლის 26 ოქტომბრის ცვლილებებით რევიზიის 3-წლიანი ვადა 5 წლამდე გაიზარდა, ხოლო აღნიშნული ვადა ცვლილებების შემდგომ პერიოდზე გავრცელებას დაექვემდებარა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 26.10.2015წ.-დან 01.11.2015წ.-მდე პერიოდში სამედიცინო შემთხვევების რევიზია განხორციელებულია დადგენილებით განსაზღვრული 5-წლიანი (26.10.2015წ.-ის შემდგომ მოქმედი რედაქციით) ვადის დაცვით. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 26.10.2015წ.-მდე არსებულ სამედიცინო შემთხვევებზე რეგულირების სააგენტოს გაშვებული აქვს დადგენილებით განსაზღვრული შემონმების ვადა.

ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დავა მართებულად გადაწყვიტა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენებით. კერძოდ, საგულისხმოა, რომ განსახილველი შემთხვევა შეეხება სამე-

დიცინო შემთხვევების რევიზიას, რომელთა ნაწილი, ზემოთაღნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, ხანდაზმულად იქნა მიჩნეული. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დარჩენილ ნაწილზე არსებული საჯარიმო სანქციების გამოანგარიშება და შპს „...ის“ პასუხისმგებლობის განსაზღვრა სცდება სასამართლო კომპეტენციის ფარგლებს, რის გამოც ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო ვალდებულია, ხანდაზმული პერიოდის გათვალისწინებით, გადაიანგარიშოს დაკისრებული სანქციების ოდენობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით განსაზღვროს მოსარჩელე სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 4 ნოემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge